



კარმა

„რათა ყველანი ერთნი იყვნენ, როგორც შენ, მამაო, ჩემში და მე შენში; რათა ისინიც ერთნი იყვნენ ჩვენში“.

იოანე: XVII, 21.

პანდუ, მდიდარი ოქრომჭედელი ბრაჰმანთა კასტიდან, თავის მსახურთან ერთად ბენარესში მიემართებოდა. გზაში დარბაისლური გარეგნობის ბერს წამოეწია, რომელიც იმავე მიმართულებით მიდიოდა და თავისთვის გაიფიქრა: „ამ ბერს კეთილშობილური და წმინდა სახე აქვს. კეთილ ხალხთან ურთიერთობას ბედნიერება მოაქვს; თუ ისიც ბენარესში მიდის, შევთავაზებ ჩემთან ერთად წამოვიდეს ჩემი ეტლით“. იგი ბერს მოწიწებით მიესალმა და ჰკითხა, საით მიემართებოდა, და როცა გაიგო, რომ ბერი, რომელსაც ნარადა ერქვა, ასევე ბენარესში მიდიოდა, თავის ეტლში მიიწვია.

- მადლობას მოგახსენებთ თქვენი სიკეთისთვის, - უპასუხა ბერმა ოქრომჭედელს, - მე მართლაც გამტანჯა ხანგრძლივმა მოგზაურობამ. რადგან საკუთრება არ გამაჩნია, არ შემიძლია ფულით დაგაჯილდოოთ, მაგრამ შესაძლოა, სამაგიერო რაიმე სულიერი განძით მოგაგოთ იმ მოძღვრებიდან, რაც საკია მუნმა, ნეტარმა დიდმა ბუდამ, კაცობრიობის მასწავლებელმა დაგვიტოვა.

მათ ერთად განაგრძეს გზა ეტლით და პანდუ სიამოვნებით ისმენდა ნარადას ჭკუის სასწავლებელ სიტყვებს. ერთი საათის შემდეგ ისინი მიადგნენ იმ ადგილს, სადაც გზა ორივე მხრიდან წალეკილი იყო და მიწათმოქმედის ფორანი გატეხილი ბორბლით გზას ღობავდა.

დევალა, ფორნის მფლობელი, ბენარესში მიდიოდა თავისი ბრინჯის გასაყიდად და ჩქარობდა, მეორე დილამდე ჩაესწრო. რომ დაეგვიანა, შესაძლოა, ბრინჯის შემსყიდველებისთვის ველარც მიესწრო, რომლებიც მათთვის საჭირო რაოდენობის ბრინჯის შეძენის შემდეგ ქალაქიდან გადიოდნენ.

როდესაც ოქრომჭედელმა დაინახა, რომ გზას ველარ გააგრძელებდა, თუ მიწათმოქმედის ფორანს არ გადაათრევდნენ, გაბრაზდა და უბრძანა მაგადუტას, თავის მსახურს, გვერდზე გადაეტანა ფორანი, ისე, რომ ეტლს გასვლა შესძლებოდა. მიწათმოქმედი ეწინააღმდეგებოდა, რადგან მისი დატვირთული ფორანი ხრამთან ახლოს იდგა და შეიძლებოდა მთელი ბრინჯი დაფანტულიყო, ვინმე უხეშად რომ შეხებოდა, მაგრამ ოქრომჭედელს მისი მოსმენაც არ სურდა და თავის მსახურს გზის გათავისუფლება უბრძანა. მაგადუტა, საოცრად ძლიერი ადამიანი, რომელსაც ხალხის აბუჩად აგდება სიამოვნებდა, თავის ბატონს დაემორჩილა და მთელი ფორანი გადააყირავა. როდესაც პანდუმ გზის გაგრძელება დააპირა, ბერი გადმოვიდა მისი ეტლიდან და თქვა:

- მაპატიეთ, ბატონო, იმის გამო, რომ გტოვებთ. მადლობას მოგახსენებთ იმისთვის, რომ თქვენი სიკეთით ნება დამრთეთ ერთი საათი თქვენივე ეტლით მემგზავრა. გატანჯული ვიყავი, როცა ერთად მგზავრობა შემომთავაზებთ, მაგრამ ახლა თქვენი თავაზიანობის წყალობით დავისვენე. ამ მიწათმოქმედში ერთ-ერთი თქვენი წინაპრის განსხეულება შევიცანი და სხვა არაფრით შემიძლია დაგაჯილდოოთ, თუ არა იმით, რომ მას დავეხმარო გასაჭირის დროს.

ოქრომჭედელმა გაოცებით შეხედა ბერს.

- თქვენ ამბობთ, რომ ეს მიწათმოქმედი ერთ-ერთი ჩემი წინაპრის განსხეულებაა, მაგრამ ეს შეუძლებელია.

- მე ვიცი, - უპასუხა ბერმა, - რომ თქვენთვის უცნობია ის რთული და მნიშვნელოვანი კავშირები, რომლებიც ამ მიწათმოქმედის ბედთან გაკავშირებთ, მაგრამ უსინათლოს თვალისჩინს ვერ მოვთხოვთ და ამიტომ სინანული მიპყრობს, რომ საკუთარ თავს ვნებთ, და შევეცდები დაგიცვათ იმ ჭრილობებისგან, რომლებიც თქვენს თავს გინდათ მიაყენოთ.

მდიდარი ოქრომჭედელი საყვედურებს არ იყო ჩვეული. მან იგრძნო, რომ ბერის სიტყვები, თუმცა კი დიდი სიკეთით იყო ნათქვამი, გულისმომწყვლელ საყვედურს შეიცავდა და უბრძანა თავის მსახურს, მაშინვე გზა გაეგრძელებინათ.

ბერი მიესალმა დევალა-მიწათმოქმედს და დაეხმარა მას ფორნის შეკეთებასა და გაბნეული ბრინჯის აკრეფაში. საქმე სწრაფად მიიწევდა წინ და დევალამ გაიფიქრა:

„ეს ბერი, ალბათ, წმინდა ადამიანია, - მას თითქოს უხილავი სულები ეხმარებიან. ვკითხავ, რატომ მომექცა ის კაცი ასე სასტიკად“.

და მან თქვა:

- ღირსეულო ბატონო! ხომ არ შეგიძლიათ მითხრათ, რისთვის განვიცადე უსამართლობა იმ ადამიანისგან, ვისთვისაც ცუდი არაფერი გამიკეთებია?

ბერმა უპასუხა:

- ძვირფასო მეგობარო, ეს უსამართლობა არ ყოფილა, თქვენ მხოლოდ ახლანდელ არსებობაში განიცადეთ ის, რაც ამ ოქრომჭედელს წინა ცხოვრებაში გაუკეთეთ. და მე არ შევეცდები, თუ ვიტყვი, რომ თქვენც იმავეს გაუკეთებდით, მის ადგილზე რომ ყოფილიყავით და ასეთივე ძლიერი მსახური გყოლოდათ.

მიწათმოქმედმა მართლაც აღიარა: ძალაუფლება რომ ჰქონოდა და სხვა ადამიანს მისთვის გზა გადაეღობა, ისევე მოექცეოდა, როგორც ოქრომჭედელი მოექცა მას, და ამას სულაც არ ინანებდა.

ბერი და მიწათმოქმედი უკვე ბენარესს უახლოვდებოდნენ, როცა დამფრთხალი ცხენი უცებ განზე გახტა.

- გველი, გველი! - შესძახა მიწათმოქმედმა.

ბერი დააკვირდა საგანს, რამაც ცხენი დააფრთხო, სწრაფად გადმოვიდა ფორნიდან და დაინახა, რომ ეს ოქროთი სავსე ქისა იყო.

„მდიდარი ოქრომჭედლის გარდა ამას სხვა არავინ დაკარგავდა“, - გაიფიქრა მან, ქისა აიღო, მიწათმოქმედს მიაწოდა და თქვა:

- აიღეთ ეს ქისა და როცა ბენარესში იქნებით, მიბრძანდით სასტუმროში, რომელსაც მიგიითითებთ, იკითხეთ ოქრომჭედელი პანდუ და ქისა გადაეცით. იგი ბოდიშს მოგიხდით თავისი უხეშობისთვის, მაგრამ უთხარით, რომ აპატიეთ და წარმატებებს უსურვებთ საქმიანობაში, რადგან, მერწმუნეთ, რაც უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს, ეს მით უკეთესი იქნება თქვენთვის. თქვენი ბედი მრავალმხრივ არის დამოკიდებული მის ბედზე. თუკი პანდუ განმარტებას მოგთხოვთ, მაშინ იგი მონასტერში გამოგზავნეთ, სადაც მე ყოველთვის მზად ვიქნები რჩევით დავეხმარო, თუკი ასეთი რამ დასჭირდება.

პანდუ ამასობაში ჩავიდა ბენარესში და მალმექას - თავის სავაჭრო პარტნიორს, მდიდარ ბანკირს შეხვდა.

- დავიღუპე, - შესჩივლა მალმექამ, - და ვერც ვერაფერს ვაკეთებ. დღესვე უნდა ვიყიდო ერთი ურემი საუკეთესო ბრინჯი მეფის სამზარეულოსთვის. ბენარესში ერთი ჩემი მეტოქე ბანკი-

რია, რომელმაც, როცა გაიგო, რომ მე პირობა მივეცი მეფის ვეზირს, რომ დღეს დილით ერთ ურემ ბრინჯს მივუტანდი, ჩემი ჯიბრით ბენარესის მთელი ბრინჯი შეისყიდა. მეფის ვეზირი აუცილებლად მომთხოვს პირობის შესრულებას და ხვალ ჩემი აღსასრული დადგება, თუ კრიშნა ზეციდან ანგელოზს არ გამომიგზავნის.

იმ დროს, როცა მალმექა თავის უბედობას მისტიროდა, პანდუმ ქისაზე იკრა ხელი. როდესაც მთელი თავისი ეტლი მოჩხრიკა და მას ვერსად მიაგნო, თავის მსახურ მაგადუტაზე მიიტანა ეჭვი და პოლიციელებს უხმო, მსახურს ბრალი დასდო, გააკოჭა და სასტიკად აწამებდა, რათა როგორმე გამოეტეხა. გატანჯული მაგადუტა სასტიკად ყვიროდა:

- მე უდანაშაულო ვარ, გამიშვით! ამ წამებას ველარ ვიტან! ბრალი არაფერში მიმიძღვის და სხვისი ცოდვის გამო ვისჯები! ოჰ, რომ შემეძლოს პატიება ვთხოვო იმ მიწათმოქმედს, ვისაც ჩემი ბატონის გულისთვის ბოროტად მოვექეცი! ეს წამება, ალბათ, სასჯელია ჩემი სისასტიკისთვის.

იმ დროს, როდესაც პოლიციელები მსახურს სცემდნენ, მიწათმოქმედი სასტუმროში მივიდა და ყველას გასაოცრად, ქისა პატრონს ჩააბარა. მსახური მაშინვე გაათავისუფლეს, მაგრამ თავისი ბატონით უკმაყოფილო, გაექცა მას და ყაჩაღებს შეუერთდა, რომლებიც მთებში ცხოვრობდნენ. როდესაც მალმექამ გაიგო, რომ მიწათმოქმედს საუკეთესო ბრინჯი ჰქონდა, რომელიც მეფის სუფრასაც კი დაამშვენებდა, მაშინვე იყიდა მთელი ფორანი სამმაგ ფასად, ხოლო პანდუმ, რომელიც ფულის დაბრუნებით იყო გახარებული, მონასტერს მიაშურა, რათა ბერისგან დაპირებული განმარტება მიეღო.

ნარადამ თქვა:

- მე შემიძლია აგისხნათ, მაგრამ ვიცი, რომ თქვენ ვერ გაიგებთ სულიერ ჭეშმარიტებას და ამიტომ დუმილს ვამჯობინებ, თუმცა ზოგად რჩევას მოგცემთ: ყოველ შემხვედრ ადამიანს ისევე მოექცეცით, როგორც საკუთარ თავს, ემსახურეთ მას ისევე, როგორც გსურთ, რომ თქვენ მოგემსახურონ. ასე კეთილ საქმეთა თესლს ჩაყრიეთ და მისი მდიდარი სამკალიც არ დაახანებს.

- ოჰ, ამისხენით! - თქვა პანდუმ, - და მაშინ უფრო ადვილად მივყვები თქვენს რჩევას.

და ბერმა მიუგო:

- მაშ, მომისმინეთ, მე საიდუმლოს გასაღებს მოგცემთ: რომც ვერ ჩასწვდეთ, გჯეროდეთ იმის, რასაც გეტყვით. თუ საკუთარ თავს განცალკევებულ არსებად ჩათვლით, ამით თავს მოიტყუებთ და ის, ვინც ამ განკერძოებული არსების ნებას ასრულებს, ცრუ რჩევას მიჰყვება, რაც მას ცოდვის უფსკრულში გადაჩეხავს. ის, რომ თავს განცალკევებულ არსებად ვთვლით, იმის გამო ხდება, რომ ეშმას საფარველი აბრმავებს ჩვენს თვალებს და ხელს გვიშლის დავინახოთ ურღვევი კავშირი ჩვენს მოყვასთან, ჩვენი ურთიერთობა სხვა არსებათა სულებთან. მცირედმა უწყის ეს ჭეშმარიტება. დაე, შემდეგი სიტყვები იყოს თქვენი თილისმა:

„ის, ვინც ზიანს აყენებს სხვას, საკუთარ თავს ვნებს.

ის, ვინც ეხმარება სხვებს, სიკეთეს უკეთებს თავის თავს.

ნუ ჩათვლით თავს განცალკევებულ არსებად - და თქვენ ჭეშმარიტების გზაზე დადგებით.

მისთვის, ვისი მზერაც ეშმას საფარველითაა დაბინდული, მთელი სამყარო უამრავ პიროვნებად არის დაყოფილი. და ასეთ ადამიანს არ ძალუძს გაიგოს ყოველი ცოცხალის მიმართ ყოვლისმომცველი სიყვარულის მნიშვნელობა“.

პანდუმ უპასუხა:

- თქვენს სიტყვებს, კეთილშობილო ბატონო, დიდი მნიშვნელობა აქვს, და მათ დავიმახსოვრებ. მცირე სიკეთე, რაც ჩემთვის არაფერს ნიშნავდა, საბრალო ბერს გაუუკეთე ბენარესში ჩემი მგზავრობის დროს, და აი, რა სასიკეთო აღმოჩნდა მისი შედეგები. მე დიდად ვარ თქვენგან დავალებული, რადგან უთქვენოდ არა მართო დავკარგავდი ჩემს ქისას, არამედ ბენარესშიც ვერ მოვაგვარებდი იმ სავაჭრო საქმეებს, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაზარდეს ჩემი ქონება. გარდა ამისა, თქვენმა მზრუნველობამ და ბრინჯის ფორნის მოსვლამ განაპირობა ჩემი მეგობრის, მალმექას კეთილდღეობა. ყველა ადამიანმა რომ შეიმეცნოს თქვენი წესების ჭეშმარიტება, რამდენად უკეთესი იქნებოდა ჩვენი სამყარო, როგორ შემცირდებოდა ბოროტება და გაიზრდებოდა საერთო კეთილდღეობა! მე ვისურვებდი, რომ ბუდას ჭეშმარიტება ყველას გაეგო, და ამიტომ მინდა დავაარსო მონასტერი ჩემს სამშობლოში - კოლშამბიში და გთხოვთ მეწვიოთ, რათა იგი ბუდას მოსწავლეთა ძმობას მივუძღვნა.

გავიდა წლები და პანდუს მიერ დაარსებული კოლშამბის მონასტერი ბრძენი ბერების თავშემყრის ადგილად იქცა და ცნობილი გახდა, როგორც სახალხო საგანმანათლებლო ცენტრი.

ამ დროს მეზობელი ქვეყნის მეფემ, რომელმაც შეიტყო პანდუს მიერ დამზადებული ძვირფასი სამკაულების სილამაზის შესახებ, მასთან ხაზინადარი გაგზავნა, რათა ინდოეთის ყველაზე ძვირფასი თვლებით მორთული ბაჯაღლო ოქროს გვირგვინი შეეკვეთა.

როდესაც პანდუმ დაასრულა ეს სამუშაო, მეფის დედაქალაქში გაემგზავრა და იქ სავაჭრო საქმეების მოგვარების იმედით ოქროს დიდი მარაგი წაიღო. ქარავანს, რომელსაც მისი ძვირფასეულობა მიჰქონდა, შეიარაღებული ხალხი იცავდა, მაგრამ

როდესაც მან მთებს მიაღწია, ყაჩაღები მაგადუტას მეთაურობით (რომელიც მათი ატამანი გამხდარიყო) თავს დაესხნენ, დახოცეს მცველები და მთელი ოქრო და ძვირფასი ქვები ხელთ იგდეს. თავად ჰანდუ ძლივს გადარჩა. ამ უბედურებამ დიდი დარტყმა მიაყენა მის კეთილდღეობას: ჰანდუს სიმდიდრე მნიშვნელოვნად შემცირდა.

ოქრომჭედელი ძალზე დანაღვლიანდა, მაგრამ თავის უბედობას უდრტვინველად იტანდა, ის ასე ფიქრობდა: „მე დავიმსახურე ეს დანაკარგი იმ ცოდვებით, რაც ჩემს წინა ცხოვრებაში ჩავიდინე. ახალგაზრდობაში ხალხს სასტიკად ვექცეოდი; და თუ ახლა ჩემი ავი საქმეების ნაყოფს ვიმკვი, ამაზე არც უნდა ვიწუწუნო“.

რადგანაც იგი ყველა არსების მიმართ გაცილებით კეთილი გახდა, თვლიდა, რომ ეს განსაცდელი გულის გასაწმენდად გამოადგებოდა.

წლები სწრაფად გადიოდა და ისე მოხდა, რომ პანტაკა, ახალგაზრდა ბერი და ნარადას მოსწავლე, კოლშამბის მთებში მოგზაურობის დროს ყაჩაღებს ჩაუვარდა ხელში. რადგან მას არავითარი ქონება არ გააჩნდა, ყაჩაღთა ატამანმა მაგრად მიბეგვა და გაუშვა.

მეორე დილით პანტაკამ ტყეზე გავლისას ბრძოლის ხმა გაიგონა, მიჰყვა მას და ყაჩაღებს მოჰკრა თვალი, რომლებიც გააფთრებით ებრძოდნენ თავიანთ ატამანს - მაგადუტას.

მაგადუტა ძალღებით გარემოცული ლომივით იგერიებდა მათ და ბევრი თავდამსხმელი მოკლა, მაგრამ მტრები ძალზე ბევრნი იყვნენ და საბოლოოდ იგი უგრძნობლად დაეცა მიწაზე, ჭრილობებით დაფარული.

როგორც კი ყაჩაღებმა იქაურობა დატოვეს, ახალგაზრდა ბერი მიწაზე მწოლიარე ადამიანებს მიუახლოვდა, მათი დახმარების სურვილით, მაგრამ ყველა ყაჩაღი უკვე მკვდარი იყო, მხოლოდ მათ მეთაურს ეტყობოდა სიცოცხლის ოდნავი ნიშანწყალი. ბერი მაშინვე გაემართა წყაროსკენ, რომელიც იქვე ახლოს მიედინებოდა, თავისი დოქი წყაროს წყლით აავსო და მომავლდავს მიაწოდა.

მაგადუტამ თვალები გაახილა და სუსტი ხმით წარმოთქვა:

- სად არიან ეს უმადური ძაღლები, რომლებიც ბევრჯერ მიმიყვანია გამარჯვებამდე? უჩემოდ მალე დაილუპებინან, ხაფანგში მომწყვდეული ტურებივით.

- ნუ ფიქრობთ თქვენს ამხანაგებზე და თქვენი ცოდვილი ცხოვრების თანამგზავრებზე, - თქვა პანტაკამ, - თქვენს სულზე იფიქრეთ და უკანასკნელ წუთებში გადარჩენის ის საშუალება გამოიყენეთ, რომელიც გეძლევათ. მოსვით წყალი, ჭრილობებს შეგიხვევთ. იქნებ, შევძლო კიდევ თქვენი გადარჩენა.

- ეს უშედეგოა, - უპასუხა მაგადუტამ, - მე განწირული ვარ; იმ არამზადებმა სასიკვდილოდ დამჭრეს. უმადური ნაძირალები! ისეთ დარტყმებს მაყენებდნენ, რომლებიც ჩემგან ისწავლეს.

- თქვენ იმას იმკით, რაც დათესეთ, - განაგრძო ბერმა. - თქვენი ამხანაგებისთვის სიკეთე რომ გესწავლებინათ, ისინიც სიკეთეს მოგიზღავდნენ, მაგრამ მათ მკვლელობას ასწავლიდით და ამიტომ კვდებით მათი ხელით.

- მართალია, - უპასუხა ყაჩაღთა ატამანმა, - მე დავიმსახურე ჩემი ხვედრი, მაგრამ ის იმის გამოა ყველაზე მძიმე, რომ ჩემი ავკაცობების ნაყოფი მომავალ გარდასახვებში უნდა მოვიძკა. მასწავლეთ, მოძღვარო, რა შემძლია გავაკეთო ცოდვების შესამსუბუქებლად, რომლებიც ლოდებივით მაწევს.

და პანტაკამ მიუგო:

- ძირფესვიანად ამოძირკვეთ თქვენი ცოდვიანი სურვილები, გაანადგურეთ ბოროტი ვნებები და აავსეთ თქვენი სული სიკეთით ყველა არსების მიმართ.

ატამანმა თქვა:

- მე ბევრ ბოროტებას ვაკეთებდი და არ ჩავდიოდი სიკეთეს. როგორ შევძლებ თავი დავაღწიო უბედურების ბადეს, რომელიც ჩემი გულის ბოროტი ზრახვებისგან მოვექსოვე? ჩემი კარმა ჯოჯოხეთში ჩამიყვანს და ვერასოდეს დავადგები გადარჩენის გზას.

და ბერმა მიუგო:

- დიახ, თქვენი კარმა მომავალ განსხეულებებში იმ თესლის ნაყოფს მოიძკის, რაც თქვენ დათესეთ. ბოროტი საქმეების ჩამდენი თავს ვერ დააღწევს თავისი ავკაცობის შედეგებს. მაგრამ იმედს ნუ დაკარავთ: ყოველი ადამიანი შეიძლება გადარჩეს, ოღონდ იმ პირობით, თუ თავისი არსებიდან ყველა ცდომილებას აღმოფხვრის. ამის მაგალითად გიამბობთ დიდი ყაჩაღის - კანდატას ისტორიას, რომელიც ცოდვების მოუნანიებლად მოკვდა და ისევ დაიბადა, ოღონდ ამჯერად ეშმაკად, ჯოჯოხეთში, სადაც თავისი ავი საქმეებისათვის უსაშინლეს ტანჯვა-წამებას განიცდიდა. ჯოჯოხეთში უკვე მრავალი წლის განმავლობაში იმყოფებოდა და თავის განსაცდელს თავს ვერ აღწევდა, როდესაც ბუდა დედამიწაზე გამოჩნდა და გასხივოსნების ნეტარ მდგომარეობას მიაღწია. ამ ღირსსახსოვარ დროს სინათლის სხივმა ჯოჯოხეთში შეაღწია, ყველა ტანჯულში სიცოცხლის წყურვილი და იმედი გააღვივა და ყაჩაღმა კანდატამ ხმამაღლა შესძახა: „ოჰ, ბუდა, ნეტარო, შემობრალე! საშინლად ვიტანჯები; და თუმცა ბოროტებას ჩავდიოდი, ახლა სიკეთის გზას მინდა დავადგე; მაგრამ უბედურების ბადეს ვერ ვაღწევ თავს; დამეხმარე, უფალო,

შემიბრალები!“ კარმის კანონები ხომ ისეთია, რომ ბოროტ საქმეებს დაღუპვისკენ მივყავართ.

როდესაც ბუდას მოესმა ჯოჯობხეთში ტანჯული დემონის ვედრება, მასთან ობობა გაგზავნა, და ობობამ მიუგო კანდატას: „ჩემს აბლაბუდას ჩაეჭიდე და ჯოჯობხეთიდან ამოძვერი“. როცა ობობა მხედველობიდან გაქრა, კანდატამ აბლაბუდას სტაცა ხელი და ზევით აცოცდა. იგი მეტად მტკიცე გამოდგა და სახელოვანი ყაჩაღიც სულ ზემოთ და ზემოთ მიიწევდა. უცებ იგრძნო, რომ ძაფი შეირხა და აცახცახდა, რადგან აბლაბუდაზე სხვა ცოდვილებიც მოძვრებოდნენ. კანდატა შეშინდა; მან დაინახა, უწვრილესი აბლაბუდა როგორ დაიჭიმა დიდი სიმძიმისგან, თუმცა მთლიანობას ჯერ კიდევ ინარჩუნებდა. კანდატა აქამდე მხოლოდ ზევით იყურებოდა, ახლა კი ქვემოთ ჩაიხედა და თვალი მოჰკრა, რომ კვალდაკვალ ჯოჯობხეთის ბინადართა ურიცხვი ბრბო მიჰყვებოდა. „ეს ნაზი აბლაბუდა როგორ გაუძლებს მთელი ამ ხალხის სიმძიმეს“, - გაიფიქრა მან და შეშინებულმა ხმა-მაღლა დაიყვირა: „მოშორდით აბლაბუდას, ჩემია!“ და უცებ ძაფი გაწყდა და კანდატა ისევ ჯოჯობხეთში ჩავარდა. ცოდვილი ვნებები ისევ ცოცხლობდა კანდატას სულში. მისთვის უცხო იყო სიმართლის გზისკენ სწრაფვის გულწრფელი სურვილი. ეს ლტოლვა აბლაბუდასავით ნაზია, მაგრამ იგი მილიონობით ადამიანს უძლებს, და რაც უფრო მეტი ადამიანი აცოცდება აბლაბუდაზე, მით უფრო გაუადვილდება თითოეულ მათგანს. მაგრამ როგორც კი ადამიანს გაუჩნდება აზრი, რომ „ეს აბლაბუდა ჩემია“, რომ ეს სიკეთე მხოლოდ მე მეკუთვნის და დაე, ნურავინ გაიზიარებს მას ჩემთან ერთად, ძაფი მაშინვე წყდება და შენ ქვევით ვარდები, განცალკევებული პიროვნების წინანდელ მდგო-

მარეობაში; პიროვნების განკერძოება კი წყევლაა, ხოლო ერთობა - დალოცვა, ნირვანა საერთო ცხოვრებაა...

- დამეხმარეთ, რომ აბლაბუდას ჩავეჭიდო, - თქვა ყაჩაღების მომავკვდავმა ატამანმა მაგადუტამ, როდესაც ბერმა თხრობა დაასრულა, - და მე თავს დავაღწევ ჯოჯობხეთის უფსკრულს.

მაგადუტა რამდენიმე წუთით გაყუჩდა, აზრებს თავს უყრიდა, შემდეგ განაგრძო:

- მომისმინეთ, რაღაც მინდა გაგიმხილოთ. მე პანდუს მსახური ვიყავი, კოლშამბელი ოქრომჭედლის, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან უსამართლოდ დამსაჯა, მისგან გავიქეცი და ყაჩაღთა მეთაური გავხდი. რამდენიმე ხნის წინ ჩემი მზვერავებისგან შევიტყვე, რომ იგი მთების გავლით მიემგზავრებოდა და გავძარცვე, ქონების დიდი ნაწილი წავართვი. მიდით ახლა მასთან და უთხარით, რომ მთელი გულით ვაპატიე ის შეურაცხყოფა, რაც უსამართლოდ მომაყენა, და მასაც ვთხოვ მაპატიოს, რომ გავძარცვე. როდესაც მასთან ვცხოვრობდი, მისი გული ქვასავით სასტიკი იყო და მე მისგან ვისწავლე ამპარტავნობა. გავიგე, რომ ახლა გულკეთილი გახდა და სიკეთისა და სამართლიანობის ნიმუშად თვლიან. არ მინდა, მას ვალში დავრჩე; ამიტომ გადაეცით, რომ მე შევინარჩუნე ოქროს გვირგვინი, რომელიც მან მეფისთვის დაამზადა, და მთელი მისი განძი და ისინი მიწისქვეშეთში დავმალე. მხოლოდ ორმა ყაჩაღმა იცოდა ის ადგილი, ახლა ორივე მკვდარია; დაე პანდუმ შეიარაღებული ხალხი წაიყვანოს, მივიდეს იმ ადგილას და დაიბრუნოს თავისი საკუთრება, რომელიც მე წავართვი.

ამის შემდეგ მაგადუტამ აუხსნა, სად იყო ის მიწისქვეშეთი და პანტაკას ხელებში განუტევა სული.

კოლშამბიში დაბრუნებისთანავე ახალგაზრდა ბერი პანტაკა ოქრომჭედელს ეწვია და ყველაფერი უამბო, რაც ტყეში მოხდა.

პანდუ შეიარაღებულ რაზმთან ერთად ჩავიდა მიწისქვეშეთში და მთელი განძი წამოიღო, რომელიც იქ ატამანმა დამალა. მათ პატივით დაკრძალეს მაგადუტა და მისი მოკლული ამხანაგები, და პანტაკამ საფლავთან შემდეგი სიტყვები წარმოთქვა:

„პიროვნება სხადის ბოროტებას და თვითონვე იტანჯება მისგან.

პიროვნება თავს იკავებს ბოროტებისგან და ის იწმინდება.

სიწმინდე და უწმინდურობა პიროვნებას ეკუთვნის: არავის ძალუძს სხვისი განწმენდა.

ადამიანი თვითონ უნდა გაისარჯოს; ყველა ბუდა მხოლოდ მქადაგებელია“.

„ჩვენი კარმა, - თქვა კიდევ ბერმა პანტაკამ, - არ არის შივარას, ბრამას ან ინდრას, ან რომელიმე სხვა ღმერთის მიერ შექმნილი, - ჩვენი კარმა ჩვენი ქცევების შედეგია.

ჩემი საქმიანობა არის საშო, რომელიც მე მატარებს, არის მემკვიდრეობა, რომელიც მერგება, არის წყევლა - ჩემი ბოროტი საქმეებისა და კურთხევა - ჩემს სიკეთეთა გამო. ჩემი საქმიანობა ჩემი გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა“.

პანდუმ კოლშამბიში წაიღო მთელი თავისი განძი, ზომიერად სარგებლობდა თავისი ასე მოულოდნელად დაბრუნებული სიმდიდრით და მშვიდად და ბედნიერად განვლო დარჩენილი სიცოცხლე და როდესაც სიკვდილის წინ მასთან მისი ყველა ვაჟი, ქალიშვილი და შვილიშვილი შეიკრიბა, პანდუმ ასე მიმართა მათ:

- საყვარელო შვილებო, სხვებს ნუ დასდებთ ბრალს თქვენს წარუმატებლობაში. თქვენი უიღბლობის მიზეზები საკუთარ თავ-

ში ეძიეთ. და თუ დაბრმავებული არა ხართ ამპარტავნობით, მი-
აგნებთ მას, ხოლო მისი პოვნით შეძლებთ ბოროტებას დააღწი-
ოთ თავი. თქვენი უბედურების წამალი ისევ თქვენშია... გახსოვ-
დეთ ის სიტყვები, რომლებიც ჩემი ცხოვრების თილისმა იყო:

„ის, ვინც ტკივილს აყენებს სხვას, საკუთარ თავს უკეთებს ბო-
როტებას.

ის, ვინც სხვას ეხმარება, თავის თავს შველის.

ნურავის გაუმხელთ თქვენს კეთილ საქმეებს და აღიარეთ
ადამიანთა წინაშე თქვენ მიერ ჩადენილი ცოდვები - და თქვენ
დაადგებით სიმართლის გზას“.

1894

ოჯახური ბედნიერება ნაწილი პირველი



დედას ვგლოვობდით, რომელიც შემოდგომაზე გარდაიცვალა და მთელი ზამთარი სოფელში ვცხოვრობდით მე, კატია და სონია.

კატია ოჯახის ძველი მეგობარი იყო, ჩვენი გუვერნანტი, ყველანი მისი გაზრდილები ვიყავით. რაც თავი მახსოვდა, იმ დროიდანვე მახსოვდა და მიყვარდა კატია. სონია ჩემი უმცროსი და გახლდათ. საკმაოდ მოსაწყენი და ნაღვლიანი ზამთარი გავატარეთ პოკროვსკოეში, ჩვენს ძველ სახლში. ცივი, ქარიანი ამინდი იყო, ფანჯრებს აყრიდა ნამქერს. ფანჯრები მუდამ გაყინული და მქრქალი იყო. თითქმის მთელი ზამთარი შინიდან გარეთ არ გავსულვართ, ჩვენთანაც იშვიათად თუ მოვიდოდა ვინმე, და თუ მოდიოდა ვინმე, ისიც არ მატებდა მხიარულებასა და სიხარულს ჩვენს სახლს. ყველა დანაღვლიანებული დადიოდა, ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, თითქოს ეშინოდათ, ვინმე არ გაელვიძებინათ. არ იცინოდნენ, ხშირად ხვნეშოდნენ და ტიროდნენ, როცა მე, ან განსაკუთრებით, პატარა სონიას დაინახავდნენ ძაძებით მოსილს. სახლში თითქოს ჯერ კიდევ იგრძნობოდა სიკვდილი. მწუხარება და სიკვდილის ბარი ავსებდა ჰაერს. დედაჩემის ოთახი ჩაკეტილი იყო. როცა დასაძინებლად მიმავალი გვერდით ჩავუვლიდი ხოლმე, თან მეშინოდა, თან თითქოს რაღაც მიბიძგებდა ამ ცივი და დაცარიელებული ოთახისკენ.

მაშინ ჩვიდმეტი წლის ვიყავი და დედა სწორედ თავისი გარდაცვალების წელს აპირებდა ქალაქში გადასვლას, რომ საზოგადოებაში გავეყვანე. დედის დაკარგვა ჩემთვის ძლიერი ტკივილი იყო, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ამ მწუხარებისგან ისიც იგრძნობოდა, რომ მე ახალგაზრდა ვიყავი, მოხდენილი, როგორც ყველა მეუბნებოდა, და აგერ უკვე მეორე ზამთარია განმარტოებული ფუჭად ვფლანგავდი დროს სოფელში. სანამ ზამთარი გაილეოდა, მარტოობისა და, უბრალოდ, მოწყენილობის ეს განცდა ისე მომემატა, რომ ოთახიდანაც კი არ გამოვდიოდი, ფორტეპიანოს არ ვეკარებოდი და წიგნსაც ხელს არ ვკიდებდი. როცა კატია მარწმუნებდა, ან ერთისთვის მიმეხედა, ან მეორისთვის, ვპასუხობდი, რომ არ მინდა, არ შემიძლია, ჩემი სული კი მოთქვამდა: რატომ? რისთვის გავაკეთო რაღაც, როცა ამოდ იკარგება ჩემი საუკეთესო წლები? რატომ? ამ „რატომს“ კი სხვა პასუხი არ ჰქონდა, ცრემლების გარდა.

მაგონებდნენ, რომ ამასობაში გავხდი და დაუშნოვდი კიდევ, მაგრამ ეს არ მაღელვებდა. რატომ? ვისთვის? მეჩვენებოდა, რომ მთელ ჩემს ცხოვრებას ასეც უნდა გაევლო ამ ჯურღმულში და უსუსურ მწუხარებაში, რომლიდანაც მე თვითონ, მარტოკვას გამოსვლის არც ძალა მქონდა და აღარც სურვილი. ზამთრის ბოლოს კატია უკვე შფოთავდა ჩემ გამო და გადაწყვიტა, რაღაც უნდა დასჯდომოდა, საზღვარგარეთ გავეშვი. მაგრამ ამას ფული სჭირდებოდა, ჩვენ კი ისიც პრაქტიკულად არ ვიცოდით, დედის სიკვდილის შემდეგ რა ქონება დაგვრჩა. ყოველდღე ველოდით მეურვეს, რომელსაც უნდა გაერკვია ჩვენი ამბები.

მეურვე მარტში ჩამოვიდა.

- მაღლობა ღმერთს, - მითხრა ერთხელ კატია, როცა მე უსაქმოდ, უნიათოდ და უაზროდ კუთხიდან კუთხეში ჩრდილივით დავბორიალებდი, - სერგეი მიხაილიჩი ჩამოსულა და კაცი გამოუგზავნია ჩვენი ამბის გასაგებად, ჩვენთან აპირებს სადილად მოსვლას. გამოფხიზლდი, ჩემო მაშენკა, თორემ, კაცმა არ იცის, რას იფიქრებს შენზე! მას ხომ ყველანი ასე ძალიან უყვარდით.

სერგეი მიხაილიჩი ჩვენი ახლო მეზობელი და განსვენებული მამაჩემის მეგობარი გახლდათ, თუმცა მამაზე ბევრად ახალგაზრდა. გარდა იმისა, რომ მისი ჩამოსვლა ჩვენს გეგმებს ცვლიდა და სოფლის დატოვების საშუალება გვეძლეოდა, ბავშვობიდან შევეჩვიე მას, მიყვარდა, პატივს ვცემდი და კატიადაც, როცა მიჩვევდა - გამოფხიზლდიო, იცოდა, რომ მე ყველაზე მეტად სწორედ ის მეწყინებოდა, თუ მას შეექმნებოდა ჩემზე ცუდი აზრი. მეც მიყვარდა, ისე როგორც ყველა დანარჩენს ჩვენს ოჯახში, კატიას და სერგეი მიხაილიჩის ნათლული სონიადან, უკანასკნელ მეეტლემდე, რადგან ბავშვობიდან შევეჩვიე, მაგრამ ჩემთვის მას სხვა, განსაკუთრებული მნიშვნელობაც ჰქონდა. ერთხელ დედამ ჩემი თანდასწრებით თქვა: აი, სწორედ ასეთ ქმარს ვისურვებდი შენთვისო. მაშინ ამ სიტყვებმა გამაოცა, თითქოს არც მესიამოვნა. ჩემი ოცნების რაინდი სულ სხვანაირი წარმომედგინა: გამხდარი, ფერმკრთალი, ნაღვლიანი. სერგეი მიხაილიჩი კი არც ისე ახალგაზრდა იყო, თანაც - აწოწილი, მსხვილი და, როგორც მე მეჩვენებოდა, მუდამ მხიარული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს სიტყვები გულში ჩამრჩა და ჯერ კიდევ ექვსი წლის წინ, როცა თერთმეტი წლის გახლდით და სერგეი მიხაილიჩი შენობით მელაპარაკებოდა, ჩემთან თამაშობდა და ია-გოგონას მეძახდა, შიშით ვეკითხებოდი საკუთარ თავს: რა მეშველება, უცებ რომ ჩემი ცოლად შერთვა მოისურვოს?

სადილის წინ, რომელსაც კატია მამცხვარი, კრემი და შპინატი შეამატა, სერგეი მიხაილიჩი მოვიდა. ფანჯრიდან დავინახე, როგორ მოუახლოვდა მისი პატარა მარხილი ჩვენს სახლს. როცა კუთხეში შემოუხვია, მე სასტუმროსკენ გავემართე, მინდოდა უბრალოდ შევხვედროდი, თითქოს სულ არ ველოდი, მაგრამ როგორც კი მისი ფეხის ხმა, ხმამაღალი ლაპარაკი და კათიას ნაბიჯების ხმაც შემომესმა, ვეღარ მოვითმინე და შესაგებებლად გავეშურე. მას კათიასთვის ჩაეკიდა ხელი, ხმამაღლა ლაპარაკობდა, იღიმებოდა. დამინახა თუ არა, შეჩერდა, რამდენიმე ხანს მიყურა, არ მომსალმებია, ისე. მეუხერხულა, ვიგრძენი როგორ გავწითლდი.

- ნუთუ ეს თქვენ ხართ? - თქვა ჩვეული სითამამით, უბრალო მანერით, ხელების ქნევით და მომიახლოვდა, - ნუთუ შეიძლება ასე შეიცვალოს ადამიანი!.. როგორ გაზრდილხართ! აი ესეც თქვენი ია! თქვენ უკვე ვარდო გამხდარხართ.

თავისი დიდი ხელი ხელზე მომკიდა, მომიჭირა, რაც შეიძლებოდა მაგრად, ოღონდ არ უტკენია. მეგონა, ხელზე მაკოცებდა, დავიხარე კიდევ მისკენ, მაგრამ ერთხელ კიდევ მომიჭირა ხელი და თავისი მტკიცე, მხიარული გამოხედვით პირდაპირ თვალებში ჩამხედა.

ექვსი წელი არ მენახა. თავადაც ძალიან გამოცვლილიყო. დაბერებული და გაშავებული მომეჩვენა, ბაკენბარდები მოეზარდა და არ უხდებოდა, მაგრამ ისევ ის უბრალო და უშუალო ქცევები ჰქონდა, მსხვილი ნაკვთები, ნათელი, პატიოსანი სახე, ჭკვიანი, მოელვარე თვალები და ალერსიანი, თითქოს ბავშვური ღიმილი.

ხუთი წუთის შემდეგ სტუმარი აღარ იყო, ყველასთვის უცებ ახლობელი გახდა, მოსამსახურეებისთვისაც კი. იმაშიც კი გა-

მოსტვიოდა მათი განსაკუთრებული სიხარული, რომ დაუზარ-
ლად აკეთებდნენ ყველაფერს, რასაც კი დაავალებდა.

ჩვენი მეზობლებივით კი არ მოქცეულა, დედაჩემის სიკვდი-
ლის შემდეგ რომ მოდიოდნენ და თავს რატომღაც ვალდებუ-
ლად მიიჩნევდნენ, ჩუმად მსხდარიყვნენ და ეტირათ. საღამოს
ჩაიზე, ისე როგორც დედაჩემის დროს ხდებოდა ხოლმე, კატია
ჩაის დასასხმელად მაგიდას მიუჯდა მისთვის განკუთვნილ ად-
გილზე და მე და სონიაც გვერდით მივუსხედით. მოხუცმა გრიგო-
რიმ მამაჩემის ნაქონი ჩიბუხი მოძებნა და სერგეი მიხაილიჩს
გაუწოდა, მან კი, როგორც ძველად იცოდა, ოთახში წინ და უკან
სიარული დაიწყო.

- რა საშინელი ცვლილებებია ამ სახლში, რომ დაფიქრდე! -
თქვა და შეჩერდა.

- ჰო, - ამოიოხრა კატიამ, სამოვარს თავსახური დაახურა,
სერგეი მიხაილიჩს შეხედა და თვალეები აუწყლიანდა.

- თქვენ ალბათ გახსოვთ მამა? - მომიბრუნდა სერგეი მი-
ხაილიჩი.

- ბუნდოვნად, - ვუპასუხე მე.

- რა კარგად იქნებოდით ახლა, ცოცხალი რომ იყოს, - თქვა
წყნარად, დაფიქრებით და თვალეებს ზემოთ, თავზე შემომხედა, -
ძალიან მიყვარდა მამათქვენი! - დაამატა უფრო ჩუმად და მო-
მეჩვენა, თითქოს კიდევ უფრო გაუბრწყინდა თვალეები.

- და ამ დროს მათი დედაც უფალმა მიიბარა! - დასძინა კატი-
ამ, ხელსაწმენდი ჩაიდანზე დაადო, ცხვირსახოცი ამოიღო და
ათირდა.

- ჰო, საშინელი ცვლილებებია, - გაიმეორა სერგეი მი-
ხაილიჩმა, - სონია, შენი სათამაშოები მაჩვენე, - მიუბრუნდა ცო-

ტა ხნის შემდეგ სონიას და მასთან ერთად დარბაზში გავიდა. მე ცრემლიანი თვალებით გავხედე კატიას.

- ის ისეთი კარგი მეგობარია! - თქვა კატიამ.

მართლაც, რაღაცნაირი სითბო მაგრძნობინა ამ უცხო, კარგი კაცის თანაგრძნობამ.

სასტუმრო ოთახიდან სონიას ჟრიამული და მისი ხმაური შემომესმა. ჩაი გავუგზავნე. მერე გავიგონე, სერგეი მაიხაილიჩი როგორ მიუჯდა ფორტეპიანოს და სონიას თითები კლავიშებზე არაკუნებინა.

- მარია ალექსანდროვნა! - მომესმა მისი ხმა, - მოდით აქ, დაუკარით რამე.

მესიამოვნა, ასე უბრალოდ და მეგობრულად, თითქმის ბრძანებით რომ მომმართა. წამოვდექი და მივუახლოვდი.

- აი, ეს დაუკარით, - მითხრა და ბეთჰოვენის რვეული სონატა ქუასი უნა ფანტასია („ფანტაზიის ფორმით“) ადაჯიოზე გადაფურცლა. - ვნახოთ, როგორ უკრავთ, - ჩაილაპარაკა და ჩაის ჭიქით ხელში დარბაზის კუთხისკენ გავიდა.

ვიგრძენი, რომ მასთან შეუძლებელი იქნებოდა უარის თქმა ან შესავლის გაკეთება - ცუდად ვუკრავ-მეთქი. მორჩილად მივუჯექი ფორტეპიანოს და დაკვრა დავიწყე. ისე ვუკრავდი, როგორც შემეძლო, თუმცა მისი კრიტიკის მეშინოდა, რადგან ვიცოდი მუსიკა ესმოდა და უყვარდა კიდევ. ადაჯიო იმ განწყობას გადმოსცემდა, რაც ჩაის სმის დროს დაგვეუფლა და მგონი, კარგად დაუკარი, მაგრამ სკერცოზე გამაჩერა. „არა, თქვენ ამას ცუდად უკრავთ, - მითხრა და მომიახლოვდა, - ამას თავი დაანებეთ, პირველი კარგი იყო. როგორც ვხედავ, მუსიკა გესმით“. ამ მოზომილმა შექებამ გამახარა, იმდენად, რომ წამოვწითლდი. ჩემთვის სასიამოვნო და ახალი იყო მამაჩემის მეგობართან, მის

ტოლ კაცთან ასე პირისპირ სერიოზულად ლაპარაკი. კატია ზემოთ ავიდა სონიას დასაძინებლად. ჩვენ ორნი დავრჩით სასტუმრო ოთახში.

ის მამაჩემზე მიამბობდა. გაიხსენა, როგორ გაიცნეს ერთმანეთი, რა მხიარული ცხოვრება ჰქონდათ ჯერ კიდევ მაშინ, როცა მე წიგნებსა და სათამაშოებს ვუჯექი, მისი ნაამბობიდან პირველად გავიგე, რომ მამაჩემი უბრალო და სასიამოვნო კაცი ყოფილა, მანამდე ასეთად არ ვიცნობდი. სერგეი მიხაილიჩი მეკითხებოდა, თუ რა მიყვარს, რას ვკითხულობ, რის გაკეთებას ვაპირებ, რჩევებს მაძლევდა. ახლა ის ჩემთვის მხიარული და ხუმარა კაცი კი აღარ იყო, რომელიც მამბობდა და სათამაშოებს მიკეთებდა, არამედ სერიოზული, მოსიყვარულე და უშუალო ბუნების ადამიანი, რომლის მიმართ უნებურად პატივისცემითა და სიმპათიით განვიმსჭვალე. მასთან თავს კარგად ვგრძნობდი, სასიამოვნოდ, თუმცა საუბრისას ერთგვარ დაძაბულობასაც განვიცდიდი. სიტყვის თქმის მეშინოდა. მინდოდა ჩემით დამემსახურებინა მისი სიყვარული, რომელიც უკვე მოპოვებული მქონდა მხოლოდ იმიტომ, რომ მამაჩემის შვილი ვიყავი.

კატია მ სონია დააძინა და, როცა ჩემთან ჩამოვიდა, სერგეი მიხაილიჩთან დაიჩივლა ჩემი აპათიის შესახებ, რაზეც მე სიტყვა არ დამიძრავს.

- თურმე ყველაზე მთავარი დაუმალავს, - თქვა ღიმილით სერგეი მიხაილიჩმა და საყვედურით თავი გადააქნია.

- რა იყო მოსაყოლი, - ვთქვი მე, - ეს ძალიან მოსაწყენია და თანაც გამივლის (ახლა მართლაც მეჩვენებოდა, რომ ნაღველი მალე გამივლიდა, თუ უკვე გავლილი არ იყო, თითქოს არც არასოდეს მქონია).

- არ არის კარგი, რომ მარტოობის გადატანა არ შეგიძლიათ, - მითხრა მან, - ნუთუ თქვენ ქალიშვილი ხართ?

- დიახ, ქალიშვილი ვარ, - მივუგე სიცილით.

- არა, ცუდია ის ქალიშვილი, რომელიც მხოლოდ მაშინ ცოცხლობს, როცა მისით ტკბებიან, როგორც კი მარტო დარჩება. მაშინვე მოიწყენს, არაფერი აინტერესებს, ყველაფერი სხვების დასანახავად უნდა, საკუთარი თავისთვის - არაფერი.

- კარგი აზრი გქონიათ ჩემზე, - ვთქვი მხოლოდ იმიტომ, რომ რამე მეთქვა.

- არა, - თქვა მან მცირე დუმილის შემდეგ, - ტყუილად არ ჰგავხართ მამათქვენს, თქვენში არის რაღაც, - მისი კეთილი, ყურადღებიანი გამოხედვა ისევ მესიამოვნა და გამახარა.

ახლალა შევნიშნე მის ერთი შეხედვით მხიარულ სახეზე მართო მისთვის დამახასიათებელი გამოხედვა, ჰერ ნათელი, თანდათან კი უფრო და უფრო მეტად ყურადღებიანი და ცოტა ნაღვლიანი.

- თქვენ არ უნდა მოიწყინოთ და არც შეიძლება, რომ მოიწყინოთ, - მითხრა მან, - თქვენ გაქვთ მუსიკა, რომელიც გესმით, გაქვთ წიგნები, ცოდნა, მთელი ცხოვრება გაქვთ წინ, რომლისთვისაც ახლა უნდა მოემზადოთ, თორემ მერე ინანებთ, ერთი წლის შემდეგ გვიან იქნება.

მამასავით ან ბიძასავით მელაპარაკებოდა და ვგრძნობდი, როგორ ცდილობდა თავი ჩემ ტოლად წარმოეჩინა. მწყინდა კიდევ, რომ თავისზე დაბლა მდგომად მიმიჩნევდა, თან მიხაროდა - მხოლოდ ჩემთვის ცდილობდა სხვაგვარი ყოფილიყო.

სალამოს დარჩენილი დრო კატიამ და სერგეი მიხაილიჩმა საქმეებზე ისაუბრეს.

- მაშ ნახვამდის, კეთილო მეგობრებო, - თქვა და წამოდგა, მომიახლოვდა, ხელზე ხელი მომკიდა.

- კიდევ როდის გნახავთ? - ჰკითხა კატამ.

- გაზაფხულზე, - უპასუხა მან ისე, რომ ჩემი ხელი ისევ ხელში ეჭირა. - ახლა დანილოვკაში წავალ (ჩვენს მეორე სოფელში); იქაურ ამბებს გავიგებ, საქმეებს მოვაგვარებ, როგორც კი შევძლებ, მოსკოვში შევივლი პირად საქმეზე, გაფხულში კი ისევ შევხვდებით ერთმანეთს.

- რატომ ასე დიდი ხნით? - ვუთხარი საშინლად დასევდიანებულმა. მართლაც, მე უკვე იმედი მქონდა, რომ ყოველდღე ვნახავდი, ახლა კი უცებ შიში დამეუფლა. მეწყინა, ნუთუ ისევ უნდა დავნადვლიანებულიყავი. ალბათ ხმაზეც და სახეზეც დამეტყოეს.

- დიახ. მეტი იმეცადინეთ, ნუ ჩაქინდრავთ თავს, - მითხრა ძალიან უბრალოდ და როგორც მე მომეჩვენა, ცოტა ცივადაც, - გაზაფხულზე კი გამოცდას ჩაგიტარებთ, - დასძინა და ხელი გამიშვა, სახეზე არც შემოუხედავს.

შემოსასვლელში, გაცილების დროს, აჩქარდა, ნაჩქარევადვე შემოიცვა ქურქი და ერთხელ კიდევ შემომხედა. „ტყუილად ცდილობს, - გავიფიქრე მე, - ნუთუ ჰგონია, რომ ასე მსიამოვნებს მისი შემოხედვა? კარგი ვაცია, ძალიან კარგი... სულ ეს არის...“

თუმცა იმ საღამოს მე და კატას დიდხანს არ დაგვიძინია და შეუჩერებლად ვლაპარაკობდით, ოღონდ მასზე კი არა, იმაზე, თუ როგორ გავატარებდით იმ გაფხულს, სად და როგორ ვიცხოვრებდით ზამთარში. საშინელი კითხვა: რატომ? აღარ მომსვლია აზრად. ძალიან უბრალოდ და ნათლად ვხედავდი, რომ ადამიანმა იმისთვის უნდა იცხოვროს, რომ ბედნიერი იყოს და მომავალში დიდ ბედნიერებას ვხედავდი. ჩვენი ძველი ნაღ-

ვლიანი პროგრესკოეს სახლი სიცოცხლითა და სინათლით აივ-
სო.

ამასობაში გაზაფხულიც მოვიდა, ჩემმა უწინდელმა ნაღველმა გამიარა და გაუგებარი იმედებითა და სურვილებით სავსე ნაღველიანმა ოცნებამ შემიპყრო. თუმცა ისე აღარ ვცხოვრობდი, როგორც ზამთრის დასაწყისში. მუსიკით ვიყავი დაკავებული, სონიას ვუთმობდი დროს, წიგნებს, ხშირად ბაღშიც გავდიოდი და იქ ხეივანში დიდხანს დავბოდიალებდი მარტო, ან მერხზე ჩამოვჯდებოდი და, ღმერთმა იცის, რაზე ვფიქრობდი, რაზე ვოცნებობდი. ხანდახან მთელი ღამე, განსაკუთრებით მთვარიანი ღამეებისას, დილამდე ჩემი ოთახის ფანჯარასთან ვიჯექი. ზოგჯერ პერანგის ამარა, კატიას უჩუმრად, ბაღში ჩავდიოდი და ცვრიან ბალახზე დავრობდი, გუბურამდეც მივდიოდი. ერთხელ შუადამისას მდელღობეც კი გავედი და მთელ ბაღს შემოვუარე.

ახლა მიჭირს იმ ოცნებების გახსენება და გაგება, რომლებიც მაშინ ავსებდა ჩემს წარმოსახვას. როცა ვიხსენებ, მაშინაც კი ვერ ვიჯერებ, რომ ის ოცნებები ნამდვილად მე მეკუთვნოდა, იმდენად უცნაური და ცხოვრებისგან მოშორებული იყო.

მაისის ბოლოს სერგეი მიხაილიჩი, დაპირებისამებრ, დაბრუნდა თავისი შორეული მგზავრობიდან.

პირველად საღამოს გვესტუმრა, როცა სულ არ ველოდით. აივანზე ვისხედით, ჩაის დასალევად ვემზადებოდით. ბალი უკვე ამწვანებული იყო, ყვავილებით გადაპენტილი და მთელი პეტროვკის ბულბულებით გავსებული. იასამნის ხუჭუჭა ბუჩქებს აქა-იქ თითქოს რაღაც თეთრი და ლილისფერი ჰქონდა გადაფრქვეული. ყვავილები გასაშლელად ემზადებოდნენ. არყის ხეების ხეივანი ჩამავალი მზის ქვეშ ბრჭყვიალებდა. აივანზე

გრილი ჩრდილი იდგა. საღამოს ცვარი ბალახზე გასაწოლად ემზადებოდა. ეზოში, ბალის უკან მიღეული დღის ხმაური ისმოდა, ნახირი სახლში ბრუნდებოდა. სულელმა ნიკონმა ჩვენი აივნის წინ გაიარა კასრის გორებით, რომლიდანაც წურწურით მოდიოდა წყლის ცივი ნაკადი და შავ წრეებად აჩნდებოდა გეორგინების გარშემო დაბარულ მიწას. ჩვენთან, აივანზე, თეთრ სუფრაზე გაკრიალებული სამოვარი ელვარებდა, ნაღები, კრენდელები და ნამცხვრები ეწყო. კატია ფუმფულა ხელებით შინაურულად რეცხავდა ჩაის ჭიქებს. მე ჩაის აღარ დაველოდე და ბანაობის შემდეგ მოშიებულმა ნაღებწასმული პურის ჭამა დავიწყე. ტილოს კოფთა მეცვა, უსახელო. სველ თმაზე თავსაფარი მქონდა გაკრული. კატია პირველმა შენიშნა სერგეი მიხაილიჩი, ჯერ კიდევ ფანჯრიდან.

- აჰ! სერგეი მიხაილიჩი! - თქვა მან, - ჩვენ კი ეს-ესაა თქვენზე ვლაპარაკობდით.

მე წამოვდექი, მინდოდა გავსულიყავი ტანსაცმლის გამოსაცვლელად, მაგრამ სერგეი მიხაილიჩი კარებში შემეჩხება.

- რა საჭიროა ეს ცერემონიები სოფელში, - თქვა და თავსაფარწაკრულ თავზე რომ შემომხედა, გაიღიმა, - თქვენ ხომ გრიგორისი არ გრცხვენოდეთ, მეც თქვენთვის გრიგორივით ვარ, - მაგრამ სწორედ ახლა შევნიშნე, რომ ისე სულაც არ მიყურებდა, როგორც გრიგორი შემომხედავდა და მეხამუშა.

- ახლავე მოვალ, - ვთქვი წასვლისას.

- მაინც რით არის ეს ცუდი, - დამაწია სიტყვა, - ზუსტად ახალგაზრდა გლეხი გოგოსავით ხართ.

„რა უცნაურად შემომხედა, - ვფიქრობდი და საჩქაროდ ვიცვლიდი ტანსაცმელს. - მადლობა ღმერთს, რომ ჩამოვიდა, უფრო მხიარულად ვიქნებით!“ - სარკვეში ჩავიხედე, მერე კიბეზე დავემ-

ვი, თან სრულებით არ დამიმალავს, რომ ვჩქარობდი, ქშენით შევირბინე აივანზე. სერგეი მიხაილიჩი მაგიდასთან იჯდა, კატიას ჩვენს საქმეებზე ელაპარაკებოდა. შემომხედა, გამიღიმა და ლაპარაკი განაგრძო. ჩვენი საქმე, მისი თქმით, მშვენივრად მიდიოდა, ჩვენ მხოლოდ ამ ბაფხულს ვიქნებოდით სოფელში, მერე კი პეტერბურგში ანდა საზღვარგარეთ წავიდოდით სონიას აღსაზრდელად.

- ნეტავ ჩვენთან ერთად წამოსულიყავით საზღვარგარეთ, - უთხრა კატიამ, - თორემ ჩვენ იქ ისე ვიქნებით, როგორც ტყეში.

- ეჰ! თქვენთან სამყაროსაც შემოვუვლიდი გარს, - ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად თქვა.

- მაშ გავეშურეთ სამყაროს გარშემო სამოგზაუროდ, - მივმართე მე.

გამიღიმა და თავი გააქნია.

- მერე დედაჩემი? საქმეები?.. მაგრამ საქმე ეგეც არ არის, მოდით მიაძებთ, როგორ გაატარეთ დრო. ისევ ხომ არ მოიწყინეთ?

როცა ვუამბე, რომ მის არყოფნაში ვმეცადინეობდი და სულაც არ მომიწყენია, კატიამაც დაადასტურა ჩემი ნათქვამი, სერგეი მიხაილიჩმა შემაქო და სიტყვებითაც და თვალებითაც მომიალერსა, როგორც ბავშვს და თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი დაწვრილებით და გულახდილად უნდა მეამბა მისთვის, რა გამიკეთებია კარგი, და როგორც აღსარებაში, მეღიარებინა ყველაფერი, რითაც ის შეიძლებოდა უკმაყოფილოც დარჩენილიყო. ისეთი კარგი საღამო იყო, რომ ჩაის ჭურჭელი აალაგეს, ჩვენ კი ისევ აივანზე დავრჩით. ამ საუბარმა ისე გამიტაცა, არც შემინიშნავს, როგორ მიწყნარდა გარშემო ადამიანთა ხმები. ყვავილების სურნელი ყველა მხრი-

დან მოდიოდა, ბალახი დაცვარულიყო. ბულბულმა დაიწყო გალობა ჩვენ სიახლოვეს იასამნის ბუჩქზე და როგორც კი ჩვენს ლაპარაკს მოჰკრა ყური, მაშინვე მიჩუმდა. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თითქოს ჩვენს თავზე დაეშვა.

მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ დაბინდებულიყო, როცა აივანზე ჩამოფარებული ტილოს ქვეშ დამურამ უხმაუროდ გაიმჩრიალა და ჩემს თეთრ თავსაფართან ახლოს აფართხალდა. კედელს ავეკარი და უკვე დაყვირებას ვაპირებდი, მაგრამ ისევ სწრაფად და უხმაუროდ გაფრინდა და ნახევრად ჩაბნელებული ბაღის სიღრმეში მიიმალა.

- როგორ მიყვარს თქვენი პოკროვსკოე, - საუბარი შეწყვიტა და ისე თქვა მან, - მთელი სიცოცხლეც კი ვიჯდებოდი ასე აივანზე.

- ჰოდა, იჯექით მერე, - თქვა კატიამ.

- ჰო, იჯექი, - ჩაილაპარაკა, - მაგრამ ცხოვრება კი ზის?

- ცოლს რატომ არ ირთავთ? - ჰკითხა ისევ კატიამ, - შესანიშნავი ქმარი იქნებოდით.

- იმიტომ, რომ ჯდომა მიყვარს, - გაეცინა სერგეი მიხაილიჩს.

- არა, კატერინა კარლოვნა, რაღა დროს ჩემი და თქვენი ქორწინებაა, უკვე დიდი ხანია აღარავინ მიყურებს ისე, როგორც დასაოჯახებელ კაცს. აღარც ვდარდობ ამაზე და მას მერე კარგადაც ვგრძნობ თავს.

მომეჩვენა, რომ რაღაც არაბუნებრივი გატაცებით ლაპარაკობდა ამაზე.

- კარგია, ოცდათექვსმეტი წლის ხართ და უკვე გალიეთ ცხოვრება, - თქვა კატიამ.

- მერედა როგორ გავლიე, - განაგრძო სერგეი მიხაილიჩმა, - ახლა მხოლოდ ჯდომაღა მინდა. ხოლო ცოლის შესართავად

სულ სხვა რამ არის საჭირო. აბა ჰკითხეთ ამას, - დასძინა მან და თავით ჩემკენ მიუთითა, - აი, ამათი დაქორწინებაა საჭირო, ჩვენ კი მათით უნდა გავიხაროთ.

მის ტონში ფარული ნაღველი და დაძაბულობა იგრძნობოდა, რომელიც არ გამომპარვია. ცოტა ხანს ჩუმად იყო, არც მე და არც კათიას არაფერი გვითქვამს.

- აბა, წარმოიდგინეთ, - განაგრძო სერგეი მიხაილიჩმა და სკამზე შებრუნდა, - მე რომ უცებ რაღაც უბედური შემთხვევის გამო, ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი შევირთო, აი თუნდაც მაშ.. მარია ალექსანდროვნა. ეს შესანიშნავი მაგალითია, ძალიან მიხარია, რომ ასე გამოდის... ეს ყველაზე კარგი მაგალითია.

მე გამეცინა და ვერ გავიგე რა უხაროდა, ანდა რა გამოდის ასე...

- აბა, გულზე ხელი დაიდეთ და მართალი მითხარით, - ხუმრობით თქვა და მომიბრუნდა, - განა თქვენთვის უბედურება არ იქნებოდა, რომ თქვენი ცხოვრება დაგეკავშირებინათ მოხუცი, მხცოვანი კაცისთვის, რომელსაც მხოლოდ ჯდომა უნდა, მაშინ, როცა თქვენ, ღმერთმა უწყის, რა გიტრიალებთ თავში, რა გინდათ!..

მე უხერხულად ვიგრძენი თავი, გავჩუმდი, არ ვიცოდი რა მეთქვა.

- მე ხომ ცოლობას არ გთხოვთ, - თქვა სიცილით, - მაგრამ გულწრფელად თქვით, თქვენ ხომ ასეთ საქმროზე არ ოცნებობთ, როცა საღამოხანს მარტო დასეირნობთ ხეივანში? ეს ხომ უბედურება იქნებოდა?

- უბედურება არა... - წამოვიძახე მე.

- არა, დაუშვათ, ცუდი, - დაამთავრა მან.

- ჰო, მაგრამ ხომ შეიძლება მე ვცდებო...

მან ისევ შემაწყვეტინა.

- აი, ხომ ხედავთ, და ის სავსებით მართალია, მე მადლიერი ვარ ასეთი გულწრფელობისთვის და მიხარია, რომ ეს საუბარი წამოვიწყეთ. ეს კიდევ ცოტაა, ეს უდიდესი უბედურება იქნებოდა ჩემთვის. - დასძინა მან.

- რა უცნაური ხართ, სულ არ გამოცვლილხართ, - თქვა კატიამ და ოთახში შევიდა, რომ ვახშმის გაწყობის განკარგულება გაეცა.

ორივენი ჩავჩუმდით კატიას წასვლის შემდეგ და ჩვენ გარშემოც სრული სიჩუმე იდგა. მხოლოდ ბუღბუღი გალობდა უკვე არა ისე გატაცებით, როგორც საღამოობით, ხანგამოშვებით და გაუბედავად, არამედ უკვე ღამის გალობას ასრულებდა, აუჩქარებლად, მშვიდად. უეცრად მეორე ბუღბუღიც გამოეხმაურა სადღაც შორიდან. ჩვენთან უფრო ახლოს მყოფი გაყუჩდა, თითქოს ყური დაუგდო, მერე ისევ გაისმა მათი ტკბილი სტვენა და ჩვენთვის მიუწვდომელ მათ სამეფოში, ღამის სიმყუდროვეში, მეფური დიდებით ამღერდა ორი ფრინველი. მებაღე ორანჟერეისკენ წავიდა დასაძინებლად. სქელ ჩექმებში ჩაწყობილი მისი ფეხების ხმა თანდათან მიწყდა. ვიღაცამ მთის ძირში ორჯერ დაუსტვინა საშინელი ხმით, მერე კი ყველაფერი ისევ მიწყნარდა. ხეზე ოდნავ შეირხნენ ფოთლები, აივანზე ჩამოფარებული ტილოც აშრიალდა და რაღაც სურნელება აივანზე ამოცოცდა და ჩვენამდეც მოფარფატდა. თავს უხერხულად ვგრძნობდი, არ შეიძლებოდა გაჩუმება მას შემდეგ, რაც ჩვენ შორის ითქვა, მაგრამ არ ვიცოდი რით უნდა დამეწყო. მას შევხედე. მოელვარე თვალებით შემომხედა.

- რა კარგია ცხოვრება ამქვეყნად, - ჩაილაპარაკა მან.

მე რატომღაც ამოვიოხრე.

- რაო?..

- რა კარგია ცხოვრება ამქვეყნად, - გავიმეორე მე.

ისევ გავჩუმდით. მეც ისევ უხერხულად ვიგრძენი თავი. ვერაფრით ვერ მოვიშორე იმაზე ფიქრი, რომ ვაწყენინე, როცა დავეთანხმე, ხანდაზმული ხართ-მეთქი. მინდოდა დამემშვიდებინა, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ.

- ახლა კი უნდა დაგემშვიდობოთ, - თქვა და წამოდგა, - დედაჩემი ვახშმად მელის, თითქმის მთელი დღეა შინ არ მივსულვარ.

- ახალი სონატა მინდოდა დამეკრა თქვენთვის, - ვუთხარი მე.

- სხვა დროს იყოს, - მომეჩვენა, თითქოს ცოტა ცივად მიპასუხა, - ნახვამდის.

ახლა უფრო მეტად ვიგრძენი, რომ მართლა ვაწყენინე და შემეცოდა. მე და კატიამ ჭიშკრამდე მივაცილეთ, ეზოში გავჩერდით, გზას თვალი გავაყოლეთ და მანამ ვუცქეროდით, სანამ სულ არ მიეფარა თვალს. ცხენის ფლოქვების ხმაც რომ მიწყდა, ბაღს შემოვუარე და აივანზე ავედი. იქიდან ისევ ღამეული ხმებით ავსებულ, ნამიან ბურუსში გახვეულ ბაღს გადავხედე. დიდხანს მესმოდა და ვხედავდი ყველაფერ იმას, რის დანახვა და გაგონებაც ასე ძალიან მსურდა.

ის მოვიდა ჩვენთან, მესამედაც და უხერხულობა, რომელიც ჩვენ შორის იმ უცნაურმა საუბარმა წარმოშვა, სულ გაქრა და არც არასოდეს გამეორებულა. მთელი ზაფხული კვირაში ორჯერ-სამჯერ გვსტუმრობდა. ისე შევეჩვიე, თუ დიდხანს არ გამოჩნდებოდა, ადგილს ვეღარ ვპოულობდი, მარტოობა მიმძიმდა და მასზე ვბრაზობდი: ცუდ ადამიანად მიმაჩნდა, რაკი მარტო მტოვებდა. ის კი ისე მეპყრობოდა, როგორც ახალგაზრდა, საყვარელ მეგობარს, მეკითხებოდა სხვადასხვა ამბავს, გულახდილ საუბარს გამიბამდა, ხან მიბრაზდებოდა კიდევც, ჭკუასაც მა-

რიგებდა. მაგრამ მიუხედავად მისი ყველა მცდელობისა, ჩემს თანატოლად მეგრძნო, ვხედავდი, რომ მას თავისი საკუთარი სამყარო ჰქონდა, ჩემთვის უცხო და მიუწვდომელი, რომელშიც არ სურდა ჩემი შეშვება და მეც სწორედ ეს მიზიდავდა, მისადმი მოწიწებით მავსებდა. კატიასა და მეზობლებისგან ვიცოდი, რომ ბევრი საზრუნავი ჰქონდა. გარდა იმისა, რომ მოხუცი დედა ჰყავდა, რომელთანაც ცხოვრობდა და რომელზეც ზრუნავდა, ასევე ჩვენს სამეურნეო საქმეებს უძღვებოდა, სხვა სათავადაზნაურო საქმეებიც აწუხებდა, რომელთა გამო ბევრი უსიამოვნებაც ჰქონია, მაგრამ დაწვრილებით არაფერი ვიცოდი მის საქმეებზე, მის შეხედულებებზე ამ საქმეების შესახებ, მის რწმენაზე, მის გეგმებსა თუ იმედებზე. როგორც კი მის საქმეებზე ჩამოვაგდებდი სიტყვას, თავისი განსაკუთრებული მანერით შუბლს შეიჭმუნინდა და თითქოს მეუბნებოდა: „საკმარისია, ძვირფასო, აბა, ეს რა თქვენი საქმეა!..“ და საუბრის თემას უცებ შეცვლიდა. პირველად ეს მაღიზიანებდა, მერე კი ისე შევეჩვიე, სავსებით ბუნებრივად მიმაჩნდა, რომ მხოლოდ ჩემ შესახებ ვსაუბრობდით.

კიდევ იყო რაღაც, რაც არ მომწონდა პირველხანობას, მერე კი, პირიქით, მსიამოვნებდა კიდევ, ჩემი გარეგნობისადმი სრული გულგრილობა და ხანდახან ერთგვარი ბიზლიც კი. არასოდეს მიუნიშნებია არც მზერით და არც სიტყვით, რომ ლამაზი ვარ. პირიქით, წარბს იკრავდა და იცინოდა ხოლმე, როცა მისი თანდასწრებით ვინმე იტყოდა, რა კარგი ხარო. უყვარდა, როცა ჩემს გარეგნობაში ნაკლს შენიშნავდა, მერე კი ამით მაბრაზებდა. მოდური ტანსაცმელი და ვარცხნილობა, რასაც კატია სადღესასწაულოდ არ მაკლებდა ხოლმე, სერგეი მიხაილიჩს მხოლოდ სიცილს ჰგვრიდა, ეს კი კეთილ კატიას სწყინდა, მეც თავიდან მეხამუშებოდა. კატიას, რომელმაც თავის გულში გადაწყვი-

ტა, რომ სერგეი მიხაილიჩს მოვწონდი, უკვირდა, როგორ შეიძლებოდა არ მოსწონებოდა, როცა მისი საყვარელი ადამიანი უკეთესი მხრიდან წარმოჩინდებოდა? მე კი მალე მივხვდი, რაც უნდოდა. მას უნდოდა დაეჯერებინა, რომ სრულიად არ ვიყავი პრანჭია. და როგორც კი ამას მივხვდი, ჩემში პრანჭიაობის ნიშან-წყალიც აღარ დარჩა, აღარ ვკვკლუცობდი - არც ჩაცმით, არც ვარცხნილობით, არც ქცევით. სამაგიეროდ, ეს ჩემი უბრალო საქციელი თეთრი ძაფით იყო ნაკერი, ძაღდატანება იგრძნობოდა, რადგან ეს უბრალოება ჩემში არ იდო. ვიცოდი, რომ სერგეი მიხაილიჩს ვუყვარდი, თუმცა ჯერ კარგად ვერ გამეგო, როგორ ვუყვარდი - როგორც ბავშვი თუ როგორც ქალი; ამაზე არც ვფიქრობდი, ამ სიყვარულს დიდად ვაფასებდი და ვგრძნობდი, რომ საუკეთესო ქალიშვილად მივაჩნდი მთელ დედამიწაზე. მინდოდა არასოდეს შესცვლოდა ეს მცდარი შეხედულება, და უნებურად ვატყუებდი, ვატყუებდი და ამ ტყუილებით თავადაც უკეთესი ვხდებოდი. ვგრძნობდი, რომ მის წინაშე სულიერი სიმდიდრის წარმოჩენა ჯობდა, ვიდრე გარეგნული სილამაზის. ჩემი თმა, ხელები, სახე, ჩვეულებანიც, კარგი იყვნენ ისინი თუ ცუდი, მან უცებ შეაფასა, ღრმად ჩასწვდა და მე აღარაფრის შემატება არ შემეძლო ჩემი გარეგნობისთვის, გარდა სურვილისა, რომ კვლავ მომეტყუებინა. ჩემს სულს კი ის არ იცნობდა და სწორედ ამიტომ შეუყვარდა ის, ჩემი სული, რომელიც მაშინ ყალიბდებოდა, და სწორედ ამ დროს შემეძლო მომეტყუებინა და ვატყუებდი კიდევ. როგორც კი ამას მივხვდი, საოცარი სიმსუბუქე ვიგრძენი. უმიზნო უხერხულობა, შებოჭილი მოძრაობები, რომელიც მასთან შეხვედრისას მახასიათებდა, სრულიად გაქრა. საიდუმლო ამოვიცანი, მივხვდი, რომ ის კარგად მიცნობდა და მოვწონდი კიდევ, მოვწონდი ყველანაირად, - მის წინ მდგომი თუ გვერდზე

მჯდომი, თმადავარცხნილი თუ თმაგაწეწილი, ის კმაყოფილი იყო ჩემით და, თავისი ჩვეულების საწინააღმდეგოდ, სხვებივით რომ ეთქვა: მშვენიერი გარეგნობა გაქვთო, ალბათ არ გამიხარდებოდა. სამაგიეროდ, როგორ მსიამოვნებდა, როცა რომელიმე ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვის შემდეგ დაკვირვებით შემომხედავდა და აღელვებული ხმით, რომელიც სურდა ხუმრობის კილოთი შეერბილებინა, მეტყოდა:

- ჰო, ჰო, თქვენში არის. თქვენ კარგი გოგონა ხართ, ნამდვილად კარგი.

მერე რისთვის ვიღებდი ასეთ ჯილდოებს, ჩემს გულს რომ სიამაყითა და სიხარულით ავსებდა? იმისთვის, რომ ვამბობდი, როგორ თანავუგრძნობდი მოხუც გრიგორის შვილიშვილის სიყვარულში; რომ ცრემლები მომადგებოდა რომელიმე წაკითხულ ლექსსა თუ რომანზე. იმიტომ, რომ შულგოფს მოცარტი მერჩივნა. საოცარია, ან როგორ მომაგონდა და როგორ ჩავწვდი ყველაფერ ამას, საიდან მივხვდი, რა ჯობდა და რა უნდა მყვარებოდა, როცა სრულიად გამოუცდელი ვიყავი და კარგისა და ცუდის გარჩევაც ჯერ არ შემეძლო. ჩემს ძველი ჩვეულებათა თუ გემოვნებათა დიდი ნაწილი მას არ მოსწონდა და საკმარისი იყო წარბის ოდნავი შერხევით, ერთი მზერით, თავისი განსაკუთრებული, საწყალი, თითქოს ოდნავ დამცინავი სახის მანჭვით ეგრძნობინებინა ეს და მეც აღარ მომწონდა, აღარ მიყვარდა ის, რაც ადრე ასე მიზიდავდა. ხანდახან მხოლოდ რჩევის მოცემას აპირებდა, თვალებით მეკითხებოდა რაღაცას და მე ალღოთი ვგრძნობდი, რის თქმა სურდა. მისი ერთი გამოხედვაც საკმარისი იყო, ჩემგან ის მოესმინა, რაც თვითონ სურდა. მთელი ჩემი მაშინდელი აზრები და გრძნობები ჩემი კი არა, მისი იყო, მხოლოდ შემდეგ იქცეოდნენ ჩემად, ჩემს ცხოვრებაში გადმოდიოდ-

ნენ და მას ანათებდნენ. ჩემთვისვე სრულიად შეუმჩნევლად ყველაფერს სხვა თვალთ შევხედე: კათიასაც, მოსამსახურეებსაც, სონიასაც, საკუთარ თავსაც, მეცადინეობასაც; წიგნებიც კი, რომლებსაც წინათ მხოლოდ ნაღველის გასაქარვებლად ვკითხულობდი, ახლა ძალიან მსიამოვნებდა, და ყოველივე ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ წიგნებზე ვილაპარაკეთ, ერთად წავიკითხეთ. მას მოჰქონდა ჩემთვის წიგნები. ადრე სონიასთან ერთად მეცადინეობა ძალიან მღლიდა, თავს მოვალედ მივიჩნევდი, ძალას ვატანდი, ახლა, როცა ის დაესწრო ჩვენს მეცადინეობას - სონიას წარმატებისთვის თვალის დევნება უკვე მიხაროდა. ადრე შეუძლებლად მიმაჩნდა რომელიმე მუსიკალური პიესის თავიდან ბოლომდე გეპირად სწავლა, ახლა კი, როცა ვიცოდი, რომ მომისმენდა, შეიძლებოდა შევექევი კიდევ, ორმოცჯერ მაინც ვიმეორებდი ერთსა და იმავე პასაჟს, ისე, რომ საწყალი კატია ყურებს ბამბით იცობდა. მე კი ისევ ვუკრავდი და არ მწყინდებოდა. ძველი და უკვე ნაცნობი სონატები ახლა რაღაც ახლებურად, სრულიად სხვაგვარად, გაცილებით უკეთ ჟღერდნენ. კათიაც კი, რომელიც მიყვარდა და საკუთარი თავივით ვიცნობდი, ჩემს თვალში სულ შეიცვალა. მხოლოდ ახლა მივხვდი საიდუმლოებას, რომ მას სრულიადაც არ ევალებოდა ყოფილიყო ჩვენთვის დედა, მეგობარი, მონა. მე ჩაფწვდი ამ მოსიყვარულე ადამიანის თავდადებას, მივხვდი, რამდენად ვიყავი დავალებული მისგან და კიდევ უფრო შემიყვარდა. სერგეი მიხაილიჩმა მასწავლა ასევე, სულ სხვა თვალთ შემეხედა შინამოსამსახურეებისთვის, გლეხებისთვის, შინაყმებისთვის, გოგონებისთვის. სასაცილოა, მაგრამ ჩვიდმეტ წლამდე ამ ადამიანთა შორის ვტრიალებდი და მათთვის უფრო უცხო ვიყავი, ვიდრე მთლად უცნობებისთვის. არასოდეს მიფიქრია იმაზე, რომ ამ ადამიანებ-

საც ისევე უყვართ, ისეთივე სურვილები აქვთ, ისეთივე სინანული, როგორც მე. ჩვენი ბაღი, ჩვენი ტალღები, ჩვენი მდელოები, რომელთაც ასე კარგად ვიცნობდი, უეცრად სრულიად ახლებური და მშვენიერი გახდა ჩემთვის, ტყუილად არ ამბობდა სერგეი მიხაილიჩი - ადამიანისთვის მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი ბედნიერება არსებობს - იცხოვრო სხვისთვის. მაშინ ეს უცნაურად მეჩვენებოდა, არ მესმოდა, მაგრამ ბევრი დაფიქრებისა და გააზრების გარეშეც ჩემს გულს ხვდებოდა. მან ჩემი სიხარულით სავესე ცხოვრება დამანახა ისე, რომ არაფერი შეუცვლია, არაფერი შეუმატებია, გარდა იმისა, რომ ჩემს ყოველ შთაბეჭდილებასა და ემოციას ახდენდა გავლენას. როგორც კი ის გამოჩნდა, ჩემ გარშემო ბავშვობიდან დადუმებული სამყარო უცებ ამეტყველდა, იმედებით ამევსო სული და ბედნიერებას ვასხივებდი.

იმ ზაფხულს ხშირად ავდიოდი მალლა, ჩემს ოთახში. განვმარტოვდებოდი, საწოლზე მივწვებოდი და იმის ნაცვლად, რომ უწინდელივით ნაღველს შევეპყარი, ან სურვილებითა და მომავლის იმედებით ავფორიაქებულიყავი, ახლანდელი ბედნიერების საამური შფოთვა მიპყრობდა. ძილი არ მეკარებოდა, ვდგებოდი, კატიასთან მივდიოდი, საწოლზე ჩამოვუჯდებოდი და ვეუბნებოდი, რომ ბედნიერი ვიყავი. თუმცა როგორც ახლა ვფიქრობ, სულ არ იყო საჭირო ამის თქმა, - უთქმელადაც ხედავდა ამას. ისიც მეუბნებოდა: მეც ბედნიერი ვარ, მეც მეტი არაფერი მინდაო და მკოცნიდა. მე მჯეროდა მისი და ვფიქრობდი, რომ ეს აუცილებელი და სამართლიანი იყო, ყველა ბედნიერი ყოფილიყო. მაგრამ კატიას ამ დროს ძილზე ფიქრიც შეეძლო, ხშირად ნაძალადევად გამიბრაზდებოდა, თავის საწოლიდან გამაგებდა და ძილს მისცემდა თავს, მე კი ძალიან დიდხანს ვფიქრობდი ჩემს ბედნიერებაზე, ხანდახან ლოგინიდან წამოვდგებოდი და

ვლოცულობდი, ზოგჯერ საკუთარი სიტყვებით მივმართავდი ღმერთს, მადლობას ვწირავდი ყველა იმ ბედნიერებისთვის, რაც მომანიჭა.

ოთახში სიჩუმე იყო; მხოლოდ მძინარე კატიას თანაბარი სუნთქვა და მის ახლოს მდგარი საათის ტიკტიკი ისმოდა. საწოლში ვტრიალებდი და ვჩურჩულებდი, ან პირჯვარს ვიწერდი, ყელზე ჩამოკიდებულ ჯვარს ვკოცნიდი. კარები დაკეტილი იყო, ფანჯრებზე დარაბები მიხურული იყო. ბუზი თუ კოლო ერთ ადგილზე ფართხალებდა, ბზუოდა. მე მინდოდა, რომ არასოდეს არ გათენებულიყო, ამ ოთახიდან არ გავსულიყავი, არასოდეს არ გამქრალიყო ის განწყობა, რომელიც ჩემს სულში სუფევდა. მეგონა, ჩემი ოცნებები, აზრები, ლოცვები - ცოცხალი არსებანი იყვნენ და ამ ბინდში ჩემთან ერთად ცხოვრობდნენ, ჩემს საწოლთან დაფრინავდნენ, თავზე მადგნენ და ჩემი თითოეული ფიქრი და გრძნობა მათ ფიქრად მიმაჩნდა. ჯერ კიდევ ვერ მივმხვდარიყავი, რომ ყველაფერი ეს სიყვარულს ნიშნავდა. მეგონა, ასე იქნებოდა მუდამ, დაუსრულებლად, მეგონა, ყველაფერი ეს უსასყიდლოდ ეძლეოდა ადამიანს.

ერთ დღეს, პურის აღების დროს, მე, კატია და სონია ნასადილევს ბაღში გავედით და ჩვენს საყვარელ მერხბე ჩამოვსხედით, ცაცხვის ჩრდილში, ხრამის პირას, რომლის იქით ტყე და მინდორი ჩანდა. სერგეი მიხაილიჩი უკვე სამი დღეა არ გამოჩენილიყო. დღეს ველოდით, მით უმეტეს, რომ თურმე ჩვენს მოურავს შეჰპირდა, ყანაში გამოვივლიო. დაახლოებით ორი საათისთვის დავინახეთ ცხენზე ამხედრებული, ჭვავის ყანისკენ რომ მიდიოდა. კატია მბრძანა, ატამი და ალუბალი მოიტანეთო, იცოდა, სერგეი მიხაილიჩს უყვარდა, მერე გამიღიმა და მერხბე მიწვა, ჩასთვლიმა. მე ცაცხვის ბრტყელი და მრუდი ტოტი მოვტეხე, პრიალა კანი და ფოთლები ჰქონდა, ხელი დამისველა. თან კატიას ვუნიავებდი ტოტით, თან ვკითხულობდი და წარამარა მინდორს გავცქეროდი სერგეი მიხაილიჩის მოლოდინში. სონია ბებერი ცაცხვის ძირში თოჯინებისთვის ქოხს აშენებდა. ცხელი, უქარო დღე იყო, ბული იდგა, მერე კი მოიქუფრა, დილიდან საწვიმრად ემზადებოდა. მე როგორც ყოველთვის, ავდრის წინ, აღელვებული ვიყავი. მაგრამ შუადღის შემდეგ ცაზე ღრუბლები გადაიყარა, მზე გამოცურდა ცაზე, თუმცა ერთ კუთხეში დროდადრო ისევ ქუხდა. ცხადი იყო, რომ დღეს აუცილებლად საწვიმრად ემზადებოდა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მხარეს მაინც. ბაღის უკანა მხრიდან ალაგ-ალაგ გზა მოჩანდა. თივით დატვირთული ურმები ჭრიალით მოზობინებდნენ. ხეების, გამჭვირვალე ფოთლებს შორის მტვრის ბული იდგა, რომელიც არც ჰაერში იფანტებოდა და არც მიწაზე ჩერდებოდა. მოშორებით კალოზე ისევ გაისმოდა ხმაური, ბორბლები ისევ ჭრიალებდა, ღობის მიღმა

ტაატიო მიიზღაზნებოდა ძნები, გლეხები ფუსფუსებდნენ და გადაძახილ-გადმოძახილი ჰქონდათ გაბმული. წინ მტვრიან მინდორზე ფორნები მიემართებოდა და იქაც ყვითელი ძნები მოჩანდა, მოთიბულ მინდორზე ჭრელ კაბებში ჩაცმული ქალები ძნებს კრავდნენ, ხელებს აქეთ-იქით იქნევდნენ და თანდათან წმინდავდნენ მინდორს, რომელიც ლამაზი ძნებით ივსებოდა. უეცრად თითქოს ჩემ თვალწინ გაფხული შემოდგომად იქცა. მტვერი და პაპანაქება იყო ყველგან, ჩვენი საყვარელი სამყოფლის გარდა, რომელიც ყველა მხრიდან დაცული იყო სიცხისგან. გარშემო ყველგან ლაპარაკი და ხმაური ისმოდა. მზის გულზე, ამ სიცხესა და მტვერში მშრომელი ხალხი საქმიანობდა.

კატია კი სუსტად ხვრინავდა. თავზე თეთრი ბატისტი წამოემხო და გრილ მერხზე ტკბილად ეძინა. შავი ალუბლები ისე მადის აღმძვრელად ბრჭყვიალებდნენ თეფშზე, ისეთი ახალთახალი კაბები გვეცვა, სუფთა წყალი ისე ლივლივებდა მზის სხივებით ალიცლიცებულ ჭიქაში, უბომო ბედნიერებას ვგრძნობდი. „რა ვქნა, - ვფიქრობდი მე, - რა ჩემი ბრალია, რომ ასე ბედნიერი ვარ? მაგრამ ვის გავუზიარო ეს განცდა? ვის და როგორ მივანდო საკუთარი თავი და ჩემი ბედნიერებაც?..“

მზე უკვე მიეფარა არყის ხეების წვერებს, მინდორი მტვრით დაიფარა, მზის ალმაცერ შუქზე მკაფიოდ გამოჩნდა შორეთი. ღრუბლები გაიფანტა. ხეებს იქით სამი ახალი ძნა გამოჩნდა. იქიდან გლეხები ჩამოცოცდნენ. ურმებმა ხმაურით ბოლოჯერ ჩაიარეს. დედაკაცები მხარზე გადებული ნიჩბებითა და ფოცხებით, სიმღერ-სიმღერით, სახლებისკენ გაეშურნენ. სერგეი მიხაილიჩი კვლავ არ ჩანდა, არადა, კარგა ხნის წინ შევნიშნე, როგორ დაეშვა მთის ძირას. უეცრად ხეივნის მეორე მხრიდან გამოჩნდა, საიდანაც სულაც არ ველოდი (ხრამიდან შემოუარა).

მხიარული, გაბრწყინებული სახით მოდიოდა, ქუდი მოეხადა, მოიჩქაროდა. როცა მთვლემარე კატია შენიშნა, ტუჩზე იკბინა, თვალები დახუჭა და ფეხაკრეფით წამოვიდა ჩემკენ. მაშინვე მივხვდი, სწორედ ისეთ უმიზნებო აღტაცების გამომხატველ განწყობაზე იყო, რომელიც ასე ძალიან მიყვარდა მასში, და რომელსაც ჩვენ გიჟურ აღფრთოვანებას ვეძახდით. იმ მოწაფეს ჰგავდა, რომელმაც მეცადინეობას თავი დააღწია. მთელი მისი არსება, თავით ფეხამდე, კმაყოფილებას, ბედნიერებასა და ბავშვურ სიცელქეს ასხივებდა.

- აბა, გამარჯობა, ნორჩო იავ, როგორ ხართ? - მითხრა ჩურჩულით და მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა, - მე კი შესანიშნავად ვარ, - მიპასუხა ჩემს შეკითხვაზე, - ახლა ცამეტი წლის ბიჭივით ვარ, ცხენობანას თამაში მინდა, ხეებზე ცოცვა.

- გიჟურად აღფრთოვანებული ხართ? - ვუთხარი და მოცინარ თვალებში ჩავხედე. ვგრძნობდი, რომ ეს აღფრთოვანება მეც გადმომედო.

- დიახ! - მითხრა და თვალი ჩამიკრა, სიცილს ძლივს იკავებდა, - ოღონდ კატერინა კარლოვნას რატომ ურტყამთ ცხვირში?

მის ყურებაში ვერც კი შევნიშნე, ტოტით თავსაფარი რომ გადამიძვრია და ფოთლებს სახეზე ვუცაცუნებდი. გამეცინა.

- მერე კი იტყვის, არ მეძინაო, - ჩავიჩურჩულე თითქოს იმიტომ, რომ კატიას არ გაჰღვიძებოდა, მაგრამ სინამდვილეში მსიამოვნებდა მასთან ჩურჩული.

სერგეი მიხაილიჩმა ჩემ გამოსაჯავრებლად ტუჩები ააცმაცუნა, თითქოს ისე წყნარად ვლაპარაკობდი, რომ არაფერი ისმოდა. ალუბლიანი თეფში რომ შენიშნა, შეპარვით აიღო და ცაცხვის ძირას მჯდარ სონიასთან მივიდა, მის თოჯინებზე დაჯდა. სონია გაჯავრდა, თუმცა მალე შერიგდნენ, თამაში დააწყებინა,

რომლის დროსაც ალუბლის ჭამაში უნდა შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

- გინდათ კიდევ მოვატანინო? - შევთავაზებ მე, - ან თუ გნებავთ, თვითონ წამოდით.

მან თეფში აიღო, ზედ თოჯინები დასვა და სამივენი ფარდულისკენ წავედით. სონია სიცილით მისდევდა უკან და პალტოზე ექაჩებოდა, თოჯინების დაბრუნებას სთხოვდა. სერგეი მიხაილიჩმა დაუბრუნა და მერე სერიოზული სახით მომიბრუნდა.

- აბა, როგორ ხართ ია, - ჩურჩულით თქვა, თითქოს აქაც ვიღაცის გაღვიძების ეშინიაო - .როგორც კი მოგიახლოვდით მთელი ამ მტვრის, სიცხის, შრომის შემდეგ, უცებ იის სურნელი ვიგრძენი. თანაც, გაშლილი იის კი არაა, ნორჩი, პირველი იის, გამდნარი თოვლის და გაბაფხულის ახალამობიბინებული ბალახის სუნი რომ აქვს.

- რაო, მეურნეობაში ყველაფერი კარგად მიდის? - ვკითხე უფრო იმისთვის, რომ დამემალა ის სასიამოვნო სიმორცხვე, რომელიც მისმა სიტყვებმა მაგრძნობინა.

- მშვენივრად! ეს ხალხი ყველგან შესანიშნავია! რაც უკეთ გაცილობს მათ, მით უფრო მეტად გიყვარდება.

- ჰო, - ვთქვი მე, - თქვენ მოსვლამდე მეც ვადევნებდი თვალს ბაღიდან მათ შრომას და უცებ ისე შემრცხვა, რომ ისინი შრომობდნენ, მე კი მშვენივრად ვიყავი, რომ...

- ნუ კეკლუცობთ ამით, მეგობარო! - შემაწყვეტინა მან უცებ სერიოზული სახით, მაგრამ თვალეებში ალერსით ჩამხედა, - ეს წმინდა საქმეა და ღმერთმა დაგიფაროთ, რომ ამით თავი მოიწონოთ.

- მე მხოლოდ თქვენთან ვამბობ ამას.

- ჰო, ეგ ვიცი. ალუბლის საქმე როგორ არის?

ფარდული დაკეტილი დაგვხვდა, არც მებაღეები ჩანდნენ (სერგეი მიხაილიჩი მათ სამუშაოდ გზავნიდა ხოლმე), სონია გასაღების მოსატანად გაიქცა, მაგრამ სერგეი მიხაილიჩი მას არ დაელოდა, კედელზე აცოცდა, ბადე ასწია და კედლის მეორე მხარეს გადახტა.

- გინდათ? - შემოესმა იქიდან, - თეფში მომაწოდეთ.

- არა, მე ჩემი ხელით მინდა მოვწყვიტო, გასაღებზე წავალ, - ვთქვი მე, - სონია ვერ იპოვის.

მაგრამ იმავდროულად მინდოდა საკუთარი თვალით მენახა, რას აკეთებდა ის იქ, როგორ როგორ მოძრაობდა, როცა დარწმუნებული იყო, რომ არავინ უყურებდა. იმ წამს უბრალოდ არ მინდოდა ერთი წუთითაც კი მომეშორებინა მისთვის თვალი. ფეხაკრეფით, ჭინჭრების გავლით შემოვუარე ფარდულს და იმ მხარეს დავდექი, სადაც კედელი უფრო დაბალი იყო, ცარიელ კასრზე შევდექი ისე, რომ კედელი ჩემ წელს ქვემოთ აღმოჩნდა და გადავიხარე, იქაურობა მოვათვალიერე, ძველი, დაგრეხილი ხეები მომხვდა თვალში, კბილანა ფართო ფოთლებით, რომელთა შორის მწიფე შავი ნაყოფი მოჩანდა. თავი ბადეში გავყავი, ბებერი ალუბლის იქით სერგეი მიხაილიჩი დავინახე. იმაში დარწმუნებული, რომ მე იქაურობას გავცილდი და არავინ უყურებდა, ქუდმოხდილს თვალები დაეხუჭა, ძველი ალუბლის ჯირკბე იჯდა და სათუთად აგორგოლებდა ალუბლის ხის წებოს. უცებ მხრები აიჩეჩა, თვალები გაახილა, რაღაც ჩაილაპარაკა და გაიღიმა. ეს სიტყვა და მისი ღიმილი იმდენად არ ჰგავდა მას, რომ შემრცხვა, ასე ჩუმად რომ ვუთვალთვალებდი. მომეჩვენა, რომ ეს იყო სიტყვა „მაშა“. „შეუძლებელია“, - ვფიქრობდი მე. „საყვარელო მაშა!“ - გაიმეორა მან უფრო ჩუმად და უფრო ალერსიანად. მაგრამ მე უკვე ნათლად მესმოდა ეს ორი სიტყვა.

გულმა გამალებით დამიწყო ცემა და ისე ავლელდი, თითქოს აკრძალული სიხარული მეწვია, კედელს ხელებით ჩავაფრინდი, რომ ძირს არ ჩავვარდნილიყავი და თავი არ გამეცა. მას შემოესმა ჩემი მოძრაობა, შიშით შემომხედა, თვალები უცებ დახარა, ბავშვივით წამოწითლდა და მოიკუნტა. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო. ისევ წამოენთო სახე, მერე შემომხედა და გამიღიმა. მეც გავუღიმიე. სიხარულით გაიბადრა; ეს უკვე ის მოხუცი ძია კი არ იყო, რომელიც მებაღერსებდა და მარიგებდა, ჩემი თანატოლი გახლდათ, რომელსაც ვუყვარდი და ეშინოდა კიდევ ჩემი. მეც მიყვარდა და მეც მეშინოდა. სიტყვას არ ვძრავდით, უხმოდ შევცქეროდით ერთმანეთს, მაგრამ უცებ სახე მოექუფრა, ღიმილი გაუქრა, თვალებშიც ნაპერწკალი ჩაქრა და ისევ ცივად, მამობრივად მომმართა, თითქოს რაღაც დანაშაული ჩავიდინეთ, ახლა გამოფხიზლდა და მეც მომიწოდებდა, გამოფხიზლებულიყავი.

„რატომ თვალთმაქცობს? რატომ უნდა, რომ გული მატკინოს?“ - გავიფიქრე შემცბარმა. მაშინვე დამეუფლა გადაულახავი სურვილი, კიდევ ერთხელ ამერია მისთვის თავგზა და მასზე ჩემი ძალა მომესინჯა.

- არა, მე მინდა თვითონ მოვწყვიტო, - ვთქვი და ახლოს მდებარე კუნძისკენ ხელი გავიწოდე. კედელზე ავხტი. ხელის შემშვლებაც ვერ მოასწრო, რომ უკვე ფარდულში ვიყავი.

- რა სისულელეებს აკეთებთ! - ჩაილაპარაკა და ისევ გაწითლდა. სურდა ამ თითქოსდა გაბრაზებით თავისი სიმორცხვე დაეფარა, - ხომ შეიძლებოდა დაშავებულიყავით? ან აქედან როგორ გახვალთ?

კიდევ უფრო შემცბარი იყო, ვიდრე წელან. მაგრამ ახლა უკვე ამ უხერხულობამ კი არ გამახარა, პირიქით, შემაშინა. მეც გად-

მომედლო ეს განცდა და მეც გავწითლდი, თვალი ავარიდე, არ ვიცოდი რა მეთქვა. ალუბლის კრეფა დავიწყე, რომლებიც აზრზე არ ვიყავი, სად უნდა წამელო. თავს ვკიცხავდი, ვნანობდი და მეშინოდა კიდეც, მეგონა, სამუდამოდ დავმდაბლდი მის თვალში. ორივე ვდუმდით და ორივეს გვიჭირდა ამ დუმილის ატანა. ისევ სონიამ გვისხნა - გასაღები მოაცუნცულა. ამის შემდეგ კიდეც დიდხანს არაფერი გვითქვამს ერთმანეთისთვის, ორივენი სონიას ველაპარაკებოდით მხოლოდ. როცა კატიასთან დავბრუნდით, რომელიც გვარწმუნებდა, არ მეძინა და ყველაფერი გავიგონეო, ცოტათი დავმშვიდდით. სერგეი მიხაილიჩმა ისევ მამობრივი-მფარველური ტონით დამიწყო ლაპარაკი, მაგრამ აღარ გამოუვიდა. მე კი ნათლად წარმომიდგა ის საუბარი, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ მოხდა ჩვენ შორის.

კატია ლაპარაკობდა იმაზე, თუ რამდენად ადვილია კაცისთვის, რომ ქალს სიყვარულში გამოუტყდეს.

- კაცს შეუძლია თქვას, რომ უყვარს, ქალს კი - არა, - ამბობდა ის.

- მე კი მგონია, რომ არც კაცს შეუძლია და არც უნდა უთხრას, რომ უყვარს.

- რატომ? - შევეკითხე მე.

- იმიტომ, რომ ეს ყოველთვის ტყუილი იქნება. განა რა ისეთი განსაკუთრებული აღმოჩენაა, რომ ადამიანს უყვარს! თითქოს კაცი როგორც კი ამას იტყვის, რაღაც გაჩხაკუნდება და მორჩა - უყვარს. საკმარისია სიყვარულის გამჟღავნება და რაღაც არაჩვეულებრივი მოხდება, დროშები აფრიალდება, ქვემეხები დასჭექენ. მე კი მგონია, - განაგრძობდა ის, - რომ ადამიანები, რომლებიც საზეიმოდ აცხადებენ: „მე თქვენ მიყვარხართ“, - ან თავს იტყუებენ, ანდა, კიდეც უფრო უარესი - სხვებს ატყუებენ.

- მაშ როგორ გაიგებს ქალი, რომ ის უყვართ, თუ არ გაუმხელენ?

- ეგ კი არ ვიცი, - უპასუხა მან კატიას, - ყველა ადამიანს თავისი სიტყვები აქვს, ხოლო თუ გრძნობა არსებობს, არც დაიმალება. როცა რომანებს ვკითხულობ, სულ იმაზე ვფიქრობ, რა შეწუხებული სახე უნდა ჰქონდეს პორუჩიკ სტრელსკის ანდა ალფრედს, როცა ამბობენ: „მე შენ მიყვარხარ, ელენორა!“ და დარწმუნებულია იმაში, რომ უცებ რაღაც არაჩვეულებრივი მოხდება, სინამდვილეში არაფერიც არ იცვლება არც ერთთან - იგივე თვალები, იგივე ცხვირი, ყველაფერი იგივეა.

მე მაშინვე უკვე ვიგრძენი რაღაც ამ ხუმრობაშიც, რაღაც სერიოზული, რომელიც პირადად მე მეხებოდა, მაგრამ კატიამ ნება არ მისცა, რომანის გმირებზე ასე ხელაღებით ელაპარაკა.

- სულ პარადოქსები, - თქვა კატიამ, - აბა, სიმართლე თქვით, ნუთუ თქვენ თვითონ არასოდეს გითქვამთ ქალისთვის, რომ გიყვართ?

- არასოდეს მითქვამს და არც არასოდეს დამიჩოქია, - მიუგო მან სიცილით, - და არც ვიზამ ამას.

„ჰო, მას არც სჭირდება იმის თქმა, რომ ვუყვარვარ, - ფიქრობდი მე და იმ საუბარს დაწვრილებით ვიხსენებდი, - მას ვუყვარვარ, მე ეს ვიცი. და რაც უნდა ეცადოს, ვეღარ გადამარწმუნებს ამაში“.

მთელი ის საღამო ჩემთან ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ კატიასა და სონიასკენ მიმართულ თითოეულ სიტყვაში, მის თითოეულ მოძრაობასა თუ გამოხედვაში სიყვარულს ვგრძნობდი და ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. იმაზე მწყდებოდა გული, რომ მაინც თავს იკავებდა, ცდილობდა გულგრილობა გამოეჩინა, არადა, შეიძლებოდა ყველაფერი ასე ნათელი ყოფილიყო, ასე უბ-

რალო და ადვილად ვყოფილიყავით ბედნიერები. მაგრამ დანა-
შაულივით მაწუხებდა ჩემი დღევანდელი საქციელი, ფარდულში
რომ ჩავხტი მასთან. ვდარდობდი, ჩემდამი პატივისცემა არ
დაეკარგა, არ გაბრაზებულიყო.

ჩაის შემდეგ ფორტეპიანოსკენ წავედი, ისიც გამომყვა.

- დაუკარით რამე, დიდი ხანია თქვენთვის არ მომისმენია, -
მითხრა, როცა სასტუმრო ოთახში დამეწია.

- სწორედ ახლა ვაპირებდი... სერგეი მიხაილიჩ! - ვუთხარი
და პირდაპირ თვალებში ჩავხედე, - ხომ არ მიბრაზდებით?

- რისთვის? - მითხრა მან.

- დღეს ნასადილევს რომ არ გაგიგონეთ, - ვთქვი წამოწით-
ლებულმა. ის მიმიხვდა, შემომხედა, თავი გადააქნია და ჩაეცი-
ნა, თითქოს თვალებით მანიშნა: კი იყავი ღირსი, გაგჯავრებო-
დი, მაგრამ ამის ძალა არ მქონდაო.

- ჰოდა, არაფერიც არ მომხდარა, ისევ მეგობრები ვართ, -
ვთქვი და ფორტეპიანოს მივუჯექი.

- აბა, რა, - მიპასუხა მან.

დიდ, მაღალჭერიან ოთახში სულ ორი ცალი სანთელი ენთო
ფორტეპიანოს თავზე. დარბაზის დანარჩენი ნაწილი ბინდში იყო
გახვეული. გამოღებულ ფანჯრებში ზაფხულის ნათელი ღამე იმ-
ზირებოდა. გარშემო სიჩუმე იდგა, რომელსაც მხოლოდ კატიას
ნაბიჯების ხმა თუ არღვევდა, ჩაბნელებულ სასტუმროდან დრო-
დადრო მომავალი, და კიდევ, ფანჯარასთან ახლოს მიბმული
სერგეი მიხაილიჩის ცხენის ფრუტუნი და ფლოქვების ცემა.

ის ჩემს ზურგს უკან იჯდა, ვერ ვხედავდი, მაგრამ მთელ ნახევ-
რად ჩაბნელებულ ოთახში, ყველგან, თითოეულ ბგერაში,
მთელ ჩემს არსებაში მის სიახლოვეს ვგრძნობდი. მისი ყოველი

შემოხედვა, ყოველი მოძრაობა, რომელთა დანახვა მე არ შე-
მეძლო, ჩემს გულში გამოძახილს პოულობდა.

მოცარტის სონატა-ფანტაზიას ვუკრავდი. ეს სონატა მან ჩა-
მომიტანა და მისი თანდასწრებით, პირადად მისთვის ვისწავლე.
იმ წუთას სულაც არ ვფიქრობდი დაკვრაზე, მაგრამ მგონი კარ-
გად ვუკრავდი და მეჩვენებოდა, რომ მოსწონდა, ჩემი დაკრუ-
ლით ტკბებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ ვერ ვხედავდი,
ვგრძნობდი, როგორ მიყურებდა. ალაღბედზე გამოძრავებდი
თითებს. უცებ უკან მოვიხედე - იდაყვებზე დაყრდნობილი იჯდა,
მთვარით განათებული ღამის შუქზე კარგად ჩანდა მისი თავი.
გაბრწყინებული შემომცქეროდა. როცა მისი მზერა დავიჭირე,
გავიღიმე და დაკვრას თავი დავანებე, მანაც გამიღიმა, მაგრამ
საყვედურით თავი გადააქნია, ნოტებისკენ მიმითითა, რომ ისევ
დამეკრა. დავასრულე დაკვრა. მთვარე კიდევ უფრო ზემოთ აცუ-
რებულიყო, მეტ სინათლესაც ჰფენდა სანთლის მკრთალი შუ-
ქით განათებულ ოთახს. კატიამ მითხრა, რომ რატომღაც ყველა-
ზე საინტერესო ადგილას შევწყვიტე დაკვრა და საერთოდაც, ცუ-
დად უკრავდიო. სერგეი მიხაილიჩმა, პირიქით, შემაქო, ასე კარ-
გად არასოდეს დაგიკრავსო, და ოთახში სიარულს მოჰყვა. დარ-
ბაზიდან ჩაბნელებულ სასტუმრომდე გაივლიდა, მერე ისევ უკან
ბრუნდებოდა და ყოველი გავლისას შემომხედავდა, გამიღიმებ-
და. მეც ვუღიმიოდი, თუმცა მინდოდა, სულ უმიზნოდ მეკისკისა,
რალაც მიხაროდა, რალაც ისეთი, რაც დღეს, აი ამ წუთას მოხდა.
როგორც კი კარს მიეფარებოდა, კატიას ვეხვეოდი, რომელიც
ჩემთან ერთად იდგა ფორტეპიანოსთან, და ჩემს საყვარელ ად-
გილას - ფუმფულა ყელზე ვკოცნიდი, ნიკაპის ქვემოთ. სერგეი
მიხაილიჩი უკან ბრუნდებოდა და მეც ნაძალადევად ვსე-
რიოზულდებოდი, თუმცა სიცილს ძლივს ვიკავებდი.

- რა სჭირს ნეტავ დღეს ამ გოგოს?.. - ამბობდა კატია.

სერგეი მიხაილიჩი ხმას არ იღებდა, მხოლოდ იღიმოდა. მან კარგად იცოდა, რაც მჭირდა.

- შეხედეთ, რა მშვენიერი ღამეა! - თქვა მან, როცა სასტუმრო ოთახში შევიდა და ბაღში გამავალი აივნის გამოღებულ კართან შეჩერდა.

ჩვენც მივუახლოვდით. მართლაც, ისეთი საოცარი ღამე იყო, როგორც მას მერე აღარასოდეს მინახავს. სავსე მთვარე სახლის უკან იყო მიფარებული და არ ჩანდა. ქვიშიან გზაზე სახლის ნახევარი სახურავი, ბოძები და აივანზე ჩამოფარებული ტილო რგოლებად მოჩანდა, ბაღის დანარჩენი ნაწილი კი ვერცხლისფერი ცვრითა და მთვარის შუქით იყო მოფენილი. ხეების იქით ორანჟერეის განათებული სახურავი მოჩანდა. ხრამზე სქელი ბურუსი წვებოდა.

- წავიდეთ, ვისეირნოთ, - ვთქვი მე.

კატია დამეთანხმა, თუმცა დამარიგა, კალოშები ჩაიცვიო.

- არ მინდა, კატია, - შევედავე, - აი, სერგეი მიხაილიჩს მოვკიდებ ხელს.

თითქოს ეს შემიშლიდა ხელს ფეხის დასველებაში. მაგრამ მაშინ ჩვენ სამივესთვის ეს სავსებით გასაგები იყო და სულაც არ გაგვკვირვებია. სერგეი მიხაილიჩი არასოდეს მთავაზობდა ხელს, მაგრამ ამჯერად თვითონ გავუკეთე ხელკავი და სულაც არ შემწინააღმდეგებია. სამივენი ჩამოვედით აივნიდან. მთელი ეს მშვენიერი სამყარო, ეს ცა, ეს ბაღი, ეს ჰაერი უკვე აღარ იყო, ის რაც ადრე ვიცოდი.

წინ, ხეივანს რომ გავყურებდი, რომელსაც მივუყვებოდით, მეგონა, იმის იქით წასვლა შეუძლებელია იყო, იქ მთავრდება და ეს სილამაზეც იქ უნდა ჩაკეტილიყო სამუდამოდ. მაგრამ გზას

ვაგრძელებდით და სილამაზის ჯადოსნური კედელი თანდათან იხსნებოდა, კვლავ გვიხმობდა თავისკენ და იქაც თითქოს ჩვენი ნაცნობი ბალი იყო, ნაცნობი ხეები, ბილიკები, გამხმარი ფოთლები. ჩვენ მართლა ბილიკებით მივდიოდით, მართლა სინათლისა და ჩრდილების რგოლებს ვადგამდით ფეხს, მართლა შარიშურობდა ჩვენ ფეხქვეშ გამხმარი ფოთლები და ნედლი ტოტები სახეზე მედებოდა. სერგეი მიხაილიჩი მართლა მოდიოდა ჩემ გვერდით თანაბარი, ნელი ნაბიჯებით და სათუთად ეჭირა ჩემი ხელი. კატიაც, რომელიც ჩვენთან ერთად მოდიოდა, მართლა კატია იყო, და ესეც ალბათ მთვარე იყო, რომელიც უძრავ ტოტებს შუა იჭყიტებოდა.

მაგრამ თითოეულ ნაბიჯთან ერთად, ჩვენ უკან და ჩვენ წინ, ისევ იხურებოდა ჯადოსნური კედელი და მე ისევ აღარ მეჭერა, რომ გზის გაგრძელება შეიძლებოდა და რომ საერთოდ მართლა ხდებოდა ის, რაც ხდებოდა.

- ვაიმე! ბაყაყი! - წამოიყვირა კატია.

„ვინ არის და რატომ ამბობს ამას?“ - გავიფიქრე მე, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ კათიას ბაყაყების ეშინოდა და ის იქნებოდა. ფეხებთან დავიხედე, პატარა ბაყაყი ჩემ წინ გადახტა და გაირინდა, განათებულ გზაზე მისი პაწია ჩრდილი გამოჩნდა.

- თქვენ არ გეშინიათ? - შემომხედა სერგეი მიხაილიჩმა.

მეც შევხედე. ხეივანს ერთი ცაცხვის ხე აკლდა იმ გზაზე, სადაც ჩვენ გავიარეთ, და ნათლად დავინახე მისი სახე. ის ბედნიერი და მბრწყინავი იყო.

მან თქვა - „თქვენ არ გეშინიათ?“ მე კი გავიგონე: „მე შენ მიყვარხარ, საყვარელო გოგონა!“ - მიყვარხარ! მიყვარხარ! - მიმტკიცებდნენ მისი თვალები, მისი ხელები; სინათლე, ჩრდილები, ჰაერი, ყველაფერი, ყველაფერი ამტკიცებდა ამას.

მთელი ბალი შემოვიარეთ. კატია ჩვენ გვერდით მოაბიჯებდა თავისი პაწია ნაბიჯებით და დაღლილობისგან ძლივს სუნთქავდა. გვითხრა, წასვლის დროაო, და მე შემეცოდა, შემეცოდა საბრალო. „რატომ ისიც არ განიცდის იმას, რასაც ჩვენ? - ვფიქრობდი გულში, - რატომ ყველა ახალგაზრდა არ არის? რატომ ყველა ბედნიერი არ არის ისე, როგორც ჩვენ, როგორც ეს ღამე“.

შინ დავბრუნდით, მაგრამ სერგეი მიხაილიჩი კიდევ დიდხანს დარჩა ჩვენთან, მიუხედავად იმისა, რომ მამლებმაც იყივლეს, სახლში ყველამ დაიძინა, ფანჯარასთან მისი ცხენიც სულ უფრო ხშირად სცემდა ფლოქვებს და ფრუტუნებდა. კატიამ აღარ გაგვახსენა, გვიანიაო და უბრალო რამეებზე საუბარში ვერც შევნიშნეთ, როგორ გაიღია ღამე და სამი საათიც გახდა. უკვე მესამედ იყივლეს მამლებმა. ლამის ინათა კიდევ, როცა სერგეი მიხაილიჩი წავიდა. ჩვეულებრივად გამოგვემშვიდობა, არაფერი განსაკუთრებული არ უთქვამს. მაგრამ მე ვიცოდი, რომ დღეიდან ის ჩემი იყო, აღარ დაგვარგავდი. როგორც კი საკუთარ თავს გამოვუტყდი, რომ ის მიყვარდა, მაშინვე კატიასაც გავანდე. კატიას გაუხარდა და იმანაც ააღელვა, რომ გავუმხილე, მაგრამ საბრალოს იმ ღამით დაძინება შეეძლო, მე კი დიდხანს დავბორიალებდი აივანზე, ბაღშიც ჩავედი, ყველა ის ადგილი შემოვიარე, სადაც ერთად ვიყავით, და ყველა მის სიტყვასა თუ მოძრაობას ვიხსენებდი. მთელი ღამე ვერ დავიძინე. ცხოვრებაში პირველად ვნახე მზის ამოსვლა და ალიონი. შემდეგ აღარასოდეს მინახავს არც ასეთი ღამე და არც ასეთი დილა.

„კი მაგრამ, რატომ უბრალოდ არ მეუბნება, რომ ვუყვარვარ? - ვფიქრობდი მე, - რატომ იგონებს რაღაც სირთულეებს, თავს მოხუცს ეძახის, როცა ყველაფერი ასე უბრალო და მშვენიერია? რატომ კარგავს ამ ოქროს დროს, რომელიც იქნებ აღარასოდეს

განმეორდეს? მითხრას, მიყვარხარო. სიტყვით მითხრას, ხელზე ხელი მომკიდოს, ზედ თავი დამაყრდნოს და თქვას, მიყვარხარო. გაწითლდეს და ჩემ წინ თვალები დახაროს, მაშინ მეც ყველაფერს ვეტყვი. არა, კი არ ვეტყვი, მოვეხვევი, ჩავეხუტები და ავტირდები. მაგრამ იქნებ ვცდები, იქნებ არც ვუყვარვარ?“ - უცბად გამიელვა თავში.

და ჩემი გრძნობის შემეშინდა, ღმერთმა იცის, საით მიმიყვანდა იგი. გამახსენდა ჩემი და მისი შეცბუნება, როცა ფარდულში ჩავხტი, გამახსენდა, გული როგორ დამიმძიმდა და თვალებიდან ცრემლები წამომცვივდა, ლოცვა დავიწყე. უცებ თავში უცნაური, დამამშვიდებელი აზრი გამიჩნდა და იმედიც. გადავწყვიტე, იმ დღიდან მემარხულა და ჩემს დაბადების დღეს ვზიარებოდი, სწორედ იმ დღეს გავმხდარიყავი მისი საცოლვე.

რატომ? რისთვის? როგორ უნდა მოხდეს ეს? არაფერი არ ვიცოდი, მაგრამ იმ წუთიდან მჯეროდა და მწამდა, რომ ასე მოხდებოდა. უკვე მთლად გათენდა და ხალხიც წამოშლას იწყებდა, როცა ჩემს ოთახში დავბრუნდი.

IV

მარიამობის მარხვა იყო და ამიტომაც სახლში არავის გაჰკვირვებია, რომ მარხვის დაწყებას ვაპირებდი.

მთელი ის კვირა სერგეი მიხაილიჩს ჩვენთან არ შემოუვლია. მე არა მარტო არ მიკვირდა, არც ვწუხდი და არც ვბრაზობდი მასზე, პირიქით, მიხაროდა კიდევ, რომ არ მოდიოდა. ჩემი დაბადების დღისთვის ველოდი. მთელი კვირის განმავლობაში დილას ადრინად ვდგებოდი და სანამ ცხენებს მიმზადებდნენ, მარტო ვსეირნობდი ბაღში, გასულ დღეს ჩადენილ ცოდვებს ვიხსენებდი და ვფიქრობდი, რა უნდა გამეკეთებინა, რომ იმ დღით კმაყოფილი ვყოფილიყავი და არც ერთხელ არ ჩამედინა ცოდვა. მაშინ ისე იოლი მეჩვენებოდა უცოდველად ყოფნა. მეგონა, ამისთვის საკმარისი იყო სულ ცოტა მცდელობა გამომეჩინა. ამასობაში ცხენებს შეკაზმავდნენ და მე კატიასთან ან მოახლე გოგოსთან ერთად ეტლში ვჯდებოდი და სამი ვერსით დაშორებულ ეკლესიაში მივდიოდი. ეკლესიაში შესულს სულ მახსენდებოდა, რომ ყველასთვის ლოცულობდნენ, „ღვთისმოშიშობით შესულთათვის“, და ვცდილობდი სწორედ ამ გრძნობით შემედგაფეხი კარიბჭესთან ბალახით დაფარულ ორ საფეხურზე. ამ დროს ეკლესიაში ათიოდე გლეხი და შინაყმა თუ იყო, საზიარებლად მოსული; გულმოდგინე მორჩილებით ვცდილობდი მეპასუხა მათ მოწიწებულ მისალმებაზე, მერე კი, რაც დიდ გმირობად მიმაჩნდა, სანთლებიან ყუთთან მივდიოდი, რათა მოხუცი მნათესავის, ყოფილი ჯარისკაცისთვის სანთლები გამომერთმია და დამენთო. სამეფო კარიდან საკურთხევლის საბურველი ჩანდა, დედაჩემის მიერ მოქარგული. კანკელზე ხის ორი ვარ-

სკვლავებიანი ანგელოზი იდგა, რომლებიც ბავშვობაში ძალიან დიდები მეჩვენებოდა, და მოყვითალო ფერის მტრედი, რომელიც მაშინ ძალიან მიზიდავდა. კლიროსიდან შელახული ემბაზი მოჩანდა, რომელშიც მრავალჯერ მომინათლავს ჩვენი შინაყმების ბავშვები და თვითონაც ამ ემბაზში ვიყავი მონათლული. ამ დროს მოხუცი მღვდელი გამოვიდოდა მამაჩემის სუდარისგან შეკერილ შესამოსელში და იწყებოდა ლოცვა, სწორედ იმ ხმით, რომლითაც, რაც თავი მახსოვს, ჩვენს სახლში საეკლესიო მსახურებას ატარებდნენ: სონიას ნათლობა იქნებოდა, მამაჩემის პანაშვიდი თუ დედაჩემის დაკრძალვა. კლიროსიდან დიაკვნის სწორედ ისეთი ჟღარუნა ხმა ისმოდა, კედელთანაც ისევ ის მოხუცი ქალი იდგა, რომელსაც ყველა საეკლესიო მსახურების დროს ვხედავდი. მოხრილი, ცრემლიანი თვალებით უყურებდა ხატს კლიროსში და პირჯვარს იწერდა, სამ თითს გაცვეთილ თავსაფარზე იდებდა, უკბილო ტუჩებით რაღაცას ჩურჩულებდა. ეს ყველაფერი უკვე საინტერესო კი არ იყო ჩემთვის, ან მხოლოდ მოგონებებით კი არ იყო ახლობელი, არამედ უკვე დიდებულად და წმინდად მეჩვენებოდა. წაკითხული ლოცვის თითოეულ სიტყვას ყურს ვუგდებდი, ვცდილობდი გრძნობით მეპასუხა და, თუ სიტყვები არ მესმოდა, ღმერთს შევთხოვდი, გონება გაენათებინა ჩემთვის. ან იმ სიტყვების ნაცვლად, რომლებსაც ვერ ვარჩევდი, საკუთარ ლოცვებს ვიგონებდი. როცა სინანულის ლოცვებს კითხულობდნენ, ჩემი წარსული მაგონდებოდა და ბავშვური, უმანკო წარსული ისეთ შავ ფერებში მეხატებოდა, ჩემს ახლანდელ ნათელ, ამაღლებულ სულიერ განწყობასთან შედარებით, რომ ვტიროდი და თავზარი მეცემოდა. მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ ეს ყველაფერი მომეტევებოდა და კიდევ მეტი ცოდვაც რომ მექონოდა კისერზე, უფრო და უფრო ტკბილი

იქნებოდა ჩემთვის მათი მონანიება. როცა მღვდელი ლოცვის დასასრულს ამბობდა: „ღმერთმა დაგლოცოთ“, მაშინვე თითქმის ფიზიკურადაც კი ვგრძნობდი, როგორ გადმომეცემოდა კეთილგანწყობა. თითქოს უცებ რაღაც სინათლე და სითბო მეღვრებოდა სულში. ლოცვის შემდეგ მღვდელი მომიახლოვდებოდა და მეკითხებოდა: ხომ არ მოვიდე თქვენთან მსახურების ჩასატარებლად, ან როდის აჯობებს, რომ მწუხრის ლოცვა ჩავატარო, მაგრამ მე აღელვებული ვუხდიდი მადლობას, რადგან ვფიქრობდი, რომ ამის გაკეთებას ჩემთვის აპირებდა და ვპასუხობდი, რომ მე თვითონ მივიდოდი.

- გსურთ თავად გაისარჯოთ და იაროთ? - ჩამეკითხებოდა.

მეც არ ვიცოდი, რა მეპასუხა, ისე, რომ საკუთარი სიამაყის წინააღმდეგ არ შემეცოდა.

წირვის შემდეგ ცხენებს გავისტუმრებდი ხოლმე, თუ კატია არ მახლდა, და შინ ფეხით მივდიოდი. მორჩილად ვუკრავდი თავს ყველა შემხვედრს, ვცდილობდი შემთხვევა მეპოვა, რომ ვინმეს დავხმარებოდი, რჩევა მიმეცა, ვინმესთვის თავი გამეწირა, ბავშვი დამერწია, გზა დამეთმო, თუნდაც ტალახში ჩავმდგარიყავი. ერთხელ, საღამოხანს გავიგონე, ჩვენი მოურავი კატიას ეუბნებოდა: გლახმა სემიონმა შვილის კუბოსთვის ფიცრები და მისი სულის მოსახსენიებლად ერთი მანეთი მთხოვა და მივეციო. „ნუთუ ასეთი ღარიბები არიან?“ - გავიოცე მე. „ძალიან ღარიბები, ქალბატონო, უმარილოდ ჭამენ საჭმელს“, - მიპასუხა მოურავმა. გული ძალიან შემეკუმშა და თან რაღაცნაირად გამიხარდა კიდევც. კატია მოვატყუე, თითქოს სასეირნოდ მივდივოდი და ზემოთ გავიქეცი. მთელი ფული ამოვიღე, რაც მქონდა (ძალიან ცოტა კი იყო, მაგრამ არ დამიზოგავს), პირჯვარი გადავიწერე და მარტო წავედი. აივნის გავლით ბაღში გავედი. იქიდან კი სოფ-

ლისკენ გავწიე. სემიონის სახლს მივადექი, სოფლის განაპირას რომ იდგა. შეუმჩნევლად მივუახლოვდი ფანჯარას, ფული დავდე და დავაკაკუნე. ვილაც გამოვიდა ქობიდან, კარი გააჭრიალა და გამომძახა. შიშისგან გამაცია, გამაჟრუოლა და სახლისკენ გამოვიქეცი, თითქოს დანაშაული ჩამედინოს. კატიამ მკითხა შემოთებულმა, სად იყავი, რა დაგემართაო. მე კი ვერც გავიგე, რას მეკითხებოდა. არ მიპასუხია. უცებ ყველაფერი არარაობად და წვრილმანად მომეჩვენა. ოთახში ჩავიკეტე, დიდხანს ვცემდი ბოლთას. არაფრის თავი არ მქონდა, ფიქრისაც კი, ჩემს გრძნობებში გარკვევა არ შემეძლო. იმ ოჯახის სიხარულზე ვფიქრობდი, იმ სიტყვებზე, რომლებითაც ალბათ ისინი იმ უცნობ ადამიანს მოიხსენიებდნენ, რომელმაც ფანჯარაზე ფული შემოდო და გულიც კი მწყდებოდა, რომ პირადად არ მივეცი. სერგეი მიხაილიჩზეც ვფიქრობდი. მაინტერესებდა, რას იტყოდა, როცა ამ ამბავს გაიგებდა, და მიხაროდა, რომ ვერავინ ვერასოდეს გაიგებდა ამის შესახებ. ეს სიხარული მხოლოდ ჩემში იყო. ყველაფერი მიხაროდა და ცუდი მეჩვენებოდა ყველა, სხვებიც და საკუთარი თავიც, ისე მოკრძალებით ვუყურებდი ჩემს თავს და სხვებსაც, რომ სიკვდილზე ფიქრი, როგორც ბედნიერებაზე ოცნება, ისევე უბრალოდ მიფორიაქებდა თავს. ვიღიმოდი, ვლოცულობდი, ვტიროდი და იმ წუთას ამქვეყნად ყველა, მათ შორის საკუთარი თავიც, განსაკუთრებული გზებითა და სიძლიერით მიყვარდა. საეკლესიო მსახურებებს შორის შესვენებისას სახარებას ვკითხულობდი და სულ უფრო და უფრო გასაგები ხდებოდა ჩემთვის ეს წიგნი, უფრო ამაღელვებელი და უბრალო მესახებოდა ამ ღვთაებრივი ცხოვრების ამბავი, ხოლო იმ გრძნობებისა და აზრების სიღრმე, რომლებსაც ამ წიგნში ვკითხულობდი, სულ უფრო საშინელი და შეუღწევადი მეჩვენებოდა. სამა-

გიეროდ, კიდევ უფრო ნათლად და უბრალოდ ვხედავდი ყველაფერს, როცა წიგნის კითხვას ვწყვეტდი და ისევ ვაკვირდებოდი და ვუფიქრდებოდი იმ ცხოვრებას, რომელიც ჩემ გარშემო იყო. ვფიქრობდი, თუ როგორი ძნელი იყო გეცხოვრა ცუდად, ხოლო ადვილი - ყველა გყვარებოდა და სიყვარული დაგემსახურებინა. ყველა კეთილი და მიმზიდველი მეჩვენებოდა, თვით სონიაც კი, რომელსაც ისევ ვამეცადინებდი. ის სულ გამოიცვალა, ცდილობდა ესიამოვნებინა ჩემთვის, კარგად ესწავლა გაკვეთილი, არ გავებრაზებინე. ყველა ისეთი იყო ჩემ მიმართ, როგორც მე ვიყავი მათთან. იმ პერიოდში ჩემს მტრებსაც ვიხსენებდი, რომ აღსარების წინ მათთვის პატიება მეთხოვა. მხოლოდ ერთი გოგონა გამახსენდა, ჩვენი მეზობელი. დაახლოებით ერთი წლის წინ სტუმრების თანდასწრებით დავცინე და იმის შემდეგ ჩვენთან აღარ მოსულა. წერილი მივწერე, დანაშაულს ვაღიარებდი და პატიებას ვთხოვდი. პასუხი მომივიდა, ისიც პატიებას მთხოვდა და ცოდვებიც მომიტევა. სიხარულისგან ავტირდი, ამ უბრალო სტრიქონების კითხვამ ამაღელვა, მათში ღრმა აზრსა და დიდ გრძნობებს ვხედავდი. ძიძამაც იტირა, როცა მასაც ვთხოვე პატიება. „რატომ არის ყველა ასეთი კეთილი ჩემ მიმართ? რით დავიმსახურე ასეთი სიყვარული?“ - ვეკითხებოდი ჩემს თავს და უნებლიეთ სერგეი მიხაილიჩი მაგონდებოდა. დიდხანს ვფიქრობდი მასზე, სხვანაირად არ შემეძლო და არც ცოდვად მიმაჩნდა ეს. თუმცა ისე სულაც არ ვფიქრობდი, როგორც იმ ღამეს, როცა პირველად გავიგე, რომ მიყვარდა. მასზე ისე ვფიქრობდი, როგორც საკუთარ თავზე. ჩემს მომავალზე ნებისმიერ ფიქრს მას ვუკავშირებდი. ის დამთრგუნველი გავლენა, რომელსაც მისი თანდასწრებით ვგრძნობდი ხოლმე, სავსებით გაქრა. ახლა მის თანასწორად მიმაჩნდა თავი და იმ სულიერი განწყობილე-

ბის სიმაღლიდან, რომელშიც ვიმყოფებოდი, სავსებით მესმოდა მისი. კარგად მესმოდა ის, რაც ადრე მეუცნაურებოდა. ახლავა ჩაწვდი მისი სიტყვების ნამდვილ აზრს: ბედნიერება მხოლოდ ისაა, რომ სხვისთვის იცხოვრო, და ახლა სავსებით ვეთანხმებოდი ამას. მეგონა, ჩვენ ორნი მუდამ ასე ბედნიერები ვიქნებოდით. ასე მშვიდად ვიცხოვრებდით. ახლა საზღვარგარეთ წასვლაზე კი აღარ ვფიქრობდი, არც მაღალ საზოგადოებაზე ან ბრწყინვალეობაზე, არამედ - სულ სხვანაირ, წყნარ ოჯახურ სიმყუდროვეზე, სოფლურ ცხოვრებაზე, თავგანწირვაზე, ერთმანეთის მუდმივ სიყვარულზე, ბედნიერებაზე, ღვთის იმედითა და მისივე შეწევნით.

როგორც ვვარაუდობდი, სწორედ ჩემს დაბადების დღეს ვეზიარე. შინ რომ ვბრუნდებოდი, გული იმედებითა და ბედნიერებით მქონდა სავსე, სიცოცხლისაც კი მეშინოდა, მეშინოდა ყველა ახალი შთაბეჭდილების, ყველაფრის, რასაც შეეძლო ოდნავ მაინც დაერღვია ეს ბედნიერება. მაგრამ ის იყო, ეტლიდან გადმოვედი და ზღურბლზე დავდგი ფეხი, რომ ხიდზე ნაცნობმა კაბრიოლეტმა დაიხრიგინა და სერგეი მიხაილიჩი გამოჩნდა. დაბადების დღე მომილოცა და ერთად შევედით სასტუმრო ოთახში. რაც მას ვიცნობდი, იმ დღის შემდეგ მისი თანდასწრებით არასოდეს ასეთი კმაყოფილი და დამოუკიდებელი არ ვყოფილვარ, როგორც ამ დილით ვიყავი. ვგრძნობდი, რომ ჩემ შიგნით ახალი სამყარო გაჩნდა, რომლის გაგებაც მას არ შეეძლო და რომელიც მასზე მაღლა იდგა. მასთან უხერხულობას აღარ ვგრძნობდი. ალბათ ისიც ხვდებოდა მიზეზს და განსაკუთრებით სათნო იყო ჩემ მიმართ, რაღაცნაირი მოწიწებით მეპყრობოდა. ფორტეპიანოსთან მისვლა დავაპირე, მან კი შემაჩერა, ფორტეპიანო ჩაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

- ნუ გაიფუჭებთ განწობილებას, - თქვა მან, - თქვენს სულში ახლა ისეთი მუსიკაა, რომ ამქვეყნად ყოველგვარ მუსიკას სჯობს.

მისი მადლიერი ვიყავი ამის გამო, მაგრამ მაინც ცოტათი მწყინდა, რომ ასე ადვილად შეეძლო გაეგო ყველაფერი, რაც ყველასგან დამალულად უნდა მქონოდა გულში. სადილობისას თქვა, რომ მოსალოცად და გამოსამშვიდობებლად მოვიდა, ხვალ მოსკოვში მივდივარო. როცა ამას ამბობდა, კატიას უყურებდა, მაგრამ მერე მეც შემომხედა და იმ წამს ვიგრძენი, როგორ ეშინოდა, რომ ჩემს სახეზე მღელვარება არ შეენიშნა. თუმცა მე არ გავოცებულვარ, არც შეშფოთება დამტყობია, ისიც კი არ მიკითხავს, რამდენი ხნით მიდიოდა. ვიცოდი, რომ თვითონ იტყოდა და ისიც ვიცოდი, რომ არ წავიდოდა. საიდან ვიცოდი? ახლა ვერ ავხსნი ამას, მაგრამ იმ სახსოვარ დღეს თითქოს ყველაფერი ვიცოდი, რა იყო და რა იქნებოდა, თითქოს კეთილ სიმბარს ვხედავდი, როცა გგონია, რომ რაც ხდება, უკვე მოხდა და ყველაფერი დიდი ხანია შენთვის ცნობილია, და კიდევ - ეს ყველაფერი მერეც იქნება, დარწმუნებული ხარ, რომ იქნება.

სადილობის დამთავრებისთანავე სურდა წასულიყო, მაგრამ კატია, წირვის შემდეგ დაღლილი, დასაძინებლად წავიდა და მის გაღვიძებამდე უნდა მოეცადა, რადგან მასთან გამოუმშვიდობებლად ვერ წავიდოდა. დარბაზში მზე ანათებდა და აივანზე გავედით. როგორც კი დავსხედით, მე სავსებით მშვიდად დავიწყე ლაპარაკი იმაზე, რასაც ჩემი სიყვარულის ბედი უნდა გადაეწყვიტა. და დავიწყე არც ადრე და არც გვიან, ბუსტად თავის დროზე, როგორც კი დავსხედით, მაშინ. ჯერ ერთი სიტყვაც არ იყო თქმული და არავითარი განწყობა არ იყო შექმნილი, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა იმისთვის, რისი თქმაც მიხდოდა. თვითონ

ნაც ვერ ვხვდები, საიდან მქონდა ეს სიმშვიდე, გამბედაობა და გამოთქმების სიზუსტე. თითქოს მე კი არ ვლაპარაკობდი, არამედ ნების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობდა ვიღაც სხვა. ის ჩემ პირდაპირ იჯდა, მოაჯირზე იდაყვებდაყრდნობილი, იასამნის ტოტი გადმოეწია და ფოთლებს აგლეჯდა. როგორც კი ლაპარაკი დავიწყე, ტოტს ხელი გაუშვა და თავით ხელს დაეყრდნო. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო სავსებით მშვიდი ან აღელვებული ადამიანის მდგომარეობა.

- რატომ მიდიხართ? - ვკითხე განსაკუთრებული მნიშვნელობით და პირდაპირ თვალებში ჩავხედე.

უცებ არ უპასუხია.

- საქმეები მაქვს, - ჩაილაპარაკა და თვალები დახარა.

მივხვდი, როგორ უჭირდა ტყუილის თქმა ჩემ წინაშე და ასე გულახდილად დასმულ შეკითხვაზე.

- მისმინეთ, - ვუთხარი მე, - კარგად იცით, რას ნიშნავს დღევანდელი დღე ჩემთვის. მას დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალი მიზეზის გამო. როცა გეკითხებით, თანაგრძნობისთვის კი არ ვაკეთებ ამას (შესანიშნავად იცით, რომ შეგეჩვიეთ და მიყვარხართ), იმიტომ გეკითხებით, რომ ჩემთვის აუცილებელია ამის ცოდნა. რატომ მიდიხართ?

- ძალიან მიჭირს სიმართლის თქმა, თუ სად მივდივარ, - მომიგო მან, - მთელი ეს კვირა თქვენზე ვფიქრობდი, ჩვენზე, ორივეზე და გადავწყვიტე, რომ ჯობია წავიდე. ალბათ ხვდებით, რატომ გადავწყვიტე ასე და თუ გიყვარვართ, აღარც მკითხავთ, - შუბლზე ოფლი ხელით მოიწმინდა და მერე ის ხელი თვალებზე აიფარა, - მე მიჭირს... თქვენთვის კი გასაგებია.

გული ძალუმად ამიძგერდა.

- ვერ ვხვდები, ვერ ვხვდები და გთხოვთ ამიხსენით, ღვთის გულისთვის, დღევანდელი დღის გამო მაინც ამიხსენით, მე ყველაფერს მშვიდად მოვისმენ, - ვუთხარი მე.

მან პოზა შეიცვალა, შემომხედა და ისევ გადმოსწია იასამნის ტოტი.

- თუმცა, - თქვა მან ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ და ამაოდ სცადა, მტკიცედ ეთქვა, - სისულელეა და შეუძლებელიც სიტყვებით გამოთქმა იმის, რისი თქმაც მსურს. მიმძიმს კიდევ ამის თქმა, მაგრამ მაინც ვეცდები აგიხსნათ, - დასძინა და ისე შეეჭმუხნა სახე, თითქოს ფიზიკური ტკივილი აწუხებდეს.

- აბა, გისმენთ, - ვუთხარი მე.

- წარმოიდგინეთ, რომ იყო ერთი ბატონი ა, - დაიწყო მან, - მოხუცი, ხანდაზმული. და ერთი ქალბატონი ბ, ახალგაზრდა, ბედნიერი, რომელიც ცხოვრებას საერთოდ არ იცნობდა, არ იცნობდა ხალხს. სხვადასხვა ოჯახურ გარემოებათა გამო ა-მ საკუთარი ქალიშვილივით შეიყვარა გოგონა და არ ეშინოდა, რომ სხვაგვარად შეჰყვარებოდა.

გაჩუმდა, მაგრამ მეც არ ამომიღია ხმა.

- მაგრამ ა-ს დაავიწყდა, რომ ბ ძალიან ახალგაზრდაა და რომ ცხოვრება მისთვის სათამაშოა, - განაგრძო სწრაფად და გადაჭრით, ისე, რომ ჩემთვის არ შემოუხედავს, - და რომ იოლი იყო მისი სხვაგვარად შეყვარება, ძალიან იოლი, და რომ მას ეს გაახალისებდა. მაგრამ ა შეცდა, მალევე მიხვდა შეცდომას, მეორე გრძნობა, რომელიც მონანიებასავით აწვა გულზე, სულში შეუძვრა და შეეშინდა. შეეშინდა, რომ დაირღვეოდა მათი მეგობრული კავშირი და ამიტომაც არჩია, იქაურობას გასცლოდა, სანამ მეგობარს დაკარგავდა. - ეს თქვა და თითქოს შემთხვევით

დაიწყო თვალების სრესა და მერე ისევ თვალებზე აიფარა ხელები.

- რატომ ეშინოდა სხვანაირად შეყვარების? - ოდნავ გასაგონად ვთქვი, რადგან შემეშინდა, ჩემი მღელვარება არ გამემჟღავნებინა. მართლაც, ძალიან მშვიდად გამომივიდა ნათქვამი, ამიტომაც დაცინვად ჩათვალა და შეურაცხყოფილი ტონით მითხრა:

- თქვენ ახალგაზრდა ხართ, - თქვა მერე, - მე კი არ ვარ ახალგაზრდა... თქვენ თამაში გსურთ, მე კი სულ სხვა რამ მჭირდება. ითამაშეთ, მაგრამ ჩემთან არ გინდათ, თორემ დავიჯერებ და ჩემთვისვე იქნება ცუდი, თქვენ კი მერე შეგრცხვებათ... მოვრჩეთ, ეს ყველაფერი სისულელეა, მაგრამ თქვენ ხომ ხვდებით, რატომ მივდივარ და გთხოვთ, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

- არა! არა! ვილაპარაკოთ! - წამოვიძახე და ცრემლნარევი ხმით, - მითხარით, მას უყვარდა გოგონა თუ არა?

ის პასუხს აგვიანებდა.

- ან თუ არ უყვარდა, რატომღა ეთამაშებოდა, როგორც ბავშვს? - ჩავილაპარაკე.

- დიახ, დიახ, დამნაშავე იყო, - მიპასუხა და ნაჩქარევად გამაწყვეტინა, - მაგრამ ყველაფერი დამთავრდა და ისინი ერთმანეთს დასცილდნენ... მეგობრებად.

- კი, მაგრამ ეს საშინელებაა! ნუთუ ამ ამბავს სხვა დასასრული არ აქვს! - ძლივს ამოვიღულულუღე და შემეშინდა იმის, რაც ვთქვი.

- აქვს, - ხელი მოიცილა, აღელვებული სახე გამოაჩინა და პირდაპირ შემომხედა, - ორი სხვადასხვანაირი დასასრული აქვს. ოღონდ, ღვთის გულისათვის, ნუ შემაწყვეტინებთ და მშვიდად გამიგეთ. ერთნი ამბობენ, - წამოიწყო და გაღიმებული წამოდგა, რაღაც ავადმყოფური ღიმილი ეწერა სახეზე, - ერთნი ამ-

ბობენ, რომ ა ჭკუაზე შეცდა, გაგიჟებით შეუყვარდა ბ. და კიდევ გამოუტყდა ამაში. ბ-მ კი ამაზე ძალიან იცინა. მისთვის ეს გართობა იყო, ა-სთვის კი - მთელი ცხოვრების.

შევკრთი და მინდოდა შემეწყვეტინებინა, მეთქვა, რომ უფლება არ ჰქონდა ჩემ მაგივრად ელაპარაკა, მაგრამ ხელზე ხელი დამადო და გამაჩერა.

- მოითმინეთ, - თქვა აცახცახებული ხმით, - სხვები კი ამბობენ, თითქოს გოგონას კაცი შეეცოდა, საწყალი გოგონა არ იცნობდა ადამიანებს და ეგონა, ნამდვილად უყვარდა კაცი, დაეთანხმა ცოლად გაყოლაზე. და მანაც, გაგიჟებულმა, გადარეულმა კაცმა დაიჯერა, რომ შეიძლება ცხოვრება თავიდან დაიწყო, მაგრამ გოგონამ დაინახა, რომ კაცი მოატყუა, და მანაც მოატყუა გოგონა... ნულარ ვილაპარაკებთ ამაზე, - დაასკვნა მან, ეტყობა, ძალა აღარ შესწევდა გაეგრძელებინა. უხმოდ დაიწყო ჩემ წინ ბოლთის ცემა.

მითხრა: ნუ ვილაპარაკებთო, მე კი ვხედავდი, რომ სულმოუთქმელად ელოდა ჩემს პასუხს. მეც მინდოდა რაღაც მეთქვა, მაგრამ არ შემეძლო. გული შემეკუმშა. მას შევხედე, ფერმიხდილი იყო, ქვედა ტუჩი უთრთოდა. შემეცოდა. თავს ძალა დავატანე და დავარღვიე დუმილი, რომელიც ასე მბოჭავდა. ავლაპარაკდი წყნარად, შინაგანი ხმით, მაგრამ სულ მეგონა, რომ ხმა ყოველ წუთს მიმტყუნებდა.

- მესამე დასასრული? - ვთქვი და გავჩერდი. ხმას არც ის იღებდა, - მესამე დასასრული სად არის. რომ კაცს არ უყვარდა გოგონა და გული ატკინა. გული ატკინა, არადა, ეგონა მართალი იყო, წავიდა და რაღაცით ამაყობდა კიდევ. შეიძლება თქვენთვის იყოს ეს ხუმრობა, ჩემთვის კი არა. მე პირველივე დღიდან შემიყვარდით, შემიყვარდით, - გავიმეორე და სიტყვაზე „შემიყ-

ვარდით“, უნებურად ისე თითქმის ვიკივლე, რომ ჩემი ხმის თვითონვე შემეშინდა.

ის გაფითრებული იდგა ჩემ წინ, ტუჩი კიდევ უფრო აუთოლოდა, მერე კი ორი ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე.

- ეს ცუდია! - თითქმის ვიყვირე, ვგრძნობდი, როგორ მახრჩობდა გადმოსანთხევი ცრემლები, - რატომ?.. - ვთქვი და წამოვდექი, რომ იქაურობას გავცლოდი.

მაგრამ მან არ გამიშვა. თავი მუხლებზე დამადო, ჩემს ათოლოებულ ხელებს დაეკონა და ცრემლებით დამისველა.

- ღმერთო ჩემო, ნეტავ მცოდნოდა, - თქვა ჩუმად.

- რატომ? რატომ? - ვიმეორებდი და ვგრძნობდი, რომ ჩემს გულში სამუდამოდ დაისადგურა ბედნიერებამ.

ხუთი წუთის შემდეგ სონია კატიასთან არბოდა და მთელ ხმაზე გაჰყვიროდა: მაშას სერგეი მიხაილიჩის შერთვა უნდაო.

არავითარი მიზეზი არ არსებობდა, რომ ქორწილი გადაგვედო. ეს არც მე მინდოდა და არც მას. მართალია, კათიას მოსკოვში წასვლა სურდა, რომ ჩემთვის მზითვი ეყიდა და სერგეი მიხაილიჩის დედაც ითხოვდა, რომ ცოლის შერთვამდე მის შვილს ახალი კარეტა ეყიდა, ოთახები ახალი ავეჯით მოეწყო და ახალი შპალერიც გაეკრა, მაგრამ ჩვენ დავიჟინეთ: თუ მაინცდამაინც აუცილებელი იყო, ყოველივე ამას ქორწილის შემდეგაც მოვასწრებდით. ჩვენი ჯვრისწერა ჩემი დაბადების დღიდან ორი კვირის შემდეგ იყო დაგეგმილი. ქორწილს უხმაუროდ ვაპირებდით, სტუმრებისა და მეჯვარეების გარეშე, შამპანურის, წვეულებების და ქორწილისთვის დამახასიათებელი ყველა სხვა ატრიბუტიკის გარეშე. ის მიაბობდა, როგორი უკმაყოფილო იყო დედამისი იმის გამო, რომ ჩვენი ქორწილი ასე უმუსიკოდ ჩაივლიდა, უამრავი სკივრისა და ბინის განახლებების გარეშე, როგორც მის ქორწილში იყო, რომელიც თურმე ოცდაათი ათასი დაჯდა. სერგეი მიხაილიჩი ამბობდა, მისგან უჩუმრად როგორი სერიოზული სახით ალაგებდა საკუჭნაოში სკივრებს და ჩუმად ეთათბირებოდა მნე ქალს მარიუშკას ჩვენი ბედნიერებისთვის აუცილებელ რაღაც ხალიჩებზე, ფარდებსა და ლანგრებზე. ჩემი მხრიდან კათიაც ბუსტად იმავეს აკეთებდა ჩემს ძიძა კუმბინინასთან ერთად. ამ საკითხზე მასთან ვერ იხუმრებდი. მტკიცედ სჯეროდა, რომ როცა ჩვენს მომავალ ბედნიერებაზე ჩვენ ორნი ვლაპარაკობდით, ვიპრანჭებოდით, უმნიშვნელო ამბებით ვართობდით თავს, როგორც ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს შეეფერებოდათ, მაგრამ სინამდვილეში ჩვენი მომავა-

ლი ბედნიერება დამოკიდებული იყო კარგად გამოჭრილ და შეკერილ პერანგებზე, კარგად შემოკეცილ სუფრებზე და ხელსაწმენდებზე. პოკროვსკოეს და ნიკოლსკის შორის დღეში რამდენჯერმე ვრცელდებოდა საიდუმლო ცნობები იმის შესახებ, თუ სად რა მზადდებოდა და მართალია, სერგეი მიხაილიჩის დედა და კატია ერთი შეხედვით თითქოს დამტკბარნი იყვნენ ერთმანეთთან, სინამდვილეში მათ შორის ერთგვარი მტრული, მეტოქეური, თუმცა საკმაოდ დახვეწილი დიპლომატიური დამოკიდებულება იყო. ტატიანა სემიონოვნა, დედამისი, რომელიც ახლა უკეთ გავიცანი, ძველი დროის ქალბატონი, ქედმაღალი და მკაცრი დიასახლისი იყო. სერგეი მიხაილიჩს ის მთელი გულით უყვარდა, მართო იმიტომ კი არა, რომ დედამისი იყო და მოვალეც კი გახლდათ, რომ ჰყვარებოდა, არამედ იმიტომაც, რომ ის ყველაზე კარგ, ჭკვიან, კეთილ და მოსიყვარულე ქალად მიაჩნდა მთელ ქვეყანაზე. ტატიანა სემიონოვნა ჩვენ მიმართ ყოველთვის ძალიან კეთილი იყო, განსაკუთრებით ჩემთან. უხაროდა, რომ მისი შვილი ცოლს ირთავდა. მაგრამ ერთხელ, როცა მასთან მივედი, როგორც მისი შვილის საცოლვე, მომეჩვენა, რომ ეცადა ჩემთვის ეგრძნობინებინა, თითქოს მის შვილს ჩემზე გაცილებით უკეთესი ცოლი ეკუთვნოდა და ჯობდა ეს კარგად გამეცნობიერებინა. მეც გავუგე მას და დავეთანხმე კიდევ.

ამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. სადილობისას მოსული შუალამემდე რჩებოდა ჩვენთან, და, მიუხედავად იმისა, რომ ამბობდა - და მეც მჯეროდა, რომ ასე იყო, - თითქოს ჩემ გარეშე ვერც ერთი დღე ვერ ძლებდა, სინამდვილეში მაინც მთელ დღეს ერთად არ ვატარებდით. ის ისევ თავის საქმეებში იყო ჩაფლული. გარეგნულად კვლავ ძველებური დამოკიდებულება გვქონდა ერთმანეთისად-

მი. თქვენობით ვლაპარაკობდით. სერგეი მიხაილიჩი არ მიისწრაფოდა, რომ ჩემთან განმარტოებულიყო, პირიქით, გაურბოდა კიდევ ამას. ხელზეც კი არ უკოცნია ჩემთვის. თითქოს ეშინოდა, გადამეტებული, ადამიანისთვის საზიანო სინაზე არ გამოეხატა, რომელიც მას ახასიათებდა. არ ვიცი, ის გამოცვალა თუ მე, მაგრამ ახლა ჩემს ტოლად და სწორად მივიჩნევდი, ვეღარ ვხედავდი მასში იმ თვალთმაქცობას, რომელიც ადრე მაღიზიანებდა და რომლითაც ცდილობდა ხოლმე თავისი უბრალოების გამოხატვას. ახლა სიამოვნებით ვაცნობიერებდი, რომ ჩემ წინაშე იდგა არა ის კაცი, რომელიც ადრე მოწიწებასა და შიშსაც კი იწვევდა ჩემში, არამედ ბედნიერებისგან დაბნეული ბავშვი. „სწორედ ასეთი იყო ყოველთვის, - ფიქრობდი ხშირად, - ზუსტად ისეთი ადამიანია, როგორიც მე ვარ, მეტი არა“. მეჩვენებოდა, რომ ის მთლიანად იყო ჩემ წინაშე და მე ის ბოლომდე გავიცანი. ყველაფერი, რასაც მე ვაკეთებდი, იყო უბრალო და სავსებით შეთანხმებული ჩემს ბუნებასთან. მისი გეგმებიც კი ჩვენი მომავალი ცხოვრების შესახებ ჩემად მეჩვენებოდა, ასევე იყო ჩემი გეგმები, უბრალოდ, მის მიერ უფრო მკაფიოდ გამოთქმული.

იმ დღეებში ცუდი ამინდები იდგა და დროის უმეტეს ნაწილს ოთახებში ვატარებდით. ყველაზე გულთბილად ფორტეპიანოსა და ფანჯრის შუა კუთხეში ვსაუბრობდით. შავ ფანჯარაზე სულ ახლოს ირეკლებოდა სანთლის შუქი. წვიმის წვეთები დროდადრო ეცემოდა შუშას და ნელა მიგორავდა ქვემოთ. სახურავზე წვიმა კაკუნობდა, ღარიდან ჩამოსული წყალი ჩხრიალით ეცემოდა გუბებში. ფანჯრები ნესტს აეტანა. თითქოს უფრო ნათელი, თბილი და მხიარული გახდა ჩვენი კუთხე.

- იცით, დიდი ხანია მინდოდა თქვენთვის რაღაც მეტეჯა, - მითხრა ერთხელ, როცა ჩვენს კუთხეში განვმარტოვდით, - სანამ თქვენ უკრავდით, გამუდმებით ამაზე ვფიქრობდი...

- ნურაფერს მეტყვით, მე ყველაფერი ვიცი.

მას გაეცინა.

- მართალი ხართ, ნუ ვილაპარაკებთ.

- არა, მითხარით, რა იყო! - ვკითხე მე.

- აი, რა. გახსოვთ, ერთხელ გიამბოთ ა-სა და ბ-ს ამბავი?

- როგორ შეიძლება არ მახსოვდეს ეგ სულელური ამბავი, კიდევ კარგი, რომ ასე დამთავრდა.

- ჰო, სულ ცოტაც და საკუთარი ხელით დავიღუპავდი თავს. მაშინ თქვენ გადამარჩინეთ. რაც მთავარია, მე ვტყუოდი. ამის გამო მრცხვენია და მინდა ის ამბავი დავასრულო.

- ო, გთხოვთ, არ გინდათ...

- ნუ გეშინიათ, - დამიყვავა, - მე მხოლოდ თავის გამართლება მინდა. როცა ლაპარაკი დავიწყე, მსჯელობა მინდოდა.

- რა საჭიროა მსჯელობა! არასოდეს არ უნდა იმსჯელო.

- დიახ, მე ცუდად განვსჯიდი. ცხოვრების განმავლობაში ჩადენილი შეცდომებისა და იმედგაცრუებების შემდეგ, სოფელში ჩამოსულმა საკუთარ თავს გადაჭრით ვუთხარი: სიყვარული ჩემთვის დამთავრებულია. ჩემი ვალია, ცხოვრება ბოლომდე გავასრულო. დიდხანს ვერ ვაცნობიერებდი, რას წარმოადგენდა ჩემი გრძნობა თქვენდამი, სადამდე შეეძლო მივეყვანე მას. იმედიც მეძლეოდა და უიმედოდაც ვყოფილვარ. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ თქვენ იპრანჭებოდით, ხან კი მჯეროდა თქვენი, მაგრამ არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. მაგრამ იმ საღამოს შემდეგ, ალბათ გახსოვთ, ბაღში რომ ვსეირნობდით ღამით, ჩემი ბედნიერება იმდენად დიდი და შეუძლებელი მომეჩვენა, რომ შემე-

შინდა. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, თავი რომ დამეიმედებინა და ეს ამას გამომდგარიყო? მაგრამ მაშინ, რასაკვირველია, მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობდი, იმიტომ, რომ საშინელი ეგოისტი ვარ.

გაჩუმდა და შემომხედა. მერე ისევ განაგრძო.

- მაგრამ მე მთლად სისულელეებს არ ვამბობდი მაშინ. განა არ უნდა მშინებოდა: იმდენად ბევრს გართმევთ და სამაგიეროდ იმდენად მცირეს გთავაზობთ. თქვენ ჯერ კიდევ ბავშვი ხართ, გაუშლელი კოკორი. თქვენთვის ეს პირველი სიყვარულია, ჩემთვის კი...

- მითხარით, სიმართლე მითხარით, - ვთქვი და უცებ გაეჩუმდი. შემეშინდა და იქვე დავძინე, - არა, არ არის საჭირო.

- მიყვარდა თუ არა ვინმე? ეს გინდოდათ გეკითხათ, ასე არ არის? - მაშინვე მიხვდა ჩემს ფიქრებს, - შეიძლება გითხრათ, რომ არ მყვარებია, მსგავსი გრძნობა არასოდეს განმიცდია. - მაგრამ უეცრად, თითქოს რაღაც მძიმე მოგონება გაუკრთაო, სევდიანად დაამატა: - არა, ამ შემთხვევაშიც მჭირდება თქვენი თანადგომა, თქვენი სიყვარულის უფლება უნდა მქონდეს. ნუთუ არ უნდა დავფიქრებულებიყავი, სანამ სიყვარულში გამოგიტყდებოდით? რის მოცემა შემიძლია მე? სიყვარულის - ხომ მართალია?

- მერე, განა ეგ ცოტაა? - ვთქვი და თვალებში ჩავხედე.

- ცოტაა, მეგობარო, თქვენთვის ცოტაა. თქვენ ლამაზი ხართ, ახალგაზრდა. ხშირად, ბედნიერებისგან აღტკინებული, ღამეებს ვათენებ იმაზე ფიქრში, თუ როგორ ვიცხოვრებთ ჩვენ ერთად. დიდი ხანია ქვეყანაზე ვცხოვრობ და, მგონია, რომ ვიპოვე ის, რაც ადამიანს სჭირდება ბედნიერებისთვის. მშვიდად, განმარტოებით მინდა ცხოვრება ჩვენს მყუდრო სოფელში, მინდა იმის

საშუალება მექონდეს, რომ ადამიანებისთვის სიკეთე ვაკეთო. ისინი შეჩვეულნი არ არიან ამას და მით უფრო ადვილია მათდამი კეთილი იყო. მერე კი შრომა, - ისეთი შრომა, რომელსაც სარგებლობა მოაქვს. შრომის შემდეგ - დასვენება, ბუნება, წიგნები, მუსიკა, ახლობლების სიყვარული, - აი, ჩემი ბედნიერება, ამაზე შორს აღარ მივდივარ. ჰოდა, თქვენც გამოჩნდით, შესანიშნავი მეგობარი, კარგი ოჯახით, ყოველივე იმით, რაც შეიძლება კაცმა ინატროს.

- დიახ, - ჩავილაპარაკე.

- დიახ, მაგრამ ეს ჩემთვის, რომელმაც ახალგაზრდობა გალია და არა თქვენთვის, - განაგრძო მან, - თქვენ ჯერ არ გიცხოვრიათ ქვეყანაზე, იქნებ, თქვენ სულ სხვა რამეში სცადოთ ბედნიერების პოვნა და იპოვოთ კიდევ. ახლა გგონიათ, რომ ბედნიერი ხართ, იმიტომ, რომ გიყვარვართ.

- არა, მე ყოველთვის ასეთ ოჯახურ, მყუდრო ცხოვრებაზე ვოცნებობდი, თქვენ სწორედ იმას ამბობთ, რაზეც მე მიოცნებია. მას გაეღიმა.

- ეს აჩრდილია მხოლოდ, ჩემო მეგობარო, თქვენთვის ეს ძალიან ცოტაა. თქვენ ლამაზი და ახალგაზრდა ხართ, - გაიმეორა ჩაფიქრებულმა.

მაგრამ მე მეწყინა, რომ ჩემი არ სჯეროდა და თითქოს მსაყვედურობდა კიდევ, რომ ახალგაზრდა და ლამაზი ვიყავი.

- მაშ რატომ გიყვარვართ, - ვთქვი ნაწყენი ტონით, - იმიტომ, რომ ახალგაზრდა ვარ, თუ იმიტომ, რომ თვითონ დავიმსახურე ეგ სიყვარული?

- არ ვიცი, მაგრამ მიყვარხართ, - თქვა და დაკვირვებით, გულში ჩამწვდომად შემომხედა.

ხმა არ ამომიღია, ჩემდა უნებურად თვალებში ჩავხედე და მოულოდნელად უცნაური რაღაც ვიგრძენი: მთელი სამყარო გაქრა ჩემ წინ, მერე მისი სახეც გაიფანტა და მხოლოდ თვალებს ვხედავდი, ჩემს თვალებთან რომ ბრწყინავდნენ, მერე ამ თვალებმაც ჩემში გადმოინაცვლეს და ყველაფერი აირია, ვერაფერი გავარჩიე, იძულებული გავხდი თვალები დამეხუჭა, რომ იმ შიშისა და სიამის განცდას გავქცეოდი, რომელსაც ეს თვალები იწვევდა ჩემში.

ჩვენი ქორწილის წინა დღეს, საღამოს გამოიდარა. ჯერ კიდევ ბაფხულში დაწყებული წვიმის შემდეგ პირველად დადგა შემოდგომის ცივი და ოქროსფერი საღამო. ყველგან სინესტე იგრძნობოდა, ციოდა, განათებულ ბაღს პირველად შეერია შემოდგომის ფერები, თავისი შიშველი სივრცეებით. ცა მოწმენდილი, ცივი და ფერმიხდილი ჩანდა. გახარებული იმით, რომ ხვალ, ჩვენი ქორწილის დღეს, კარგი ამინდი იქნებოდა, დასაძინებლად წავედი.

დილას მზის ამოსვლამდე ავდექი. იმის გაფოქრებამ, რომ უკვე დღეს მელოდა ყოველივე, შემაშინა და თითქოს გამაკვირვა კიდევ. ბაღში გავედი. მზე ხეების წვერებში ამოსულიყო, ფოთლებჩამოყრილ გაყვითლებულ ცაცხვის ტოტებში მზის სხივები ალმაცერად კრთებოდნენ. გზაზე შრიალა ფოთლები ეფინა, ცირცელის წითელი მტევნები ყინვისგან დამზრალ ტოტებზე ეკიდა. დამტკნარი გეორგინები ჩაშავებულიყვნენ. ყინვა ვერცხლისფრად გადაფარებოდა ფერმკრთალ მწვანე ბალახს და სახლთან ახლოს მდგარ გადატეხილ ოროვანდს. მოწმენდილ ცაზე ღრუბლის ფთილაც კი არ ჩანდა და არც უნდა ყოფილიყო.

„ნუთუ დღეს?“ - ვეკითხებოდი ჩემს თავს, რადგან არ მჯეროდა მოახლოებული ბედნიერების, - ნუთუ ხვალ აქ აღარ ვიქნები, ნუთუ ხვალ უკვე სხვის სახლში გამედღვიძება, ნიკოლსკოეს სვე-

ტებიან სახლში? ნუთუ ამ დღის შემდეგ აღარ შევხვდები სერგეი მიხაილიჩს, აღარ დაველოდები მას და ღამლამობით აღარ ვილაპარაკებთ კატიასთან მასზე, ნუთუ აღარ მიუჯდებით ფორტეპიანოს მე და ის პოკროვსკოეს სახლში? აღარ გავაცილებ და აღარ შემეშინდება ბნელ ღამეში მისი გაშვების?" მაგრამ თან მის სიტყვებს ვიხსენებდი, რომ თქვა, უკანასკნელად მოვედიო, გამახსენდა, კატია მ საქორწილო კაბის გასინჯვა რომ მაიძულა და თან მითხრა: ხვალისთვის გავამზადოთო და ერთ წამს თითქოს მჯეროდა, მერე კი ისევ ეჭვი მიპყრობდა. „ნუთუ ხვალიდან დედამთილთან ვიცხოვრებ, ნადიას, მოხუცი გრიგორისა და კატიას გარეშე, აღარ ჩავკოცნი ძილის წინ ძიძას, აღარ გადამწერს ის პირჯვარს და არ მეტყვის, ღამე მშვიდობისა, ქალიშვილო. აღარ ვამეცადინებ სონიას, აღარ ვეთამაშები, აღარ დავუკაკუნებ დილით კედელზე, არ გავიგონებ მის მხიარულ კისკისს? ნუთუ დღეიდან უცხო გავხდი საკუთარი თავისთვის, ნუთუ ახალი ცხოვრება იშლება ჩემ თვალწინ, ნუთუ ეს არის ჩემი ოცნებებისა და სურვილების ასრულება, ნუთუ სამუდამოა ეს ახალი ცხოვრება?"

მოუთმენლად ველოდი სერგეი მიხაილიჩის მოსვლას, რადგან მიმძიმდა ჩემს მრუმე ფიქრებთან მართლ დარჩენა. სერგეი მიხაილიჩი ადრინად მოვიდა და მაშინლა დავიჯერე, რომ ამიერიდან მართლა მისი ცოლი გავხდებოდი, ეს ფიქრი უკვე აღარ მაშინებდა.

სადილობამდე ეკლესიაში წავედით, რომ მამაჩემის სახელზე პანაშვიდი გადაგვეხადა.

„ნეტავ ახლა ცოცხალი იყოს მამა!“ - ვფიქრობდი შინ დაბრუნებისას და უხმოდ ვეყრდნობოდი იმ კაცის მკლავს, რომელიც მამაჩემის საუკეთესო მეგობარი იყო. ლოცვის დროს, სამლოც-

ველოს ცივ ქვაზე დამხობილს, ისე ნათლად წარმომიდგა მამა-ჩემი და ისე ღრმად მჭეროდა, რომ მის სულს ესმოდა ჩემი და ლოცავდა ჩემს არჩევანს, მეგონა, აგერ ახლაც ჩვენს თავზე ტრიალებდა მისი სული და მლოცავდა. მოგონებები, იმედები, ბედნიერება და დარდი ერთ დიდ საზეიმო და ტკბილ გრძნობად მთლიანდებოდა ჩემში, რომელიც იზიდავდა ამ გრილ ნიავს, ამ სიჩუმეს, გატიტვლებულ ველებს, ფერმიხდილ ცას, მბზინავ, თუმცაღა უფერულ სხივებს რომ ფენდა არემარეს და ცდილობდა ლოყები აეწვა ჩემთვის. მეგონა, ის, ვისთანაც მივდიოდი, ისმენდა და იზიარებდა ჩემს გრძნობას. ნელა მოდიოდა, უსიტყვოდ და მის სახეზე, რომელსაც იშვიათად ვხედავდი, იგივე ნაღველი თუ სიხარული იხატებოდა, რომელსაც ბუნებაშიც და ჩემს გულშიც დაესადგურებინა.

უცებ მომიბრუნდა და ვიგრძენი, რომ რაღაცის თქმა სურდა. „ნეტავ ის არ მითხრას, რაც მე მგონია!“ - გავიფიქრე უცებ, მაგრამ მან მამაჩემზე წამოიწყო ლაპარაკი, ისე რომ მისი სახელი არც უხსენებია.

- იცი, ერთხელ ხუმრობით მითხრა - ჩემი მამა ცოლად მოიყვანეო.

- რა ბედნიერი იქნებოდა ახლა! - ვთქვი და უფრო მაგრად მოვუჭირე ხელზე, რომელსაც დავყრდნობიდი.

- დიახ... მაშინ თქვენ სულ ბავშვი იყავით, - განაგრძო და თვალებში ჩამხედა, - მაშინ ამ თვალებს გიკოცნიდით და მხოლოდ ისინი მიყვარდა, იმიტომ, რომ მის თვალებსა მაგონებდა. მაშინ არ ვფიქრობდი იმაზე, რომ ოდესმე ისინი, სწორედ რომ ისინი შემიყვარდებოდა... მაშინ მაშას გეძახდით.

- შენობით მელაპარაკეთ, - ვუთხარი უცებ.

- ახლა სწორედ მაგას ვაპირებდი, - თქვა გაუბედავად, - ახლა ვგრძნობ, რომ მთლიანად ჩემი ხარ, - თქვა და მშვიდი, ბედნიერებით აღსავსე მზერით მომაცქერდა.

ჯერაც გაუვლელ მინდორს ნელა მივუყვებოდით. გათელილი ხრამი გავიარეთ და მხოლოდ ჩვენი ლაპარაკისა და ნაბიჯების ხმა გვესმოდა. თითქოს მართლაც მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით მთელი ქვეყნიერების ცენტრში, აქაც კი, ამ ცისფერი გუმბათის ქვეშ, რომელსაც შემოდგომის მზე ელამუნებოდა.

მეც მინდოდა, შენობით მიმემართა, მაგრამ მრცხვენოდა.

- რატომ მიდიხარ ასე სწრაფად? - ვუთხარი ნაჩქარევად, თითქმის ჩურჩულით და ლოყებზე აღმური მომედო.

ნაბიჯი შეანელა და უფრო ალერსიანად, მხიარულად და გაცისკროვნებული სახით შემომხედა.

როცა შინ დავბრუნდით, იქ სტუმრები დაგვხვდნენ, ასევე დედამისი. თითქოს არ შეიძლებოდა, მათ გარეშე ვყოფილიყავით და იმ წუთიდან, როცა ეკლესიიდან გამოსულები ნიკოლსკოეში წასასვლელად გამზადებულ ეტლში ჩავსხედით, მარტო აღარც დავრჩენილვართ.

ეკლესია თითქმის ცარიელი იყო, მე მხოლოდ ცალი თვალით ვხედავდი დედამისს, ჩემ პირდაპირ ხალიჩაზე კლიროსთან მდგომს, ვხედავდი კატიას ლილისფერი ბაფთებიანი თავსაბურავით, აცრემლებულს. ორ-სამ შინაყმასაც მოვკარი თვალი, ცნობისმოყვარედ რომ შემომყურებდნენ. სერგეი მიხაილიჩს არ ვუყურებდი, მაგრამ მის სიახლოვეს სულ ვგრძნობდი. ლოცვას ვუსმენდი, ლოცვის სიტყვებს ვიმეორებდი, მაგრამ გულს გარეთ ვაკეთებდი ამას. ლოცვა არ შემეძლო, უაზროდ მივშტერებოდი ხატებს, სანთლებს, მოოქრულ ჯვრებს მღვდლის ზურგზე, ეკლესიის ფანჯრებს... არაფერი მესმოდა. მხოლოდ იმას ვგრძნობდი

ნათლად, რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა ჩემს თავს. მღვდელი რომ მოგვიახლოვდა ჯვრით ხელში, მოგვილოცა და მითხრა: „მე მოგნათლე და ღვთის ნებით ჯვარიც მე უნდა დაგწერო“. კატამ და სერგეი მიხაილიჩის დედამ გადაგვკოცნეს. გრიგორის ხმაც შემომესმა, მეეტლეს გასძახა. გამიკვირდა და შემეშინდა კიდევ, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა და ასეთ იდუმალ ამბავს არაფერი უჩვეულო არ მოჰყოლია, არაფერი შეცვლილა ჩემს სულში. მე და სერგეი მიხაილიჩმა ერთმანეთს ვაკოცეთ და ეს კოცნა უცნაური და უცხო მომეჩვენა ჩვენი გრძნობებისთვის. „ნუთუ სულ ესაა“, - გავიფიქრე.

ბორბლების ხრიგინის ხმა გაისმა ეკლესიის თაღების ქვეშ. ნიავი სახეზე გრილად მოგვეფერა, სერგეი მიხაილიჩმა ქუდი დაიხურა, ხელი გამომიწოდა და ეტლში ჩამსვა. ფანჯრიდან მრგვალი, ცივი მთვარე დავინახე. სერგეი მიხაილიჩი გვერდით მომიჯდა და ეტლის კარი მოხურა. გულმა რეჩხი მიყო. თითქოს შეურაცხმყოფელი იყო ჩემთვის მისი თავდაჯერება. კატიას ხმა შემომესმა, დამაწია, თავშალი მოიხურეო. ბორბლები ქვაფენილზე მირახრაბებდნენ, მერე კი სწორ გზაზეც გავედით. კუთხეში მივიყუჩე. ფანჯარაში შორეული განათებული მინდვრები და გზა ჩანდა, მთვარის ცივ ნათებაში ჩაკარგული. სერგეი მიხაილიჩს არ ვუყურებდი, მაგრამ მის სიახლოვეს კვლავ ვგრძნობდი. „ნუთუ ეს ყველაფერია, რაც ამ წუთმა მომცა. მისგან იმდენს ველოდი...“ - ვფიქრობდი და რაღაცნაირად დამამცირებლად და შეურაცხმყოფელად მეჩვენებოდა მასთან ასე ახლოს ჯდომა. გავხედე, რომ რამე მეთქვა მისთვის, მაგრამ სიტყვები ვერ მოვძებნე, თითქოს უწინდელი სინაზეც გამიქრა, შეურაცხყოფისა და შიშის გარდა ვერაფერს ვგრძნობდი.

- აქამდე არ მჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო ეს ყველაფერი მომხდარიყო, - ჩემს მზერას ხმადაბლა გამოეპასუხა.

- დიახ, ასეა, მაგრამ რატომღაც მეშინია, - ვუთხარი და წამოვწითლდი.

- ჩემი გეშინია, ძვირფასო? - თქვა და ხელზე ხელი მომკიდა, თავი ზედ დაადო.

მის ხელში ჩემი ხელი თითქოს უსიცოცხლო გახდა. გული მატკინა იმ სიცივემ, რაც ვიგრძენი.

- ჰო, - ჩავიჩურჩულე მე.

მაგრამ გული მაშინვე ძალუმად ამიძგერდა, ხელი ამითროლოდა, ხელზე ხელი მოვუჭირე, დამცხა... ნახევრად ჩაბნელებულ ეტლში თვალებით მის თვალებს დავუწყე ძებნა და უცებ მივხვდი, რომ სულაც არ მეშინოდა მისი. ეს სიყვარულის მანიშნებელი შიში იყო, ახალი, ადრინდელზე კიდევ უფრო სათუთი და ძლიერი სიყვარულის. მივხვდი, რომ მთლიანად მას ვეკუთვნოდი და ბედნიერი ვიყავი ამით.

ნაწილი მეორე

VI

დღეები, კვირები და ორი თვეც შეუმჩნევლად გავიდა სოფლის განმარტოებულ ცხოვრებაში, როგორც მაშინ მომეჩვენა, მაგრამ გრძნობები, ემოციები და ბედნიერება, რომელიც იმ პერიოდში განვიცადე, მთელი ცხოვრება ეყოფოდა ადამიანს. ჩვენი ოცნება იმაზე, თუ როგორ უნდა მოგვეწყოს სოფლური ცხოვრება, სულ სხვაგვარად ასრულდა, თუმცა სინამდვილე ოცნებაზე ნაკლები არ ყოფილა. მას არ ახლდა დაუღალავი შრომა, თავგანწირვა მოვალეობის მოხდის მიზნით, პირადულზე უარის თქმა სხვათა კეთილდღეობის გამო, როგორც მე ვფიქრობდი, როცა სერგეი მიხაილიჩის საცოლვე ვიყავი. პირიქით, აქ იყო ერთმანეთის სიყვარული, აქ იყო სურვილი - გიყვარდეს, უყვარდე, იყო დაუსრულებელი უმიზნობო სიხარული და თავდავიწყება. მართალია, სერგეი მიხაილიჩი ხანდახან თავის კაბინეტში განმარტოვდებოდა ხოლმე სამუშაოდ, ხან ქალაქშიც მიდიოდა საქმეებზე, მეურნეობაშიც გაეშურებოდა, მაგრამ ნათლად ვგრძნობდი, როგორ ემძიმებოდა ჩემთან ნებისმიერი განშორება. მერე თავადაც გამოტყდა: ამქვეყნად ყველაფერი უაზრობად მეჩვენება, როცა შენ ჩემთან არ ხარ და მიკვირს კიდევ, საერთოდ როგორ ვმუშაობო. მეც ასე გახლდით: ვკითხულობდი, ფორტეპიანოსთან ვიჯექი, დედამისს ვემასლაათებოდი თუ სკოლის საქმეებზე ვბრუნავდი, ყველაფერს მხოლოდ იმიტომ ვაკეთებდი, რომ მას უკავშირდებოდა, მას მოსწონდა. მაგრამ საკმა-

რისი იყო, რომელიმე საქმე გამოჩენილიყო, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა მასთან, ყოველგვარ ინტერესს ვკარგავდი და ყველაფერი სასაცილოდ მიმაჩნდა. შეიძლება ეს ცუდი, ეგოისტური განცდა იყო, მაგრამ მე მახედნიერებდა, სხვებზე მაღლა მაყენებდა. მხოლოდ ის, ერთადერთი არსებობდა ჩემთვის ამ ქვეყანაზე. ის ყველაზე კარგ, ყველაზე უცოდველ ადამიანად მიმაჩნდა მთელ დედამიწაზე; ამიტომაც არ მაინტერესებდა ცხოვრება, თუ ჩემთვის საყვარელი კაცის თვალში, ვისთვისაც ყველაზე კარგი, მართალი და ყოველგვარი სიკეთით დაჯილდოებული ქალი ვიყავი, ისეთი ვიქნებოდი, როგორც მას უნდოდა. მართლაც, ძალას არ ვიშურებდი, რომ მისი იმედები გამემართლებინა.

ერთხელ ჩემს ოთახში შემოვიდა, როცა ვლოცულობდი. მივხედე, მაგრამ ლოცვა არ შემიწყვეტია. მაგიდას მიუჯდა და წიგნი გადაშალა, ხელი რომ არ შეეშალა ჩემთვის. ვიგრძენი, რომ მიყურებდა და შევხედე. გამიღიმა, მეც იმავეთი ვუპასუხე. ლოცვას თავი მივანებე.

- შენ უკვე ილოცე? - ვკითხე.

- ჰო. განაგრძე, წავალ, ხელს არ შეგიშლი.

- შენ თუ ლოცულობ ხოლმე?

პასუხი არ გაუცია, წასასვლელად შეემზადა, მაგრამ გავაჩერე.

- ჩემო კარგო, მოდი, ერთად ვილოცოთ, თუ გიყვარდე.

გვერდში დამიდგა, ხელები უხერხულად ჩამოუშვა და სერიოზული სახით, ენის ბორძიკით დაიწყო კითხვა. შიგადაშიგ გამომხედავდა და ჩემს სახეზე ეძებდა შექებას თუ შველას.

კითხვა რომ დაამთავრა, გავიცინე და გადავეხვიე.

- შენი ბრალია! სულ მგონია, რომ ისევ ათი წლის ბიჭი ვარ, - თქვა და წამოწითლდა, ხელები დამიკოცნა.

ჩვენი სახლი ძველი სოფლური სახლი იყო, რამდენიმე თაობა გაიზარდა ამ სახლში ერთმანეთის სიყვარულითა და პატივისცემით. აქ ყველაფერი სათნო და პატიოსანი ოჯახების ცხოვრებაზე მიანიშნებდა და ამ მოგონებებით ცოცხლობდა. მეც რომ შემოვედი ამ სახლში, ეს მოგონებები ჩემს მოგონებებადაც იქცა. ოთახების მოწესრიგება თუ ავეჯის მდებარეობა-- განლაგება კვლავ ტატიანა სემიონოვნას ევალებოდა. ვერ დავიჩემებ, რომ ყველაფერი ლაბათიანად და ლამაზად მომეჩვენა, მაგრამ ნამდვილად ბევრი გვქონდა ყველაფერი კარგი ცხოვრებისთვის - მოსამსახურეებით დაწყებული და ოთახების მორთულობით თუ საჭმელ-სასმლით დამთავრებული. აქ დამკვიდრებული სისუფთავე და წესრიგი ნებისმიერს პატივისცემას შთაუწერავდა.

სასტუმროში ავეჯი სიმეტრიულად ელაგა, კედლებზე სურათები ეკიდა, იატაკზე ხელით ნაქსოვი ხალიჩები და ფარდაგები ეფინა. სასტუმრო ოთახში ძველი როიალი იდგა, ორი სხვადასხვანაირი კომოდი, რამდენიმე სავარძელი და თითბრით მოოჭვილი რამდენიმე პატარა მაგიდა. ტატიანა სემიონოვნას მეოხებით, ჩემს კაბინეტში ყველაზე კარგი ავეჯი ელაგა, სხვადასხვაგვარი და სხვადასხვა დროის. სხვათა შორის, აქ ძველი ტრიუმოც იდგა, რომელსაც თავიდან ერთგვარი რიდით ვუყურებდი, მერე კი ისე შევიყვარე, როგორც ძვირფასი მეგობარი.

ტატიანა სემიონოვნას ხმას სახლში თითქმის ვერ გაიგონებდით, მაგრამ ყველაფერი საათივით ჰქონდა აწყობილი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი ხალხი ტრიალებდა. ყველა უქუსლო ფაჩუნებით დადიოდა (ტატიანა სემიონოვნას საშინ-

ლად აღიზიანებდა ფეხსაცმლის ჭრაჭუნისა და ქუსლების ბაკა-ბუკის ხმა). აქ თითქოს ყველას ეამაყებოდა თავისი წოდება. მოხუცი ქალბატონის განსაკუთრებული რიდი და მოწიწება ჰქონდათ, მე და ჩემს ქმარს კი მფარველური ალერსიანი მზერით შემოგვცქეროდნენ და აშკარა იყო, რომ თავიანთ საქმეს სიამოვნებით აკეთებდნენ.

სახლში ყოველ შაბათს ირეცხებოდა იატაკი, ბერტყავდნენ ხალიჩებს. თვის პირველ რიცხვებში აკურთხებდნენ წყალს, ლოცულობდნენ. სახელის ხსენების დღეს: ტატიანა სემიონოვნასი, მისი შვილის და ამ შემოდგომაზე უკვე ჩემიც - დიდი სუფრა იმლებოდა, მთელი უბნისთვის. ეს ყოველივე უცვლელად ხდებოდა იმ დროიდან, რაც ტატიანა სემიონოვნას თავი ახსოვდა. ჩემი ქმარი ოჯახურ საქმეებში არ ერეოდა, მხოლოდ საველე სამუშაოებსა და გლეხების საქმიანობას ადევნებდა თვალს. ბევრს მუშაობდა. ძალიან ადრე დგებოდა, ზამთარშიც კი. როცა არ უნდა გამღვიძებოდა, ის უკვე წასული იყო. ჩვეულებრივ, ჩაის დასალევად ბრუნდებოდა შინ და ორნი ვუსხდებოდით სუფრას. ამ დროს საქმეებისგან დაღლილს ის განწყობილება ეწერა სახეზე, რომელსაც ჩვენ უწინ გიჟურ აღფრთოვანებას ვეძახდით. ხშირად ვთხოვდი, მოეყოლა რამე დილის საქმეების შესახებ, მაგრამ ისეთ სისულელეებს მიყვებოდა, ორივენი ვხარხარებდით. ხან უფრო სერიოზულად ვთხოვდი, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ღიმილმორეული იწყებდა ლაპარაკს. მე თვალებში შევყურებდი, მისი ტუჩების ცმაცუნს ვაკვირდებოდი, მაგრამ არაფერი მესმოდა და მხოლოდ ის მიხაროდა, რომ მის გვერდით ვიჯექი და მისი ხმა მესმოდა.

- აბა, რა ვთქვი, გაიმეორე, - მეუბნებოდა, მაგრამ მე არაფრის გამეორება აღარ შემეძლო, ისე მეცინებოდა იმაზე, რომ ის

მიყვებოდა არა ჩემზე ან საკუთარ თავზე, არამედ სულ სხვა რამეებზე. თითქოს ჩემთვის სულერთი არ იყო, რა ხდებოდა იქ. გაცილებით გვიან დავინტერესდი მისი საქმეებით და თანდათანობით ასე თუ ისე გავერკვიე კიდევ. ტატიანა სემიონოვნა სადილობამდე თავის ოთახში იყო ხოლმე განმარტოებული. ჩაისაც მარტო გეახლებოდათ და სხვათა პირით გვითვლიდა მოკითხვას. ჩვენს განსაკუთრებულ, ბედნიერებით სავსე გიჟურ სამყაროში მისი ხმა მოწესრიგებული და წყნარი კუთხიდან ისე უჩვეულოდ ჟღერდა, ხშირად თავის შეკავება მიჭირდა და გაცინებული შევეყურებდი მოსამსახურე ქალს, რომელიც დარბაისლური სიმშვიდით გადმოგვცემდა: ტატიანა სემიონოვნამ დამავალა გავიგო, როგორ გეძინათ წუხელ, გუშინდელი გასეირნების შემდეგ, ხოლო მას რაც შეეხება, შემოგიტვალათ: მთელი ღამე გვერდი მტკიოდა და სოფელში აყეფებულმა სულელმა ძაღლმაც არ დამაძინაო. ასევე მთხოვა კკითხოთ, თუ მოგეწონათ დღევანდელი ნამცხვარი და ისიც ბრძანა, რომ ნამცხვარი დღეს ტარასის ნაცვლად ნიკოლაშამ გამოაცხო, პირველად, საცდელად და კარგადაც გამოუვიდა, განსაკუთრებით კრენდელეები, თუმცა სიმართლე რომ ითქვას, ორცხობილა ცოტათი დაეწვა. სადილობამდე მე და ჩემი მეუღლე ცოტა ხანს ერთად ვატარებდით. უფრო ხშირად მე მარტო ვიყავი, ვუკრავდი ან ვკითხულობდი. ის კი წერდა. ხანდახან მიდიოდა, თუმცა სადილობისას, სადღაც ოთხი საათისთვის, ყველანი სასტუმრო ოთახში ვიკრიბებოდით. დედამისი თავისი ოთახიდან გამოგოგმანდებოდა. მოდიოდნენ საწყალი აზნაური ქალები, რომელთაგან ორი თუ სამი სულაც ჩვენთან ცხოვრობდა. ჩემი ქმარი, ჩვეულებისამებრ, სადილობის წინ დედას ხელკავს გაუყრიდა და ისე შემოუძღვებოდა ოთახში, დედა მოითხოვდა, რომ მეორე მხარეს მე

გამომედო ხელკავი. მერე კი კარებში ველარ ვეტეოდით და ერთმანეთს ვაწყდებოდით.

სუფრას, როგორც წესი, დედა თავმჯდომარეობდა და საუბარიც დახვეწილი და გარკვეულწილად საზეიმოც კი იყო. ჩემი და ჩემი ქმრის უბრალო სიტყვები სასიამოვნოდ არღვევდა საღამოს თავყრილობის ამ საზეიმო განწყობას. დედა-შვილს შორის ხანდახან კამათიც გაიბმებოდა ხოლმე, ერთმანეთს დასცინოდნენ და მე ძალიან მიყვარდა მათი კამათის ყურება, ამ დროს კიდევ უკეთ მქლავნდებოდა მათი ნაზი და მტკიცე სიყვარული. სადილობის შემდეგ დედა სასტუმრო ოთახში დიდ სავარძელში ჯდებოდა და თამბაქოს ტკეპნიდა, ან ახალმიღებული წიგნების ფურცლებს აცალკევებდა. ჩვენ კი ხმამაღლა ვკითხულობდით, ან კიდევ, მოსასვენებელ ოთახში, ფორტეპიანოს ვუსხედით. მაშინ ბევრს ვკითხულობდით, მაგრამ მუსიკა მაინც ჩვენი ყველაზე საყვარელი გასართობი იყო. ის გამუდმებით ახალ-ახალ გრძნობებს იწვევდა ჩვენში და თითქოს ხელახლა გვაცნობდა ერთმანეთს. როცა რაიმეს ვუკრავდი, რაც მას უყვარდა, ის მოშორებით მდგარ სავარძელში ჩაჯდებოდა, ისე, რომ თითქმის ვერ ვხედავდი და მორცხვად ცდილობდა, ის შთაბეჭდილება, რომელსაც მუსიკა ახდენდა მასზე, ჩემგან დაეფარა. მაგრამ ძალიან ხშირად, მისთვის სრულიად მოულოდნელად, ვწყვეტი დაკვრას, წამოვდგებოდი, მივუახლოვდებოდი და ვცდილობდი მის სახეზე მღელვარება დამეჭირა, მისი თვალების უჩვეულო ელვარება თუ აკიაფებული ცრემლები, რომლებიც სურდა ჩემთვის დაეფარა. დედამისს უნდოდა, უფრო ხშირად ვენახეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, შიშობდა, არ შევეწუხებინეთ და ხან ისე ჩაუვლიდა ჩვენს ოთახს, თითქოს ვერც გვამჩნევდა, მდამეტად სერიოზულ და გულგრილ გამომეტყველებას იღებდა, თუმცა მე

ვხვდებოდი, რომ სულ უმიზნოდ მიეშურებოდა თავის ოთახში და მალევე ბრუნდებოდა. საღამოს ისევ იკრიბებოდნენ შინაურები დიდ სასტუმრო ოთახში, მაგიდას შემოუსხდებოდნენ და ამჯერად ჩაის მე ვასხამდი. ეს საზეიმო თავყრილობები სარკესავით პრიალა სამოვრის გარშემო და ჩაის ჭიქების ჩამორიგება დიდხანს მგვრიდა უხერხულობას, რადგან სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, ქარაფშუტა და ჯერ არ დამემსახურებინა ასეთი პატივი, რომ ამხელა სამოვრის ონკანი მეტრიალებინა, რომ ნიკიტასთვის ჭიქა ლანგარზე დამედგა და მეთქვა: „ეს პიოტრ ივანიჩს, მარია მინინას“, თან მეკითხა: „ხომ ტკბილია?“ - შაქრის ნატეხები გადამედო ძიძისთვის, შრომისმოყვარე შინაყმებისთვის. „ყოჩაღ, ყოჩაღ, - ჩაილაპარაკებდა ხოლმე ჩემი ქმარი, - თითქოს დიდი იყოს“, და ეს სიტყვები კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში მაგდებდა.

ჩაის შემდეგ დედა პასიანსს შლიდა, ანდა მარია მინინას მკითხაობას უსმენდა, მერე მე და ჩემს ქმარს გადაგვკოცნიდა, პირჯვარს გადაგვწერდა და ჩვენს ოთახში მივდიოდით. უფრო ხშირად შუალამედვე ვისხედით. ეს ყველაზე კარგი და სასიამოვნო დღეები იყო ჩემს ცხოვრებაში. სერგეი მიხაილიჩი თავისი წარსულის ამბებს მიყვებოდა. მომავლის გეგმებს ვსახავდით, ვფილოსოფოსობდით. ხანდახან ხმადაბლა ვლაპარაკობდით, რომ ჩვენი ხმა სხვებს არ გაეგონათ და ტატიანა სემიონოვნასთან არ დავებებლებინეთ, რადგან გვთხოვდა ხოლმე, ადრე დაწეჩითო. ხანდახან მოგვშივდებოდა და ფეხის წვერებზე შემდგარნი გავდიოდით სამზარეულოში, რომ ნიკიტას დახმარებით ცივი ვახშამი გამოგვეტანა და მერე ჩემს კაბინეტში გვესმუნსავა, სადაც ერთადერთი სანთელი ციალებდა. ისე ვცხოვრობდით ამ დიდ ძველ სახლში, თითქოს უცხონი ვყოფილიყავით. ყველა-

ფერს სიძველისა და ტატიანა სემიონოვნას მკაცრი სული აჩნდა. მარტო ტატიანა სემიონოვნა კი არა, მსახურები, შინაბერა ქალები, ავეჯი, სურათები - ყველა და ყველაფერი პატივისცემას იწვევდა ჩემში, იმავდროულად შიშსაც და ხშირად მიფიქრია, რომ ჩვენ, მე და ჩემი ქმარი, თითქოს ზედმეტნი ვიყავით აქ და ძალიან დიდი სიფრთხილითა და დაკვირვებით უნდა გვეცხოვრა. ამას რომ ვისხენებ ახლა, ვხედავ, რომ ეს შემბოჭველი, მაგრამ უცვლელი წესრიგი, უამრავი უსაქმური და ცნობისმოყვარე ხალხი ჩვენს სახლში - სიმყუდროვეს არღვევდა და მძიმეც იყო აღსაქმელად, მაგრამ მაშინ თითქოს ეს შებოჭილობაც კიდევ უფრო აძლიერებდა ჩვენს სიყვარულს. მარტო მე კი არა, ჩემი ქმარიც ცდილობდა არავისთვის ეგრძნობინებინა, რომ რამე არ მოსწონდა, პირიქით, თითქოს ემალებოდა კიდევ ცუდ რამეებს. ჩემი დედამთილის ლაქია, დიმიტრი სიდოროვი, ჩიბუხის დიდი მოტრფიალე, ყოველდღე, ნასადილევს, როგორც ჩვენ მოსასვენებელ ოთახში გავიდოდით, ჩემი ქმრის ოთახში შეიპარებოდა და სათუთუნედან თუთუნს იღებდა. ერთ დანახვად ღირდა, ჩემი ქმარი ფეხაკრეფით, მხიარული შიშნარევი ღიმილით რომ მიახლოვდებოდა, თვალს მიკრავდა და დიმიტრი სიდოროვზე მიმითითებდა, რომელსაც ვერც კი წარმოედგინა, რომ ჩვენ ვუყურებდით და ყველაფერი ვიცოდით. ხოლო როცა ის ისე ჩაივლიდა, რომ ვერც შეგვნიშნავდა, ჩემი ქმარი სიხარულით ცას ეწეოდა - ყველაფერმა მშვიდად რომ ჩაიარა. და როგორც სხვა შემთხვევებში, წამაქებებდა, რომ საოცრება ხარო, და მკოცნიდა. ხანდახან ეს სიმშვიდე, მიმტევებლობა და გულგრილობაც კი არ მომწონდა. ვერ ვხვდებოდი, რომ ეს ჩემშიც იყო და სისუსტედ მიმაჩნდა. „მართლა ბავშვივით არის, რომელსაც საკუთარი ნების გამოჩენის ეშინია“, - ვფიქრობდი მე.

- ეჰ, ჩემო მეგობარო, - მიპასუხა ერთხელ, როცა ვუსაყვედურე გამოჩენილი სისუსტის გამო, - ნუთუ შეიძლება რაიმეთი უკმაყოფილო იყო, როცა ისეთი ბედნიერი ხარ, როგორც მე? უფრო ადვილია დათმო, ვიდრე სხვა დაიმორჩილო, ამაში დიდი ხანია დავრწმუნდი; არ არსებობს ისეთი მდგომარეობა, რომელშიც არ შეიძლება იპოვო ბედნიერება. ჩვენ კი ისე კარგად ვგრძნობთ თავს! არ შემიძლია გაბრაზება, რადგან ჩემთვის ახლა არსად არაფერი არ არსებობს ცუდი. არ ვიცი, დამიჯერებ თუ არა, როცა უცებ ბარის ხმა მესმის და წერილი მომდის, როცა, უბრალოდ, ვიღვიძებ, - შიშს ვგრძნობ. მეშინია რომ უნდა ვიცხოვრო და შეიძლება რაიმე შეიცვალოს; იმაზე უკეთესი კი, რაც ახლა არის, არაფერი შეიძლება იყოს.

მე მჯეროდა მისი, მაგრამ არ მესმოდა. თავს კარგად ვგრძნობდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი ასე უნდა ყოფილიყო და არა სხვანაირად, რომ სხვებიც ასე იყვნენ. ხოლო იქ, სადღაც, არსებობდა სხვა ბედნიერება, პატარა, მაგრამ მაინც სხვა.

ასე გავიდა ორი თვე. ზამთარი დადგა. ზამთარმა სიცივე და ქარიშხალი მოიყოლა და მიუხედავად იმისა, რომ სერგეი მიხაილიჩი სულ ჩემ გვერდით იყო, თავს მაინც მარტო ვგრძნობდი. თითქოს ცხოვრება მეორდებოდა და არაფერი არ იყო ახალი, არც ჩემში და არც მასში, პირიქით, თითქოს ისევ ძველს ვუბრუნდებოდით. ის უფრო ხშირად ერთობოდა თავისი საქმეებით, ვიდრე უწინ და მეჩვენებოდა, რომ მის სულში იყო რაღაც განსაკუთრებული, რომელშიც არ სურდა ჩემი შეშვება. მისი მუდმივი სიმშვიდე მაღიზიანებდა. ნამდვილად არ მიყვარდა იმაზე ნაკლებად, ვიდრე უწინ, არც ნაკლებად მბედნიერებდა მისი სიყვარული; მაგრამ ჩემი სიყვარული თითქოს ერთ ადგილას

გაიყინა და აღარ ვითარდებოდა, სიყვარულის გარდა რაღაც ახალი გრძნობაც იბადებოდა ჩემს სულში. ჩემთვის ცოტა იყო მისი სიყვარული იმის შემდეგ, რა ემოციებიც დამეუფლა ამ სიყვარულის გზაზე. მოძრაობა მჭირდებოდა და არა ცხოვრების მშვიდი დინება. მჭირდებოდა მღელვარება, შიში და თავგანწირვა სიყვარულისთვის. მოჭარბებული მქონდა ძალა, რომელიც ვერ ეტეოდა ჩვენს მშვიდ ცხოვრებაში. ხანდახან სევდა მიპყრობდა და ამ სევდას ვმალავდი, როგორც რაღაც ცუდს. მივისწრაფოდი გააფთრებული სინაზისა და სიხარულისკენ, რაც ასე აშინებდა ხოლმე მას. მან ჩემზე ადრე შენიშნა ჩემი განწყობა და შემომთავაზა, ქალაქში წავიდეთო, მე ვთხოვე, რომ გადაეფიქრებინა, არ მინდოდა ჩვენი ცხოვრების ნირის შეცვლა, ჩვენი ბედნიერების დარღვევა. მართლაც ბედნიერი ვიყავი, მაგრამ ის მაწუხებდა, რომ ამ ბედნიერებას არავითარი განსაკუთრებული შრომა და გარჯა არ სჭირდებოდა ჩემგან, არავითარი თავგანწირვა. მე კი შრომა და თავგანწირვა მინდოდა. მიყვარდა ის და ვხედავდი, რომ მისთვისაც ყველაფერი ვიყავი. მაგრამ მინდოდა, ჩვენი სიყვარული სხვებსაც დაენახათ, ხელი შეეშალათ ჩვენთვის და მე მაინც მყვარებოდა ის, დაბრკოლებებისკენ ვისწრაფოდი. ჩემი გონება და გრძნობებიც დაკავებული იყო, მაგრამ ხომ არსებობდა ახალგაზრდობის განცდაც, რომელიც აქტიურობას, მოძრაობას მთხოვდა და გასაქანს არ მაძლევდა ჩვენს მყუდრო ცხოვრებაში. რატომ მითხრა, რომ შეგვეძლო ქალაქში წავსულიყავით, როცა კი ამას მოვისურვებდი? ეს რომ არ ეთქვა, შეიძლება მივმხვდარიყავი, რომ გრძნობა, რომელიც მტანჯავდა, სულელური, მავნე იყო და ძალით გამოვიწვიე. თავგანწირვა კი, რომელსაც ვეძებდი, აქვე, სულ ახლოს მქონდა და მოითხოვდა, ეს გრძნობა გულში ჩამეკლა. უნებლიეთ ჩამიჯდა

თავში აზრი, რომ შეიძლებოდა გაეგვლო ამ სევდას, თუ ქალაქში გადავსახლდებოდით; მაგრამ იმავდროულად მრცხვენოდა და მეთანაღრებოდა კიდევ, რომ ჩემ გამო უნდა მომეწყვიტა ყოველივე იმისგან, რაც მას ასე უყვარდა და რაც ასე ახლობელი იყო მისთვის. დრო კი გადიოდა. თოვლმა სულ უფრო მეტად დაფარა ჩვენი სახლის კედლები და ჩვენ ისევ მარტონი ვიყავით. იქ კი, სადაც, ბრწყინვალეობასა და ხმაურში, დელავდნენ, იტანჯებოდნენ და ხარობდნენ ადამიანები. ისინი არ ფიქრობდნენ ჩვენზე, ჩვენს მომავალ ცხოვრებაზე. ყველაზე საშინელი კი ის იყო ჩემთვის, რომ ვგრძნობდი, როგორ თანდათან გვბოჭავდა ცხოვრების დადგენილი ჩვეულებები და ერთ ჩარჩოში გვაქცევდა. როგორ შეიბოჭა ჩვენი გრძნობა, დაემორჩილა დროის თანაბარ, აუღელვებელ დინებას. დილით მხიარულები ვიყავით, სადილობისას კდემამოსილნი, საღამოობით კი ნაზნი. „სიკეთე!.. - ვარწმუნებდი ჩემს თავს, - კარგია სიკეთის ქმნა და პატიოსნად ცხოვრება, როგორც სერგეი მიხაილიჩი ამბობს, მაგრამ ამას ჩვენ ხომ მერეც მოვასწრებთ, ახლა კი არის რაღაც, რისთვისაც მხოლოდ ახლა შემწევს ძალა“. მე ის აღარ მჭირდებოდა, რაც იყო, მე მინდოდა ბრძოლა, მინდოდა გრძნობას ეკარნახა ჩვენი ცხოვრებისთვის და არა ცხოვრებას გრძნობისთვის. მინდოდა სერგეი მიხაილიჩთან ერთად უფსკრულის პირას მივსულიყავი და მეთქვა: აი. უფსკრული, ნაბიჯს გადავდგამ და გადავიჩეხები, აი, ერთი მოძრაობა და დავიღუპები. - მას კი ფერი შეეცვლებოდა უფსკრულის პირას, თავისი ძლიერი ხელებით ამიყვანდა, ისე გამაჩერებდა, რომ სული შემეკუმშებოდა და მერე წამიყვანდა, სადაც სურდა.

ამ მდგომარეობამ ჩემს ჯანმრთელობაზეც კი იმოქმედა. ნერვები აღარ მემორჩილებოდა. ერთ დილით ჩვეულებრივზე უფრო

ცუდად ვიყავი. რატომღაც ისიც ცუდ გუნებაზე დაბრუნდა კანტორიდან, რაც ძალიან იშვიათად ხდებოდა. მაშინვე შევამჩნიე ეს და ვკითხე: რა სჭირდა. როგორც ჩანს, არ უნდოდა, რომ ბოლომდე ეთქვა ჩემთვის, და სურდა თემა შეეცვალა, ან ლაპარაკად არ ღირდა. როგორც შემდეგ კაცებისგან გავიგე, სამაზრო პოლიციის უფროსს ჩვენი გლეხები გამოუძახია და ჩემს ქმარზე განაწყენებულს უკანონო საქმე მოუთხოვია მათგან, თან დამუქრებია.

ჩემი ქმარი ჯერ კიდევ არ იყო მზად, რომ მშვიდად გადაეხარშა ეს ყველაფერი. გაღიზიანებული იყო და ამიტომაც არ უნდოდა ჩემთან ლაპარაკი. მაგრამ მე მომეჩვენა, რომ ბავშვად ჩამთვალა და იმიტომ არ გამომიტყდა, ეგონა, ვერ გავუგებდი. ხმის ამოუღებლად შევაქციე ზურგი და განკარგულება გავეცი, რომ მარია მინიჩნა მოეწვიათ ჩაიბე. მუჟამად იგი გვსტუმრობდა. ჩაის შემდეგ მარია მინიჩნასთან ერთად მოსასვენებელ ოთახში გავედდი და ხმამაღლა დავიწყე ლაპარაკი. ათას სისულელეზე ვლაპარაკობდი, რაც სრულიად არ მაინტერესებდა. სერგეი მიხაილიჩი ოთახში სცემდა ბოლთას და ხანდახან თუ შემოიხედავდა. რატომღაც ძალიან ცუდად მოქმედებდა ჩემზე მისი ეს შემოჭყეტვები და კიდევ მეტად მიპყრობდა სურვილი, მელაპარაკა და მეცინა. ყველაფერი სასაცილოდ მეჩვენებოდა, რასაც ვამბობდი, რასაც მარია მინიჩნა ამბობდა. სერგეი მიხაილიჩს ხმა არ ამოუღია. თავის კაბინეტში გავიდა და კარი მიხურა. როგორც კი მისი ფეხების ხმა მიწყდა, მთელი ჩემი მხიარული განწყობა უცებ სადღაც გაიფანტა, შეცბუნებულმა მარია მინიჩნამ მკითხა კიდევ: რა დაგემართაო. არ მიპასუხია, სავარძელში ჩავჯექი და ცრემლები მომადგა თვალებზე. „ნეტავ რაზე ფიქრობს? - ვფიქრობდი ჩემთვის, - ალბათ რაღაც სისულელეზე, რომელიც მას

მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნია. გამიზიაროს თავისი ფიქრები, ნახავს, როგორ შეიცვლება ყველაფერი, მაშინვე უაზრობად მოეჩვენება. მაგრამ ჰგონია, რომ პატარა ვარ, ვერ გავუგებ, ჩემი დამცირება უნდა თავისი მეფური სიდინჯით და ყოველთვის თვითონ გამოდის მართალი. მაგრამ მეც მართალი ვარ, როცა ვიწყენ, სიცარიელეს ვგრძნობ, როცა ცხოვრება მინდა, მოძრაობა მინდა, არ მინდა ერთ ადგილზე დგომა და თვლა, როგორ გარბის დრო. წინსვლა მწყურია, ყოველდღე, ყოველ წამს ვგრძნობდე სიახლეს, მას კი ერთ ადგილზე დგომა ურჩევნია და უნდა, რომ მეც გამაჩეროს. ასე ხომ ადვილი იქნება მისთვის. აღარ იქნება საჭირო ქალაქში წასვლა, ამისთვის საკმარისია ისეთი იყო, როგორიც მე ვარ, ძალდაუტანებელი, თავისუფალი, ცხოვრობდე უბრალოდ. ის ხომ სწორედ ამას მირჩევს მე, თვითონ კი ასეთი არ არის, აი, რა“.

ვგრძნობდი, რომ ცრემლები მახრჩობდა, ვგრძნობდი, რომ ვბრაზობდი და შემეშინდა ამ სიბრაზის. მასთან გავედი. თავის კაბინეტში მაგიდას უჯდა, რაღაცას წერდა. როცა ჩემი ფეხის ხმა გაიგონა, წამით შემომხედა, ცივი, მშვიდი სახით, მერე ისევ წერა განაგრძო. ეს გამოხედვა არ მომეწონა; იმის ნაცვლად, რომ მივახლოვდები, მაგიდასთან გავჩერდი, წიგნი გადავშალე. მან ისევ შემომხედა.

- მაშა! უგუნებოდ ხარ? - მომმართა.

ცივი მზერით ვუპასუხე, რომელშიც იკითხებოდა: „ეგ რა საკითხავია? რა ნაძალადევი თავაზიანობაა?..“ მან თავი გადააქნია და უსუსურად, ალერსიანად გამიღიმა, მაგრამ პირველად მოხდა, რომ ღიმილით არ ვუპასუხე.

- რა მოხდა დღეს? - ვკითხე მე, - რატომ არ მეუბნები?

- წვრილმანი, რალაც პატარა უსიამოვნება, - თქვა მან, - თუმცა ახლა შემიძლია გიამბო. ორი გლეხი ქალაქში წავიდა...

მაგრამ მე არ დავამთავრებინე სიტყვა.

- რატომ მაშინ არ მიამბე, ჩაის რომ ვსვამდით?

- მაშინ გაბრაზებული ვიყავი და შეიძლებოდა სისულელე წამომეროშა.

- მე კი ზუსტად მაშინ მინდოდა.

- რატომ?

- რატომ გგონია, რომ არასოდეს არ შემიძლია რამეში დაგეხმარო?

- რატომ მგონია!.. - თქვა მან და კალამი ხელიდან გააგდო, - მე მგონია, რომ უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია. შენ მარტო კი არ მეხმარები, ყველაფერს აკეთებ. - გაეცინა, - მე მხოლოდ შენით ვცოცხლობ, ყველაფერი, რაც კარგია, მხოლოდ იმიტომ არის კარგი, რომ შენ აქ ხარ, რომ შენ...

- ჰო, ეგ ვიცი, მე საყვარელი ბავშვი ვარ, რომელიც უნდა დაამშვიდო, - ვთქვი ისეთი ტონით, რომ ის შეცბა, შემომხედა, თითქოს პირველად მნახა, - მე არ მინდა მშვიდად ყოფნა, სიმშვიდე შენშიც საკმარისზე მეტია.

- იცი ხდებოდა! - დაიწყო აჩქარებით, ალბათ შეეშინდა, კიდევ რამე არ მეთქვა, - აბა შენ როგორ განსჯიდი მას?

- ახლა არ მინდა, - ვთქვი, არადა, მინდოდა მოსმენა, მაგრამ თან ისეთი დიდი სურვილი გამიჩნდა, მისი სიმშვიდე დამერღვია, რომ წამოვიყვირე: - არ მინდა ვითამაშო, თითქოს ვცხოვრობ, მე ცხოვრება მინდა.

მის სახეზე, რომელზედ ყველაფერი სწრაფად და ცოცხლად აისახებოდა ხოლმე, ტკივილი და გამძაფრებული ყურადღება აღიბეჭდა.

- მე მინდა შენთან ერთად თანაბრად ვიცხოვრო, შენთან...

მაგრამ სათქმელი ვერ დავასრულე. მის სახეზე სევდა შევნიშნე, ღრმა სევდა. მცირე ხანს გაჩუმდა.

- მერედა რატომ არ მიგაჩნია თავი ჩემს თანაბრად და თანასწორად? - მითხრა მან, - იმიტომ, რომ სამაზრო პოლიციელთან და მთვრალ გლეხებთან ვურთიერთობ და შენ არა?

- არა, საქმე მართლ ეგ არ არის.

- ღვთის გულისათვის, გამიგე, ჩემო მეგობარო, - განაგრძო მან. - ვიცი, რომ მწუხარებისგან ადამიანი მუდამ ტკივილს გრძნობს. იმდენი მაინც მიცხოვრია ამქვეყნად, რომ ეს გამეგო. მე შენ მიყვარხარ და, აქედან გამომდინარე, არ მაქვს უფლება, რომ არ მოგარიდო მწუხარება და ნაღველი. ეს ჩემი ცხოვრების არსია, ის შენს სიყვარულზეა აგებული. ჰოდა, მეც ნუ მიშლი ცხოვრებას.

- შენ ყოველთვის მართალი ხარ! - ვუთხარი ისე, რომ სახეზე არ შემიხედავს.

ვწუხდი, რომ მის სულში კვლავ ყველაფერი ნათელი და მშვიდი იყო, როცა ჩემთან საშინელ წყენასა და სინანულის მსგავს განცდას დაესადგურებინა.

- მაშა! რა გჭირს? - მითხრა მან, - იმაზე კი არ არის ლაპარაკი, ვინ არის მართალი - მე თუ შენ, აქ სულ სხვა რამეა, რაში მადანაშაულებ? უცებ ნუ მეტყვი, დაფიქრდი და ისე მითხარი, მითხარი ყველაფერი, რასაც ფიქრობ. შენ უკმაყოფილო ხარ ჩემით და ალბათ მართალი ხარ, მაგრამ გამაგებინე, რაში შევცოდე?

მაგრამ როგორ უნდა გამეშიშვლებინა ჩემი სული? მან რომ უცებ გამიგო, ისევ რომ ბავშვად დავრჩი მის თვალში და ჩემი ნებისმიერი საქციელის თუ სიტყვის წინასწარ განჭვრეტა რომ შეეძლო, ეს ყველაფერი უარესად მაღიზიანებდა.

- არაფერში არ გადანაშაულებ, - მივუგე მშვიდად, - უბრალოდ, მოწყენილი ვარ და არ მინდა, რომ მოწყენილი ვიყო, მაგრამ შენ ამბობ, რომ ასეა საჭირო და ისევ შენ ხარ მართალი!

ეს ვთქვი და თვალებში შევხედე. მიზანს მივალწიე - მისი სიმშვიდე დავარღვიე, სახეზე შიში და ტკივილი გამოესახა.

- მაშა, - დაიწყო ნელა, მაგრამ აღელვებით, - ის, რასაც ჩვენ ახლა ვაკეთებთ, ხუმრობა არ არის. ახლა ჩვენი ბედი წყდება. გთხოვ მომისმინო, მაგრამ ახლა ნუ მიპასუხებ. რატომ გინდა, რომ დამტანჯო?

მაგრამ მე შევაწყვეტინე.

- მე ვიცი, რომ მაინც მართალი იქნები. შეგიძლია არაფერი თქვა, შენ მართალი ხარ, - ვთქვი ცივად. თითქოს მე კი არა, ვიღაც ავი სული ლაპარაკობდა ჩემ მაგივრად.

- რომ იცოდე, რას აკეთებ! - თქვა აცახცახებული ხმით.

ავტირდი და ცოტათი გულზე მომეშვა. უხმოდ იჯდა ჩემ წინ. შემეცოდა, საკუთარი თავის შემრცხვა და ვინანე კიდევ, რომ ასე მოვიქეცი. სახეში ვერ ვუყურებდი, მეშინოდა, მის მკაცრ ან გაოცებულ მზერას არ შევხვედროდი. მერე მაინც მივხედე: მშვიდი, ალერსიანი თვალებით მომჩერებოდა, თითქოს პატიებას მოთხოვდა, ხელზე ხელი მოვკიდე და ვუთხარი:

- მაპატიე! თვითონაც არ ვიცი, რას ვამბობ.

- ჰო, მაგრამ მე ვიცი, რასაც ამბობ, შენ მართალი ხარ.

- რა? - ჩავეკითხე.

- ის, რომ პეტერბურგში უნდა წავიდეთ, აქ აღარაფერი გვესაქმება.

- როგორც გინდა.

ხელი მომხვია და მაკოცა.

- მაპატიე, დამნაშავე ვარ, - თქვა მან.

იმ საღამოს დიდხანს ვუკრავდი მისთვის, ის კი ოთახში დადიოდა და რაღაცას ჩურჩულებდა, სჩვეოდა ხოლმე ჩურჩული. ხშირად მიკითხავს, რას ჩურჩულებ-მეთქი, ცოტა დაფიქრდებოდა და მერე მეტყოდა, რას ჩურჩულებდა: უფრო ხშირად, ეს ლექსები იყო, ან რაღაც სისულელე, მაგრამ ამ სისულელით შემეძლო გამომეცნო მისი სულიერი მდგომარეობა.

- ახლა რას ჩურჩულებ? - ვკითხე ამჯერადაც.

შეჩერდა, დაფიქრდა, გამიღიმა და ლერმონტოვის ორი სტრიქონი მითხრა:

„...ის კი, შმაგი, ქარებს უხმობს,
თითქოს ქარში იყოს შვება!“

„არა, ის უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანი. მან ყველაფერი იცის! - გავიფიქრე მე, - როგორ არ უნდა გიყვარდეს ასეთი კაცი?!“

წამოვდექი, ხელი მოვკიდე და მასთან ერთად დავიწყე ოთახში სიარული, თან ვცდილობდი, მისი ნაბიჯებისთვის ფეხი ამეწყეო.

- ჰო? - მკითხა ღიმილით და შემომხედა.

- ჰო! - ჩავჩურჩულე მე და ორივეს რაღაცნაირი ხალისიანი განწყობილება დაგვეუფლა, თვალები გვიცინოდა, უფრო და უფრო ფართო ნაბიჯებს ვდგამდით, უფრო და უფრო ვიწვევდით ფეხის წვერებზე და, მიუხედავად სასტუმრო ოთახში მჯდარი დედამთილის შეწუხებული სახისა, პასიანსს რომ შლიდა, და გრიგორის გაოცებისა, ასეთივე ნაბიჯებით შემოვუარეთ დანარჩენ ოთახებს, სასადილო ოთახში გავჩერდით, ერთმანეთს გადავხედეთ და გადავიხარხარეთ.

ორი კვირის შემდეგ, დღესასწაულებამდე, უკვე პეტერბურგში ვიყავით.

პეტერბურგში გამგზავრება, ერთი კვირა მოსკოვში, ჩემი და მისი ნათესავები, ახალი ბინა, გზა, ახალი ქალაქები, უცხო სახეები - ყველაფერმა ამან სიზმარივით ჩაიარა. ეს ყოველივე იმდენად მრავალფეროვანი, ახალი და სახალისო იყო, ისეთ სიბოსა და სინათლეს ჰფენდა ის ამ ყველაფერს, რომ სოფლის ჩუმი ცხოვრება ძალიან ძველ ამბად და არარაობად მომეჩვენა. ჩემდა გასაოცრად, მაღალი საზოგადოება, ქედმაღლობისა და გულგრილობის ნაცვლად, რომელსაც ველოდი მისგან, ძალიანაც გულწრფელად შემხვდა, ალერსიანად, სიხარულით (მარტო ახლობლები კი არა, უცნობი ადამიანებიც), თითქოს ისინი მხოლოდ ჩემზე ფიქრობდნენ და მე მელოდნენ, რომ თვითონაც გამხიარულებულიყვნენ. იმანაც გამაოცა, რომ მაღალ საზოგადოებაში, რომლის ფასსაც კარგად ჩაწვდი, ჩემს ქმარს საკმაოდ ბევრი ნაცნობი აღმოაჩნდა, რომელთა შესახებ არასოდეს არაფერი უთქვამს. ხშირად უცნაური და უსიამოვნოც იყო ხოლმე ჩემთვის, როცა ზოგიერთ მათგანს მკაცრად კიცხავდა, რომლებიც მე ძალიან კეთილები მეგონა. ვერ ვხვდებოდი, რატომ იქცეოდა ჩემი ქმარი მათთან ასე ცივად, რატომ გაურბოდა მათ სიახლოვეს, როცა მე მათი ნაცნობობით თავი მომწონდა. ვფიქრობდი, რომ რაც მეტი კეთილი ნაცნობი მეყოლებოდა, მით უკეთესი იქნებოდა. ისინი ყველანი მართლაც კეთილები იყვნენ!

- იცი, როგორ უნდა მოვეწყოთ, - მეუბნებოდა ის სოფლიდან წამოსვლისას, - ჩვენ აქ დიდებულად ვცხოვრობთ, იქ კი ძალიან ხელგაშლილები ვერ ვიცხოვრებთ. ამიტომაც მხოლოდ შობამდე დავრჩებით ქალაქში. მაღალ საზოგადოებაშიც არ უნდა

ავითქვიფოთ, თორემ საქმეები აგვერევა. ესეც რომ არ იყოს, შენთვის მინდა, რომ...

- რად გვინდა მაღალი საზოგადოება? - ვუპასუხე მე, - ვიაროთ თეატრში, მოვინახულოთ ნათესავეები, მოვუსმინოთ ოპერას, კარგ მუსიკას და შინ დავბრუნდეთ, შობას ნულარ დაველოდებით.

მაგრამ როგორც კი პეტერბურგში ჩავედით, ყველა ეს გეგმა დავიწყებას მივცა. უცებ ბედნიერებით სავსე ახალ სამყაროში აღმოვჩნდი, უამრავი საინტერესო ამბის შუაგულში ამოვყავი თავი და გაუცნობიერებლად, ძალიან მალე ვთქვი უარი წარსულზე და მასთან დაკავშირებული ყველა გეგმა მივივიწყე. „ის ყველაფერი არაფერი იყო, ხუმრობა, აქ კი ნამდვილი ცხოვრებაა! ნეტავ კიდევ რა იქნება, მერე?“ - ვფიქრობდი და ის სევდა და ნაღველი, რომელიც სოფელში ყოფნისას შემომიძვრა სულში და ამაფორიაქა, უეცრად სადღაც გაქრა. ქმრისადმი ჩემი სიყვარული უფრო მშვიდი გახდა, აღარ ვფიქრობდი, ნაკლებად ვუყვარვარდი თუ არა. არც შემიძლო, რომ ეჭვი შემპარვოდა მის სიყვარულში, რადგან ყოველ ჩემს გაფიქრებას მაშინვე ხვდებოდა, ჩემს გრძნობებს იზიარებდა, ყველა სურვილს მისრულებდა. მისი სიმშვიდე გაქრა, თუმცა იქნებ უბრალოდ ჩემი გაბრაზება არ უნდოდა. იმასაც ვგრძნობდი, რომ ადრინდელი სიყვარულის გარდა, ჩემითაც სხვანაირად ტკბებოდა.

ხშირად სტუმრად ყოფნისას, როცა ვინმე ახალას გავიცნობდით, ან ჩვენს სახლში ვუმასპინძლებდით სტუმრებს და მე დიასახლისის როლს ვასრულებდი შიშისგან აცახცახებული, რომ არაფერი შემშლოდა, ის მამხნევებდა: „ყოჩაღ, ჩემო გოგონა, კარგია! ნუ გეშინია, ძალიან ყოჩაღი ახარ!“ მეც მიხაროდა. ჩვენი ჩამოსვლის შემდეგ ცოტა ხანში დედამისს წერილი მისწე-

რა და მიხმო, რომ მეც მიმეწერა რამე. არ უნდოდა, რომ წერი-
ლი წამეკითხა, მაგრამ მე დავიჩემე და მაინც წავიკითხე. „მაშას
ველარ იცნობთ, - სწერდა დედამისს, - თვითონაც ველარ ვცნობ.
ნეტავ საიდან აქვს ეს დახვეწილობა, თავდაჯერება, მაღალი
წრის ქალისთვის შესაფერისი ჭკუა, თავაზიანობა და ყველაფერ
ამას უბრალოდ, ლამაზად და კეთილად აკეთებს. ყველას აღტა-
ცებას გვრის. თვითონაც მოხიბლული ვარ და, შესაძლებელი
რომ იყოს, კიდევ უფრო შევიყვარებდი“.

„აი თურმე, როგორი ვყოფილვარ?“ - გავიფიქრე და თავი ისე
კარგად და მხიარულად ვიგრძენი, მომეჩვენა, რომ კიდევ უფრო
ძლიერად შემეყვარდა ჩემი ქმარი. ჩემი წარმატება სრულიად
მოულოდნელი იყო ჩვენს ნაცნობებს შორის. ყველა მხრიდან
მესმოდა საქებარი სიტყვები, მეუბნებოდნენ, რომ განსაკუთრე-
ბით მოვეწონე ბიძას, რომ დეიდა აღტაცებული იყო ჩემით. ერთი
მეტყოდა, რომ ჩემნაირი ქალი არ დადიოდა პეტერბურგში,
მეორე კი მიმტკიცებდა, საკმარისია მოისურვოთ, რომ მთელ პე-
ტერბურგში ყველაზე ცნობილი ქალი გახდებით. განსაკუთრე-
ბით მაქებდა ჩემი ქმრის ბიძაშვილი, მაღალი წრის არც ისე
ახალგაზრდა ქალი, კნეინა დ., რომელსაც რატომღაც უცებ შე-
ვუყვარდი და ქათინაურებით მავსებდა, ისე, რომ თავბრუ დამახ-
ვია. როცა პირველად მიმიწვია მეჯლისზე და ჩემს ქმარს ნებარ-
თვა სთხოვა, ქმარი მომიბრუნდა და ოდნავ შესამჩნევი ონავრუ-
ლი ღიმილით მკითხა, მინდოდა თუ არა წასვლა. მე თანხმობის
ნიშნად თავი დაუუქნიე და ვიგრძენი, როგორ გავწითლდი.

- თითქოს ბოროტმოქმედი აღიარებდეს თავის სურვილს, -
თქვა კეთილი ღიმილით.

- კი მაგრამ, შენ ხომ ამბობდი, რომ არ ღირდა მაღალ წრეში გათქვეფა, მაგიტომაც. თანაც შენც არ გიყვარს... - ვთქვი ღიმილით და მავედრებელი თვალებით შევხედე.

- თუ ძალიან გინდა, წავიდეთ.

- თუ გინდა, მართლა მოვეშვათ ამას.

- ძალიან ძალიან გინდა? - ისევ ჩამეკითხა.
არ მიპასუხია.

- მაღალი საზოგადოება ჯერ კიდევ არ ნიშნავს უბედურებას, - განაგრძო მან, - მაგრამ მაღალი საზოგადოების განუხორციელებელი სურვილები, - ეს უკვე ცუდია და ულამაზო. კარგი, წასვლა აუცილებელია და წავალთ კიდევ.

- სიმართლე გითხრა, არაფერი ისე ძალიან არ მინდოდა, როგორც ამ მეჯლისზე წასვლა.

წავედით და იქ განცდილმა სიამოვნებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მეჯლისზე კიდევ მეტად, ვიდრე სადმე სხვაგან, ვიგრძენი, რომ რაღაცის ცენტრი ვიყავი, რომლის გარშემოც ტრიალებდა ყველაფერი, ჩემთვის გაენათებინათ დარბაზი, ჩემთვის უკრავდა მუსიკა, ჩემთვის მოდიოდნენ სტუმრები, ყველა ჩემით იყო აღტაცებული. თითქოს გარშემო ყველა - დალაქი, მოახლე, მოცეკვავეები თუ მოხუცები, რომლებიც დარბაზში ჩნდებოდნენ, ამბობდნენ ან მანიშნებდნენ, რომ ვუყვარდი. ამ მეჯლისზე შექმნილი საზოგადო აზრი ჩემ შესახებ, რომელსაც ჩემი ქმრის ბიძაშვილი გადმომცემდა, ის იყო, რომ მე სხვა ქალებს არ ვგავარ, ჩემში არის რაღაც განსაკუთრებული, სოფლიდან გამოყოფილი უბრალოება, რომ ბრწყინვალე ქალი ვარ, და ეს აღიარება ისე მესიამოვნა, რომ ჩემს ქმარს გულწრფელად ვუთხარი: რა კარგი იქნება, წელს თუ კიდევ ერთ-ორ მეჯლისს დავესწრებით, რომ კარგად ვიჯერო-მეთქი გული.

ქმარი სიამოვნებით დამეთანხმა და პირველ ხანებში ხალისიანად დამყვებოდა, უხაროდა ჩემი წარმატება და ამას ისე აკეთებდა, თითქოს სამუდამოდ უარი თქვა თავის უწინდელ ნათქვამზე.

თანდათან კი, ალბათ, მოჰბებრდა, მოსწყინდა და ემძიმა ის ცხოვრება, რომელსაც ვეწეოდით, მაგრამ ამისთვის არ მეცალა! როცა მის სახეზე ხანდახან ყურადღებიან, სერიოზულ გამოხედვას შევნიშნავდი, ან შეკითხვით მოპყრობილ თვალებს, მაშინაც კი ვერ ვხვდებოდი, რა უნდოდა. მთლად ამირია გონება უცებ აბობოქრებულმა უცხო ადამიანების სიყვარულმა, სიამოვნებით, ნეტარებითა და სიახლით გაჯერებულმა ჰაერმა, პირველად რომ შევისუნთქავდი. უცებ გაქრა ის დამთრგუნველი მორალური გავლენა, რომელსაც ჩემი ქმრისგან ვგრძნობდი, ახლა მსიამოვნებდა, რომ აქ, ამ სამყაროში, არა მარტო გავუთანაბრდი და მისი თანასწორი გავხდი, არამედ მასზე მაღლაც კი დავდექი და ამის გამო კიდევ მეტად შევიყვარე. ვერ ვხვდებოდი, რას ხედავდა ცუდს იმაში, რომ მე მაღალ წრეში ვტრიალებდი. ჩემთვის სრულიად ახალი იყო სიამაყისა და თვითკმაყოფილების გრძნობა, რომელსაც მეჯლისზე შესვლისას განვიცდიდი, როცა ყველას ყურადღება ჩემკენ იყო მოპყრობილი. მას კი თითქოს რცხვენოდა საზოგადოებაში ჩემთან ერთად გამოჩენის და მალევე გაუჩინარდებოდა ხოლმე შავ ფრაკებში გამოწყობილ მამაკაცებს შორის. „მოიცადე, - ვფიქრობდი ხოლმე და თვალით დავეძებდი დარბაზის რომელიმე კუთხეში შეუმჩნეველად მიმდგარს, მოხუბული სახით, - მოიცადე, - ვფიქრობდი ჩემთვის, - აი, შინ მივალთ და შენ თვითონ მიხვდები და ნახავ ვისთვის ვცდილობდი, ვისთვის მინდოდა სილამაზე, ბრწყინვალეობა, გაიგებ, ვინ მიყვარს ყველაზე მეტად მათ შორის, ვინც ახლა

ჩემ გარშემო ტრიალებს“. მართლა გულწრფელად მეჩვენებოდა, რომ ჩემი წარმატება სწორედ მის გამო მიხაროდა, რათა საშუალება მქონოდა მისთვის შემეწირა მსხვერპლად ყველაფერი. ერთადერთი, რითაც შეიძლებოდა მავნე ყოფილიყო ჩემთვის მაღალი წრის ცხოვრება, - ვფიქრობდი ჩემთვის, - ეს იყო რომელიმე იმ მამაკაცით გატაცების საშიშროება, რომელთაც ამ წრეში ვხვდებოდი და ამის გამო ჩემი ქმრის ეჭვიანობა, მაგრამ მას იმდენად სწამდა ჩემი, ისე მენდობოდა და ისეთ გულგრილობასა და სიმშვიდეს იჩენდა ყოველივე ამისადმი და მეც იმდენად არაობად მეჩვენებოდა ყველა ახალგაზრდა კაცი მასთან შედარებით, რომ ეს ერთადერთი საფრთხეც, ჩემი აზრით, არ არსებობდა. მაგრამ მაინც მსიამოვნებდა მაღალი წრის ადამიანების ყურადღება, ჩემს თავმოყვარეობას გულზე ეფონებოდა, მაფიქრებინებდა, რომ ქმრის სიყვარული მართლაც დამსახურებული მქონდა და მისი ღირსი ვიყავი. ჩემი მისდამი დამოკიდებულება ოდნავ უფრო თავდაჯერებული და ოდნავ ბერელებიც კი ხდებოდა.

- მე დაგინახე, ძალიან გაცხოველებული რომ ელაპარაკებოდი ნ.ნ.-ს, - ვუთხარი ერთხელ, როცა მეჯლისიდან შინ ვბრუნდებოდი, თითოთ დავემუქრე და პეტერბურგში ცნობილი ერთერთი ქალბატონი დავასახელე, რომელსაც იმ საღამოს მართლა ელაპარაკებოდა. ეს შეგნებულად ვთქვი, რომ ცოტათი გამომეცოცხლებინა, რადგან განსაკუთრებულად მდუმარე და მოწყენილი იყო.

- ო, რად გინდა ასე ლაპარაკი, მაშა! - ძლივს გამოსცრა კბილებში და თითქოს ფიზიკური ტკივილისგან სახე დაემანჭა, - როგორ არ გრცხვენია, მე და შენ არ შეგვფერის ამგვარი რამეები, ეგ სხვებს დაუთმე. ამნაირმა ყალბმა ურთიერთობამ შეიძლება გააფუჭოს ჩვენი ნამდვილი გულწრფელი დამოკიდებუ-

ლება, მე კი ჯერ იმედი მაქვს, რომ ის ნამდვილი ურთიერთობები დაბრუნდება.

მე შემრცხვა და გავჩუმდი.

- დაბრუნდება, მაშა, როგორ ფიქრობ?

- ჩვენი ურთიერთობები არასოდეს არ გაფუჭებულა და არც გაფუჭდება, - ვუთხარი მე, და მაშინ მართლაც მჯეროდა იმის, რასაც ვამბობდი.

- ღმერთმა ქნას, - ჩაილაპარაკა, - ისე, მგონი, სოფელში დაბრუნების დროა.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთხელ მითხრა, სხვა დროს კი ისე ჩანდა, თითქოს მასაც ჩემსავით სიამოვნებდა ქალაქში ყოფნა. მე კი თავს მშვენივრად ვგრძნობდი, ძალიან ვმხიარულობდი, ხოლო თუ ხანდახან იწყენს კიდეც, - თავს ვიიმედებდი, - მერე რა, სამაგიეროდ მეც ხომ ვიყავი მოწყენილი სოფელში მის გამო! რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობებს, თუ ცოტათი შეიცვალა კიდეც, არა უშავს, ისინიც აღდგება, როცა ბაფხულში ტატიანა სემიონოვნასთან ერთად მარტონი დავრჩებით ჩვენს ნიკოლსკოეს სახლში.

ასე, ჩემთვის თითქმის შეუმჩნეველად გაიარა ზამთარმა. მიუხედავად ჩვენი გეგმებისა, შობის დღეებშიც პეტერბურგში ვიყავით. ხოლო როცა უკვე გასამგზავრებლად გავემზადეთ, ყველაფერი ჩავაბარეთ და ჩემი ქმარი საჩუქრების, ავეჯისა და ყვავილების ყიდვას ანდომებდა დროს, სოფელში წასაღებად, თანაც, განსაკუთრებულად ალერსიანი და მხიარული იყო, მოულოდნელად მისი ბიძაშვილი მოვიდა და შაბათამდე დარჩენა გვთხოვა, გრაფინია რ.-ს წვეულებას არ გამოვკლებოდით. თან თქვა, რომ გრაფინია რ. განსაკუთრებულად მეპატიჟებოდა მე, რადგან პეტერბურგში მყოფ პრინცს თურმე ჩემი გაცნობა

მოუსურვებია, ჯერ კიდევ გასული მეჯლისის შემდეგ და ახლა გრაფინიასთან საგანგებოდ ამისთვის აპირებდა იქ მისვლას. თურმე უთქვამს, რომ რუსეთში საუკეთესო ქალი ვარ. მთელი ქალაქი უნდა ყოფილიყო იქ და ერთი სიტყვით, კნენინა დ-ს აზრით, არავითარ კანონში არ ჩაიწერებოდა, რომ მე უცებ თავი ამეღერა და წავსულიყავი.

ჩემი ქმარი სასტუმრო ოთახის მეორე კუთხეში იდგა და ვიღაცას ელაპარაკებოდა.

- მაშ, რას იზამთ, მარი? - მომმართა ჩემი ქმრის ბიძაშვილმა.

- ზეგ სოფელში ვაპირებთ წასვლას, - გაუბედავად ვთქვი და ქმარს გადავხედე. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ის სწრაფად შეტრიალდა.

- მას მე დავარწმუნებ, რომ დარჩეთ, - თქვა ბიძაშვილმა, - და ჩვენ შაბათს მივდივართ თავბრუს დასახვევად. ასეა?

- ეს ჩვენს გეგმებს ჩაშლის, ბარგი უკვე ჩალაგებული გვაქვს, - ვუპასუხე, თუმცა უკვე დანებებისთვის ვიყავი მზად.

- დიახ, მას ერჩივნა ამ საღამოსვე წასულიყო იმ პრინცისთვის ქედის მოსახრელად, - ოთახის მეორე კუთხიდან ჩემი ქმრის ბრაზიანი, მაგრამ თავშეკავებული ხმა გაისმა. ასეთი ტონი მისგან ჯერ არასოდეს მსმენია.

- ო, ეჭვიანობს, პირველად ვხედავ! - გაიცინა ბიძაშვილმა, - პრინცისთვის კი არ ვარწმუნებ, სერგეი მიხაილიჩ, ჩვენთვის, ყველასთვის, გრაფინია რ.-მ მთხოვა მისი დარწმუნება.

- ეს მასზეა დამოკიდებული, რაც უნდა ქნას, - ცივად თქვა ჩემმა ქმარმა და ოთახიდან გავიდა.

მე ვხედავდი, რომ ჩვეულებრივზე მეტად იყო აღელვებული და მის ბიძაშვილს არაფერს შევპირებივარ. როგორც კი ის წავი-

და, მაშინვე ფეხაკრეფით შევედი ქმრის ოთახში. დაფიქრებული დააბიჯებდა ოთახში. ჩემი ხმა არ გაუგონია.

„ნიკოლსკოეში თავისი საყვარელი სახლი აქვს ახლა წარმოდგენებში, - გავიფიქრე მე, მის ჩაფიქრებულ სახეს რომ შევხედე, - დილის ყავა განათებულ სასტუმრო ოთახში, მისი მინდვრები, გლეხები, მოსასვენებელ ოთახში გატარებული საღამოები და ღამის იდუმალი ვახშმები. არა! - გადავწყვიტე ჩემთვის, - ამქვეყნად ყველა მეჯლისს და ყველა პრინცის ქათინაურებს გავცვლი მის ერთ მხიარულ კრთომაში, მის ჩუმ ალერსში“. მინდოდა მისთვისაც მეთქვა, რომ არ ვაპირებდი მეჯლისზე წასვლას და არც მქონდა ამის სურვილი, რომ უცებ ჩემკენ გამოიხედა და მოიქუფრა. ფიქრებში ჩაძირული მშვიდი სახე უცებ შეეცვალა. ისევ ის გამჭრიახობა, სიბრძნე და მფარველური სიმშვიდე გამოკრთა მის თვალებში. არ უნდოდა, რომ მე უბრალო ადამიანად მენახა. სურდა ყოველთვის ისე წარმდგარიყო ჩემ თვალწინ, როგორც კვარცხლბეკზე შემდგარი ღმერთკაცი.

- რაო, მეგობარო? - მკითხა თითქოს ზერელედ და მშვიდად შემობრუნდა ჩემკენ.

მე ხმას არ ვიღებდი. ვდარდობდი, რომ მემალებოდა, არ სურდა ისეთი მენახა, როგორიც იყო, როგორიც მე მიყვარდა.

- გინდა შაბათს მეჯლისზე წასვლა? - მკითხა მან.

- მინდოდა, - მივუგე მე, - მაგრამ შენ ეს არ მოგწონს და თანაც ბარგი უკვე ჩალაგებული გვაქვს.

არასოდეს ასე ცივად არ შემოუხედავს, არასოდეს ასე ცივად არ დამლაპარაკებია.

- სამშაბათამდე არ წავალ, ვუბრძანებ ბარგი ამოალაგონ, - თქვა მან, - ამიტომ შეგიძლია წახვიდე, თუ ასე გსურს. წადი. მე კი დავრჩები.

როგორც ყოველთვის, აღელვების დროს, ნერვიულად დაიწყო ბოლოთის ცემა ისე, რომ ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის.

- მე შენი არ მესმის, - ვთქვი მე, ერთ ადგილზე მდგომმა, საიდანაც თვალს ვაყოლებდი, - შენ ამბობ, რომ ყოველთვის ასეთი მშვიდი ხარ (არასოდეს უთქვამს ეს). ასე უცნაურად რატომ მელაპარაკები? მე მზად ვარ ეს სიამოვნება მსხვერპლად გავიღო შენ გამო, შენ კი დამცინავად მიყურებ, და ისე, როგორც ჯერ არასდროს დამლაპარაკებიხარ, მეუბნები, წადიო.

- რას ვიზამთ! შენ მსხვერპლს იღებ (მან განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი ამ სიტყვებს), მეც ვიღებ მსხვერპლს, რა შეიძლება იყოს ამაზე უკეთესი? დიდსულოვნების შეჯიბრებაა. რაღა გინდა ოჯახური ბედნიერებისთვის?

პირველად მესმოდა მისგან ასეთი დაუნდობელი, დამცინავი სიტყვები. ამ დაცინვამ სირცხვილი კი არ მომგვარა, შეურაცხმყო, დაუნდობლობასაც არ შევუშინებია, - მეც გადმომედო. ნუთუ ის, ვინც ჩვენი ურთიერთობებისთვის გამუდმებით არჩევდა ფრაგებს, მუდამ უბრალო და გულთბილი იყო, ამბობდა ახლა ამას? და რატომ? იმიტომ, რომ მართლა მინდოდა შემეჩირა მისთვის ჩემი სიამოვნება, რაშიც ცუდს ვერაფერს ვხედავდი. იქნებ იმიტომ, რომ ამ ერთი წუთის წინ თავდავიწყებით მიყვარდა და მესმოდა მისი. ჩვენი როლები შეიცვალა, ახლა ის გაურბოდა ჩვენ შორის უბრალო, პირდაპირ ლაპარაკს, მე კი ვეძებდი.

- შენ ძალიან შეიცვალე, - ვუთხარი მე და ამოვიოხრე, - რა დავაშავე? მეჯლისი აქ არაფერ შუაშია, შენ რაღაც უფრო ძველი ბოღმა გაქვს გულში. რატომ არ ხარ გულწრფელი? ადრე თავად არ გაურბოდი ამას? პირდაპირ მითხარი, რამ გაგანაწყენა? - „რაღაცას მეტყვის,“ ვფიქრობდი და თვითკმაყოფილი ვიხსენებ-

დი, რომ მთელი ზამთრის განმავლობაში არაფერი საძრახისი არ ჩამიდენია, რაშიც შეეძლო ბრალი დაედო ჩემთვის.

ოთახის შუაგულში გავედი, მას ჩემს ახლოს უნდა გაევლო, თვალს არ ვაშორებდი. „მომიახლოვდება, გადამეხვევა და ყველაფერი ამით დამთავრდება“, - გავიფიქრე უცებ და გულიც კი დამწყდა, რომ საშუალება არ მექნებოდა დამემტკიცებინა, რამდენად დამნაშავე იყო ის ჩემთან. მაგრამ ოთახის ბოლოში შეჩერდა და იქიდან შემომხედა.

- მაინც არ გესმის? - მითხრა მან.

- არა!

- მაშინ მე აგიხსნი. მეზიზღება, პირველ რიგში, მეზიზღება ის, რასაც ვგრძნობ და არ შემეძლია არ ვიგრძნო. - შეჩერდა, ალბათ თვითონვე შეაკრთო თავისმა უხეშმა ხმამ.

- მაინც რა? - ვკითხე და ძლივს შევიკავე ცრემლები.

- საზიზღრობაა, რომ პრინცმა ლამაზ ქალად მიგიჩნია და შენც ამის გამო მზად ხარ გაიქცე მასთან, ისე, რომ გავიწყდება ქმარი, საკუთარი თავი, ქალური ღირსება; არ გინდა გაიგო, რას გრძნობს ამ დროს შენი ქმარი, შენში აღარ არის ქალური ღირსება, პირიქით, შენ მიდიხარ ქმართან იმის სათქმელად, რომ მსხვერპლს სწირავ. ამით ამბობ: „ჩემთვის დიდი ბედნიერებაა მისი უდიდებულესობის წინაშე წარდგომა, მაგრამ ამ სიამოვნებას შენ გწირავო მსხვერპლად“.

რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა, მით უფრო აღაგზნებდა საკუთარი ხმა და უფრო შხამიანი,, მკაცრი და უხეში უხდებოდა. არასოდეს მსმენია მისგან ასეთი ლაპარაკი და არც ველოდი. სისხლი გამეყინა, შემემინდა, მაგრამ იმავდროულად დაუმსახურებელი სირცხვილისა და შელახული თავმოყვარეობის გრძნობა მადელვებდა და სამაგიეროს გადახდა მომინდა.

- დიდი ხანია ველოდი ამას, - ვთქვი მე, - განაგრძე, განაგრძე.

- არ ვიცი, შენ რას ელოდი, - განაგრძო მან, - მე კი შეიძლება ბოდა უარესის მოლოდინიც მქონოდა, როცა ყოველდღე გხედავდი ამ სიბინძურეში, უსაქმურობასა და სულელი საზოგადოების ფუფუნებაში. და აი, მივიღე კიდევ... მივიღე ის, რომ დღეს მრცხვენია და გული მტკივა, ისე, როგორც არასოდეს; შენი დაქალი კი თავისი ბინძური ხელებით სულში ჩამიძვრა, როცა ჩემს ეჭვიანობაზე დაიწყო ლაპარაკი. მერე ვის მიმართ ეჭვიანობაზე, იმ ადამიანის, რომელსაც არც მე ვიცნობ და არც შენ. შენ კი თითქოს განგებ არ გსურს ჩემი გაგება და მეუბნები, მსხვერპლს გწირავო. მაინც რა მსხვერპლია ასეთი? მრცხვენია, შენ მაგივრად მრცხვენია, რომ ასე დამცირებულს გხედავ!.. მსხვერპლი!.. - გაიმეორა მან.

„აი, თურმე რა ყოფილა ქმრის ძალაუფლება, - გავიფიქრე, - დაამცირო და შეურაცხყო ქალი, რომელსაც არაფერი ჩაუდენია. აი, ქმრის ძალაუფლება, მაგრამ მე არ დავმორჩილდები მას“.

- არა, მე არავითარ მსხვერპლს არ გწირავ, - ჩავილაპარაკე და ვიგრძენი, როგორ არაბუნებრივად დამებერა ნესტოები, ფერი წამივიდა, - შაბათს წავალ მეჯლისზე, აუცილებლად წავალ.

- ღმერთმა ბევრი სიამოვნება მოგცეს, კარგი დრო გაატარე, მაგრამ ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია! - იყვირა მან უკვე საბოლოოდ განრისხებულმა, - ამიერიდან ვეღარ გამაწვალე. სულელი ვიყავი, რომ... - ისევ დაიწყო, მაგრამ ტუჩები აუთრთოლდა და თავს ძალა დაატანა, რომ სათქმელი არ დაესრულებინა.

იმ წუთას მეშინოდა მისი და მძულდა კიდევ. ბევრი რამის თქმას ვაპირებდი, მინდოდა შეურაცხყოფისთვის პასუხი მომეთ-

ხოვა, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი, - პირი რომ გამე-
ლო, ავტირდებოდი და მის თვალში დავეცემოდი. უხმოდ გავედი
ოთახიდან, მაგრამ როგორც კი აღარ შემომესმა მისი ნაბიჯების
ხმა, უცებ თავზარი დამეცა. ეს რა ჩავიდინეთ? შემეშინდა, რომ
სამუდამოდ დაინგროვდა ჩვენი ოჯახი, რომელიც მთელი ჩემი
ბედნიერება იყო. უკან დაბრუნება დავაპირე: „მაგრამ იქნება
საკმარისად დამშვიდებული, რომ გამიგოს, როცა ხმაამოუღებ-
ლად გავუწვდი ხელს და სახეში შევხედავ? - გავიფიქრე მე, -
გაიგებს ჩემს სულგრძელობას? იქნებ ჩემი წუხილი თვალთმაქ-
ცობად ჩათვალოს, ან საკუთარი სიმართლის შეგნებითა და ამა-
ყი სიმშვიდით მიიღოს ჩემი მონანიება და მაპატიოს? მერე რის-
თვის, რისთვის შეურაცხმყო სწორედ იმან, ვინც ასე ძალიან მიყ-
ვარდა?“.

მე წავედი, მაგრამ მასთან კი არა, ჩემს ოთახში, სადაც დიდ-
ხანს ვიჯექი მარტო და ვტიროდი, შიშით ვიხსენებდი ყოველ სიტ-
ყვას, ჩვენ შორის თქმულს, ერთ სიტყვას მეორე ცვლიდა, ახალ
სიტყვას ვუმატებდი და ისევ შიშითა და შეურაცხყოფის გრძნო-
ბით ვფიქრობდი იმაზე, რაც ითქვა. როცა საღამოს ჩაის დასა-
ლევად გავედი და ჩვენთან სტუმრად მყოფი ს.-ს თანდასწრებით
შევხვდი ჩემს ქმარს, ვიგრძენი, რომ ამიერიდან ჩვენ შორის დი-
დი უფსკრული გაჩნდა. ს-მ მკითხა, როდის მიდიხართო. პასუხის
გაცემა ვერ მოვასწარი.

- სამშაბათს, - თქვა ჩემმა ქმარმა, - ჩვენ ხომ მეჯლისს უნდა
დავესწროთ გრაფინია რ.-სთან, ხომ წამოხვალ მეჯლისზე? - მო-
მიბრუნდა მე.

ამ უბრალოდ ნათქვამმა სიტყვებმა შემაშინა და ქმარს შიშით
შევხედე. პირდაპირ მიყურებდა სახეში, ბრაზიანი და დამცინავი
მზერით, ხმა თანაბარი და ცივი ჰქონდა.

- ჰო, - მივუგე მე.

საღამოს, როცა მარტო დავრჩით, მომიახლოვდა და ხელი გამომიწოდა:

- გთხოვ, დაივიწყე, რაც გითხარი.

ხელზე ხელი მოვკიდე, სახეზე შეყინული მთრთოლვარე დიმილით. უნდა ავქვითინებულიყავი, რომ უეცრად ისევ გამომტაცა ხელი, თითქოს შეეშინდა, ემოციური სცენა არ გათამაშებულყო ჩვენ შორის და ჩემგან მოშორებით სავარძელში ჩაჯდა. „ნუთუ ისევ მართალი ჰგონია თავი?“ - გავიფიქრე და პირზე შემეყინა ახსნა-განმარტებისთვის მომზადებული სიტყვები, რომ მეთქვა, მეჯლისზე წასვლას არ ვაპირებ-მეთქი.

- დედას უნდა მივწეროთ, რომ ჩვენი გამგზავრება გადაიდო, თორემ იღელვებს, - მითხრა მან.

- როდის ფიქრობ წასვლას?

- სამშაბათს, მეჯლისის შემდეგ.

- იმედი მაქვს, ჩემ გამო არ დაგეგმე ასე? - ვთქვი და თვალებში ჩაუხედე, მაგრამ მისი თვალები უტყვად მიყურებდნენ, მათში არაფერი იკითხებოდა, თითქოს ბინდი გადაეკრა. სახე მობერებული და უსიამოვნო მომეჩვენა.

მეჯლისზე წავედით და ჩვენ შორის თითქოს კვლავ ძველი მეგობრული დამოკიდებულება დამყარდა, მაგრამ საერთოდ აღარ ჰგავდა ადრინდელს.

მეჯლისზე ქალებს შორის ვიჯექი. როცა პრინცი მომიახლოვდა. იძულებული გავხდი, ავმდგარიყავი და გამოვლაპარაკებოდი. ადგომისას უნებურად ჩემი ქმარი მოვძებნე თვალებით. დარბაზის მოპირდაპირე კუთხეში იდგა, მიყურებდა. როგორც კი ჩემი მზერა დაიჭირა, მაშინვე შეტრიალდა. შემრცხვა, გული მეტკინა, ავადმყოფურად ავცახცახდი და მთელ სახესა და კი-

სერბე წამოვწითლდი პრინცის დაუინებული მზერის ქვეშ. იძულებული გავხდი ვმდგარიყავი და მესმინა მისთვის. ხანმოკლე საუბარი გვქონდა. ჩემ გვერდით დასაჯდომი არ აღმოჩნდა და თანაც, მან შენიშნა, რომ უხერხულად ვგრძნობდი თავს. საუბარი წარსულ მეჯლისს შეეხებოდა, თუ სად ვაპირებდი ამ ზაფხულის გატარებას და ა.შ. როცა მშორდებოდა, ჩემს ქმართან გაცნობის სურვილი გამოთქვა და დავინახე, როგორ შეხვდნენ ისინი ერთმანეთს დარბაზის ბოლოში. საუბარიც გააბეს. ჩანდა, პრინცმა ჩემზე უთხრა რაღაც, რადგან ლაპარაკის დროს შემომხედა და გაიღიმა.

ჩემი ქმარი უცებ წამოენთო, თავი დაუკრა და პირველი გაშორდა პრინცს. მეც გავწითლდი. შემრცხვა ჩემი ქმრის მაგიერ. რა შთაბეჭდილება დარჩებოდა პრინცს ჩემზე, განსაკუთრებით კი ჩემს ქმარზე? მეგონა, ყველამ შენიშნა ჩემი უხერხულობა. როცა პრინცს ველაპარაკებოდი და ალბათ არც ჩემი ქმრის უცნაური საქციელი გამორჩათ. ღმერთმა იცის, რა ახსნას მისცემდნენ ამას. იქნებ ჩემი და ჩემი ქმრის ლაპარაკის შესახებაც კი იციან? ჩემი ქმრის ბიძაშვილმა სახლამდე მიმაცილა. გზაში ჩემს ქმარზე ვლაპარაკობდით, ვერ მოვითმინე და ყველაფერი ვუამბე, რაც მოხდა ამ საბედისწერო მეჯლისის თაობაზე. მამშვიდებდა, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, ასეთი პატარა უსიამოვნებები არავითარ კვალს არ ტოვებენო, ამიხსნა თავისი აზრი ჩემს ქმარზე, ძალიან ჩაკეტილი და ამაყი გახდაო. მეც დავეთანხმე და მომეჩვენა, რომ ახლა უფრო დავმშვიდდი და უკეთაც გავუგე ჩემს ქმარს.

მაგრამ მერე, როცა მე და ის მარტონი დავრჩით, დამნაშავედ ვიგრძენი თავი მის შესახებ „ჭორაობის“ გამო და სინდისმა შემა-

წუხა, ვიგრძენი, როგორ თანდათან იზრდებოდა ნაპრალი, რომელიც ერთმანეთს გვაშორებდა.

იმ დღის შემდეგ მთლიანად შეიცვალა ჩვენი ცხოვრება და ჩვენი ურთიერთობა. მარტო დარჩენა აღარ გვიხაროდა, ზოგიერთ საკითხზე კი საერთოდ არ ვლაპარაკობდით, გვერჩინა გავჩუმებულიყავით. თუ ვინმე გვსტუმრობდა, უფრო იოლად ვსაუბრობდით, ვიდრე ერთმანეთის პირისპირ. როგორც კი საკითხი სოფელში ცხოვრებას ანდა მეჯლისს შეეხებოდა, ერთმანეთს თვალს ვეღარ ვუსწორებდით. უფსკრული თანდათან იზრდებოდა, ამას მშვენივრად ვხედავდით და მასთან მიახლოების გვეშინოდა. მე ვიცნობდი მის ამაყ და ფიცხ ხასიათს და ვცდილობდი ავყოლოდი, მის მტკივნეულ ადგილებს არ შეეხებოდი. ისიც იმაში დარწმუნებული, რომ მაღალი საზოგადოების გარეშე ცხოვრება აღარ შემეძლო, ხელს არ მიშლიდა, ჩემს უცნაურ გემოვნებას ემორჩილებოდა. ამ საკითხზე პირდაპირ ლაპარაკს გავუბრუნებდით. ერთმანეთი აღარ მიგვაჩნდა სრულყოფილ ადამიანებად, ჩვენს თავს სხვებს ვადარებდით და გულში ერთმანეთს ვკიცხავდით. გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე ცუდად გავხდი და სოფელში წასვლის ნაცვლად აგარაკზე გავემგზავრეთ, საიდანაც ჩემი ქმარი მარტო გაეშურა დედასთან. როცა სოფელში მიდიოდა, უკვე მოკეთებული ვიყავი და მასთან ერთად მგზავრობაც შემეძლო, მაგრამ თვითონ არ მოინდომა ჩემი წაყვანა, მირჩია დავრჩენილიყავი, თითქოს ჩემი ჯანმრთელობის გაუარესების საშიშროების გამო, მაგრამ კარგად ვხვდებოდი, რომ ჩემი ჯანმრთელობა კი არ იყო მიზეზი, არამედ ის, რომ ჩვენ სოფელში კარგად ვეღარ ვიცხოვრებდით. მეც დიდად არ შევწინააღმდეგებივარ და აგარაკზე დავრჩი.

მის გარეშე სიცარიელეს ვგრძნობდი, მარტოობას, მაგრამ, რომ დაბრუნდა, არც მაშინ შეცვლილა ჩემი ყოფა. ჩვენი უწინდელი ურთიერთობა სადღაც გაქრა, როცა მას ვუზიარებდი ყოველ ახალ აზრს, ახალ შთაბეჭდილებას და თუ არ ვეტყოდი, დანაშაულად მიმაჩნდა. გაქრა ისიც, როცა მისი თითოეული ქმედება და უბრალო სიტყვაც კი სრულყოფილად მიმაჩნდა. როცა ერთმანეთის ყურება გვიხაროდა და სულ უმიზნოდ გვეცინებოდა ყველაფერზე. ეს საოცარი ურთიერთობა ახლა შეუმჩნეველად გადაიქცა სხვანაირ, ცივ დამოკიდებულებად, ისე უცებ, რომ გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარი. თითოეულ ჩვენგანს თავისი საკუთარი ინტერესი გაუჩნდა, თავისი საზრუნავი და სულ არ ვცდილობდით, ეს საზრუნავი თუ ინტერესი საერთოდ გვექცია. ისიც აღარ გვაწუხებდა, რომ თითოეულ ჩვენგანს თავისი საკუთარი, მეორისთვის სავსებით უცხო სამყარო ჰქონდა შექმნილი. მივეჩვიეთ კიდევ ამ აზრს და ერთი წლის შემდეგ ადვილად ვუსწორებდით თვალს ერთმანეთს. გაქრა მისი გიჟური სიხარული, ბავშვური ქცევები, გაქრა მისი მიმტევებლობა და გულგრილობა, რომელიც ასე მაღიზიანებდა უწინ. აღარ იყო ის ღრმა მზერა, სიმორცხვეს რომ მგვრიდა და მახალისებდა. აღარ იყო ერთობლივი ლოცვა, საერთო სიხარული. იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. ის სულ საქმეებით იყო დატვირთული და აღარ ეშინოდა, აღარც ედარდებოდა ჩემი მარტო დატოვება. მე მაღალ წრეში ვტრიალებდი და ვერ ვგრძნობდი უმისობას.

უსიამოვნო სცენები და გარჩევებიც აღარ ყოფილა ჩვენ შორის. მე მის სიამოვნებაზე ვფიქრობდი, ისიც ნებისმიერ ჩემს სურვილს ასრულებდა და თითქოს გვიყვარდა ერთმანეთი.

როცა მარტონი ვრჩებოდით, რაც ძალიან იშვიათად ხდებოდა, არც სიხარულს ვგრძნობდით და არც მღელვარებას. აღარც

კი ვიზნელი და ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მართო ვიყავი და არა მის გვერდით. კარგად ვიცოდი, რომ ეს კაცი ვიღაც უცხო კი არა, ჩემი ქმარი გახლდათ, კარგი ადამიანი, რომელსაც ისევე კარგად ვიცნობდი, როგორც საკუთარ თავს. წინასწარ ვიცოდი ყველაფერი, რას გააკეთებდა, როგორ შემომხედავდა და, თუ შემთხვევით სხვაგვარად მოიქცეოდა ან სხვანაირად გამოიხედავდა, მჯეროდა, რომ უბრალოდ რაღაც შეეშალა. - არაფერს ველოდი მისგან. ერთი სიტყვით, ეს იყო ჩემი ქმარი და მეტი არაფერი. მეგონა ამაში არც იყო არაფერი უცნაური და რომ სხვაგვარი ურთიერთობა არც არსებობდა, ჩვენ შორისაც არასოდეს ყოფილა რაიმე სხვა. ხშირად, როცა მიდიოდა და მართო ვრჩებოდი, განსაკუთრებით პირველ ხანებში, თავს უბედურად ვგრძნობდი, მეშინოდა და იმასაც ცხადად ვხედავდი, რომ დიდი საყრდენი მეცლებოდა ხელიდან. შინ რომ ბრუნდებოდა, სიხარულით ვეკიდებოდი კისერზე, მაგრამ ერთ საათში ეს სიხარულიც მავიწყდებოდა და აღარაფერი მქონდა მასთან სალაპარაკო. მხოლოდ მოკრძალებული სინაზის დროს, რომელიც ხანდახან იყო ხოლმე ჩვენ შორის, ვგრძნობდი, რომ ეს ის არ იყო, რაც უნდა ყოფილიყო. ამ დროს რაღაც მიღრღნიდა გულს. მის თვლებშიც იმავეს ვკითხულობდი და მაშინ ვამჩნევდი იმ ზღვარს, რომლის იქით გადაბიჯებაც მას არ სურდა, მე კი არ შემეძლო. ეს ყველაფერი მასევედიანებდა, მაგრამ ამეებზე ფიქრის დრო არც მრჩებოდა, ახალს და ჩემ მიერ ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობელ სამყაროში ტრიალით ვირთობდი თავს, სადაც ყოველთვის მელოდა გართობა და თავდავიწყება. მაღალ საზოგადოებაში ცხოვრება, რომელმაც თავიდან დამაბნია და თავისი ბრწყინვალეებითა თავმოყვარეობა გამიმძაფრა, საბოლოოდ მთლად დამეუფლა, ჩვეულებად იქცა, ბორკილებივით დამედო

და ჩემს სულში დაიკავა მთელი ის ადგილი, რომელიც აქამდე გრძნობებს ეკავა. აღარ ვრჩებოდი მარტო საკუთარ თავთან, მე-შინოდა, რომ ჩემს მდგომარეობას ჩავუფიქრებოდი. მთელი დრო, გვიანი დილიდან დაწყებული შუალამემდე, დაკავებული იყო და მე არ მეკუთვნოდა. მაშინაც კი, როცა შინ ვიჯექი. ეს ამბავი ახლა აღარც მახარებდა და აღარც მასევდიანებდა, მეგონა, ასეც უნდა ყოფილიყო.

ასე გავიდა სამი წელი. ჩვენს ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა, თითქოს ერთ ადგილზე გავიყინეთ, არც კარგისკენ იძვროდა ცინული და არც ცუდისკენ. ჩვენს ოჯახში ამ სამ წელიწადში ორი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, თუმც არც ერთს ჩვენი ცხოვრება არ შეუცვლია. მე შვილი შემეძინა, ტატიანა სემიონოვნა კი გარდაიცვალა. დედობრივმა გრძნობამ პირველად ისე აღმაფრთოვანა და ისეთი სიხარული მომგვარა, მეგონა, ამით ახალი ცხოვრებაც დაიწყებოდა, მაგრამ ორ თვეში, როცა კვლავ დავუბრუნდი საზოგადოებას, ეს გრძნობა თანდათან გამინელდა, ჩვეულებად და მოვალეობის გრძნობად იქცა. ჩემი ქმარი კი, პირიქით, ჩვენი პირველი ვაჟის დაბადების შემდეგ, ძველებურად წყნარი და მშვიდი გახდა, შინ ჩაიკეტა და წინანდელი სინაზე და სიხარული უკვე შვილზე გადაიტანა. ხშირად, როცა მე გამოპრანჭული ბავშვის ოთახში შევდიოდი. რომ ძილის წინ პირჯვარი გადამეწერა შვილისთვის, ქმარი იქ მხვდებოდა. საყვედურიან და მკაცრ მზერას გამომაცოლებდა ხოლმე და მრცხვენოდა, ხანდახან მეშინოდა კიდევ იმის გაფიქრება, რომ ასეთი გულგრილი ვიყავი ბავშვისადმი და საკუთარ თავს ვეკითხებოდი: „ნუთუ მე სხვა ქალებზე უარესი ვარ? მაგრამ რა ვქნა? - ვფიქრობდი მე, - მიყვარს ჩემი შვილი, მაგრამ მთელ დროს მას ხომ ვერ დავუთმობ? მწყინდება მასთან. თვალთმაქცობა კი არ

შემიძლია“. დედის სიკვდილმა ძალიან იმოქმედა ჩემს ქმარზე, როგორც თვითონ ამბობდა, დაცარიელებულ ნიკოლსკოეში ცხოვრება აღარ შეეძლო. მე კი, მართალია, მეცოდებოდა ტატიანა სემიონოვნა და ჩემს ქმარსაც თანავუგრძნობდი, მაგრამ ახლა უფრო მშვიდად ვგრძნობდეთ თავს. ამ სამი წლის დიდი ნაწილი ქალაქში გავატარეთ. სოფელში მხოლოდ ერთხელ ჩავედით ორი თვით, მესამე წელს კი საზღვარგარეთ გავემგზავრეთ.

ზაფხული წყლებზე გავატარეთ.

მაშინ ოცდაერთი წლის ვიყავი. ჩვენი შეძლება, ჩემი აზრით, შესანიშნავ მდგომარეობაში იყო. ოჯახური ურთიერთობის მხრივაც იმაზე მეტი არ მინდოდა, რაც მქონდა. ყველას, ვისაც ვიცნობდი, ვუყვარდი, ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა. ჯანმრთელი ვიყავი. საუკეთესოდ მეცვა, ვიცოდი, რომ ლამაზი ვიყავი. ამინდიც შესანიშნავი იყო, საუცხოო გარემო, თავს მხიარულად ვგრძნობდი, თუმცა ისე მხიარულად არა, როგორც მაშინ, როცა ნიკოლსკოეში ვიყავი და ბედნიერება შინაგანად მქონდა, როცა ვგრძნობდი, რომ ეს ბედნიერება კანონიერად დავიმსახურე და რომ ის უსასრულო იყო. თუმცა უფრო და უფრო მეტი მსურდა... მაგრამ მაშინ სხვა იყო. თუმცა ამ ზაფხულსაც კარგად ვგრძნობდი თავს. არაფერი მინდოდა, არაფერს ველოდი, არაფრის მეშინოდა, ვგრძნობდი, რომ ცხოვრება საუსეა, სინდისი მშვიდი მქონდა. იმ ახალგაზრდებიდან, ვინც ამ ზაფხულს აქ ატარებდა, ვერც ერთს ვერ გამოვარჩევდი სხვათაგან ან თუნდაც ხანდაზმული თავადი კ.-სგან, ჩვენი ელჩისგან, რომელიც მეტრფოდა. ერთი ახალგაზრდა იყო, მეორე - მოხუცი, ერთს, ინგლისელს, თეთრი სახე ჰქონდა, მეორეს, ფრანგს - წვერი. ჩემთვის ყველა ერთი იყო, თუმცა ერთად ისინი აუცილებელიც კი იყვნენ, მხიარულ განწყობილებას მიქმნიდნენ, მართობდნენ.

მხოლოდ ერთმა იტალიელმა, მარკიზმა დ.-მ მიიპყრო ჩემი ყურადღება სხვებზე მეტად თავისი სიმამაცით. მაქებდა, მუდამ ჩემ სიახლოვეს ტრიალებდა, ჩემთან ერთად ცეკვავდა, ჯირითობდა, დადიოდა კაზინოში და ა.შ. ხოტბას მასხამდა, მეუბნებოდა, რომ მშვენიერი ქალი ვარ. რამდენჯერმე ფანჯრიდან დავინახე, ჩვენი სახლის გარშემო ტრიალებდა და არა ერთხელ გავწითლებულვარ მისი ცეცხლოვანი დაჟინებული მზერით უკუქცეული. მარკიზი ახალგაზრდა იყო, ლამაზი, ელეგანტური, რაც მთავარია, ღიმილითა და შუბლით ჩემს ქმარს ჰგავდა, თუმცა მასზე ბევრად ლამაზი იყო. მაცვებდა მათი მსგავსება, ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ ტუჩები, გამოხედვა და გრძელი ნიკაპი იმ საუცხოო სიკეთისა და სიმშვიდის განსახიერება სულაც არ ყოფილა, რითაც ჩემი ქმარი მიყვარდა. მას რაღაც უფრო სხვანაირი, უხეში, ცხოველური გამომეტყველება ჰქონდა. მეგონა, რომ თავდავიწყებით ვუყვარვარდი და ხანდახან ამაყი თვითკმაყოფილებითაც კი ვფიქრობდი მასზე. ხან თითქოს მისი დამშვიდებაც კი მინდოდა, რომ ნახევრად მეგობრულ, წყნარ დამოკიდებულებად მექცია ჩემდამი მისი გრძნობები, ის კი უტიფრად უარყოფდა ამ კეთილშობილურ მცდელობას და ისევ განაგრძობდა ჩემს უსიამოვნოდ შეცბუნებას თავისი ჯერაც უთქმელი, მაგრამ ყოველწამიერად გამოსათქმელად გამზადებული ვნებით. არ ვაღიარებდი, მაგრამ მეშინოდა ამ კაცის და ჩემდა უნებურად ხშირად ვფიქრობდი მასზე. ჩემი ქმარი იცნობდა მას და სხვა ჩვენს ნაცნობებზე უფრო მეტად, რომლებსთვისაც ის მხოლოდ და მხოლოდ თავისი ცოლის ქმარი იყო და მეტი არაფერი, მასთან უფრო ცივად და ქედმაღლურად ეჭირა თავი. სეზონის ბოლოს ავად გავხდი და ორი კვირა გარეთ არ გავსულვარ, როცა მოვკეთდი და მუსიკის მოსასმენად პირველად გამოვედი, გავიგე,

რომ ჩემი ავადმყოფობის დროს თავისი სილამაზით განთქმული ლედი ს. ჩამოსულიყო, რომელსაც დიდი ხანია ელოდნენ. ჩემ გარშემო მაშინვე შეიკრა წრე, სიხარულით შემხვდნენ, უცებ შეიკრა წრე, თუმცა კიდევ უფრო დიდი წრე შეიკრა იმ ახალ ჩამოსული ქალბატონის გარშემო. ჩემს წრეში მხოლოდ მასზე ლაპარაკობდნენ, ხოტბას ასხამდნენ. დამანახვეს და მართლაც მშვენიერი აღმოჩნდა, მაგრამ მე უსიამოდ გამაოცა მისმა თვითკმაცოფილმა სახემ. ეს ვთქვი კიდევ. იმ საღამოს ის ყველაფერი, რაც ადრე ასე მომწონდა და მიტაცებდა, ძალიან მოსაწყენი მომეჩვენა. მეორე დღეს ლედი ს.-მ ციხესიმაგრეზე გასვლა მოაწყო. მე უარი ვთქვი და თითქმის არავინ დარჩა ჩემთან. იმ დღის შემდეგ საბოლოოდ შეიცვალა ჩემთვის ყველაფერი. ყველაფერი მოსაწყენად და სულელურად მომეჩვენა. მინდოდა მეტირა, მალე დასრულებულიყო მკურნალობა, რომ რუსეთში დავბრუნებულიყავი. გულში რაღაც უსიამოვნო გრძნობა შემომეპარა, თუმცა ამაში საკუთარ თავსაც არ ვუტყდებოდი, სისუსტე მოვიმიზებე და დიდ საზოგადოებაში აღარ გავდიოდი. მხოლოდ დილაობით თუ გავიდოდი ხოლმე წყლებზე ან ლ.მ.-სთან, ერთ ნაცნობ რუს ქალთან ერთად განაპირა უბნების დასათვალიერებლად ვსეირნობდი. ჩემი ქმარი ჰაიდელბერგში იყო, იქ ელოდა ჩემი მკურნალობის კურსის დასრულებას, რომ მერე რუსეთში დავბრუნებულიყავი. ჩემთან იშვიათად ჩამოდიოდა.

ერთხელ ლედი ს.-მ მთელი საზოგადოება შემოიკრიბა და სანადიროდ წავიდნენ. მე და ლ.მ. ციხესიმაგრეზე ავედით სადილობის შემდეგ. ეტლით ნელა მივუყვებოდით დაკლაკნილ გზას, ასწლოვან წაბლებს შორის, რომლის მიღმაც შორს ჩამავალი მზის სხივებით განათებული ბადენის სანახები იშლებოდა. სერიოზულად ვლაპარაკობდით, სხვა დროს ასე სერიოზულად არ

გვილაპარაკია. კარგა ხანია ვიცნობდი ლ.მ.-ს, მაგრამ პირველად დავინახე, როგორი ჭკვიანი ქალი იყო, რომელთანაც ყველაფერზე შეიძლებოდა საუბარი. მსიამოვნებდა მასთან მეგობრობა. ვლაპარაკობდით ოჯახზე, ბავშვებზე, აქაური ცხოვრების ამაოებამზე და უცებ მოგვინდა, რომ რუსეთში, ჩვენს სოფლებში დავბრუნებულიყავით. ერთგვარი სევდა, ნოსტალგიური განცდა დაგვეუფლა. ამავე სერიოზულ განცდას აყოლილები ავედით ციხეზე. კედლები ჩრდილიანი იყო, გრილოდა, ზემოთ კი ციხის ნანგრევებს მზე დანათოდა. ვიღაცების ფეხის ხმა და ლაპარაკი შემოგვესმა; კარებიდან, როგორც ჩარჩოში, ისე მოჩანდა ბადენის წარმტაცი, მაგრამ ჩვენთვის, რუსებისთვის, ცივი სილამაზე. იქვე დავსხედით დასასვენებლად და უხმოდ მივაშტერდით ჩამავალ მზეს. უფრო მკაფიოდ გაისმა ხმები, თითქოს ჩემი გვარიც ახსენეს. მივაყურადე და უნებურად ყველა სიტყვა გავარჩიე. ნაცნობი ხმები იყო: ერთი მარკიზ დ.-ს ეკუთვნოდა, მეორე - მის მეგობარ ფრანგს; იმასაც ვიცნობდი. ჩემზე და ლედი ს.-ზე ლაპარაკობდნენ. ფრანგი ერთმანეთს გვადარებდა და ჩვენს სილამაზეს განიხილავდა. არაფერს ამბობდა შეურაცხმყოფელს, მაგრამ მისი სიტყვები რომ გავიგონე, წამოვენთე. მისი თქმით - მე უკვე ბავშვი მყავდა, ლედი კი ცხრამეტი წლის იყო. მას ჩემი ნაწინავი მოსწონდა, სამაგიეროდ ლედის უფრო გრაციოზული ტანი ჰქონდა. ლედი მაღალი წრის ქალბატონი იყო, როცა „ისე რა, ერთ-ერთი პატარა რუსი თავადის ცოლი და მეტი არაფერი, რომლებიც ხშირად ჩნდებიან იმ მხარეში“. თავისი სათქმელი იმით დაამთავრა, რომ თურმე მე კარგსაც ვაკეთებ, ლედი ს.-ს რომ არ ვეჯიბრები და რომ ბადენისთვის სამუდამოდ დავიმარხე.

- მეცოდება.

- ასე იქნება, თუ თქვენთან არ ეცდება ნუგეშისცემას, - დაამატა ფრანგმა მხიარული და დაუნდობელი სიცილით.

- რომ წავიდეს, მეც უკან გავყვები, - გაისმა ხმა იტალიური აქცენტით.

- ბედნიერი მოკვდავი ბრძანდები, რომელსაც კიდევ შეუძლია სიყვარული! - გაიცინა ფრანგმა.

- სიყვარული! - გაისმა ისევ ის უხეში ხმა, - არ შემძლია არ მიყვარდეს! უსიყვარულოდ ცხოვრება არ არსებობს. ცხოვრებისგან რომანი უნდა შექმნა. აი ერთადერთი, რაც კარგია ამ ქვეყნად. ჩემი რომანი არასოდეს შეჩერებულა შუა გზაზე, ამჯერადაც ბოლომდე მივიყვან.

- ბონნე ცჰანცე, მონ ამი!1 - ჩაილაპარაკა ფრანგმა.

შემდეგი სიტყვები აღარ გამიგონია, კუთხეში შეუხვიეს და მათი ნაბიჯების ხმა მერე სხვა მხრიდან მოისმა. კიბეზე ჩამოდიოდნენ, რამდენიმე წუთის შემდეგ მეორე კარიდან გამოჩნდნენ, ძალიან გაოცდნენ, იქ რომ დაგვიანახეს. მარკიზი დ. მომიახლოვდა და საშინლად შემზარა, როცა ციხიდან გამოსვლისას ხელი გამომიწოდა. მაგრამ უარის თქმა ვერ შევძელი და ჩვენ ლ.მ-ს მივყევით უკან, რომელიც მარკიზის მეგობართან ერთად მიდიოდა.

ფრანგის სიტყვებმა შეურაცხმყვეს, თუმცა გუნებაში ვგრძნობდი, რომ მან მხოლოდ ხმამაღლა თქვა ის, რასაც მე ვფიქრობდი. მარკიზის სიტყვებმა კი გამაოცა, აღმაშფოთა უხეშობით. იმაზე ფიქრი არ მასვენებდა, რომ მისი სიტყვები გავიგონე და ის მაინც ასე თამამად მოაბიჯებდა ჩემ გვერდით, მეზობლებოდა მისი სიახლოვე, სახეზე არ ვუყურებდი, არ ვპასუხობდი და ვცდილობდი ხელიც ისე დამეჭირა, რომ მისი სიტყვები არ გამეგონა. ჩქარი ნაბიჯით მივდიოდი ლ.მ.-სა და ფრანგის უკან. მარკიზი რაღაცას ამბობდა ბუნების სიმშვენიერებაზე. იმაზე, რა

ბედნიერი იყო, რომ ასე მოულოდნელად შემხვდა, კიდევ ამბობდა რაღაცას, მაგრამ აღარ ვუსმენდი. ამ დროს ქმარზე ვფიქრობდი, შვილებზე, რუსეთზე. რაღაცის მრცხვენოდა, რაღაცა მინდოდა, რაღაცა მენანებოდა და ვჩქარობდი, მალე მინდოდა მივსულიყავი ჩემს ცარიელ ოთახში Hotel de Bade-ში, რომ იქ სივრცეში მეფიქრა, გამეაზრებინა ყველაფერი, რაც წუთის წინ მოხდა, რაც ჩემს სულში წარმოიშვა. მაგრამ ლ.მ. ნელა მიდიოდა, ეტლამდე ჯერ კიდევ შორი იყო და ჩემი კავალერი, როგორც მე მომეჩვენა, განგებ ანელებდა ნაბიჯს, ჩემს შენელებასაც ცდილობდა. „შეუძლებელია“, - გავიფიქრე და დამაჯერებლად ავუჩქარე ნაბიჯს, მაგრამ ის აშკარად მაჩერებდა და ჩემი ხელიც კი მიიკრა გულზე. ლ.მ.-მ კუთხეში შეუხვია და ჩვენ სრულიად მარტონი დავრჩით. შემეშინდა.

- უკაცრავად, - ვთქვი და ხელის გამორთმევა დავაპირე, მაგრამ კაბის სახელოს არშია მის ღილს გამოედო და მთელი ტანით გადმოიხარა ჩემკენ, არშიის შესხნას შეუდგა. უხელთათმანო თითებით ჩემს ხელს შეეხო. რაღაც აქამდე უცნობი გრძნობა დამეუფლა, შიშისა თუ სიამოვნების ჟრუანტელმა დამიარა სხეულში. მივხედე, რომ მზერით გამომეხატა მთელი ის გიზღი, რასაც მის მიმართ ვგრძნობდი, მაგრამ ამის ნაცვლად ჩემმა თვალებმა შიში და მღელვარება გამოხატეს. მისი ცეცხლოვანი, სველი თვალები, ზედ ჩემს სახესთან მობჯენილი, ვნებით შემომცქეროდა ყელზე, მკერდზე, მისი ორივე ხელი შეეხო ჩემს მკლავს. მისი ღია ტუჩები რაღაცას ჩურჩულებდნენ, ამბობდნენ, რომ მას ვუყვარვარ, ყველაფერი ვარ მისთვის, და ეს ტუჩები სულ უფრო მიახლოვდებოდა, მისი ხელები უფრო მაგრად მიჭერდნენ და მწვავდნენ. ძარღვებში ცეცხლმა დამიარა, თვალები დამებინდა, ავცახცახდი და სიტყვები, რომლებითაც მის შეჩერებას ვცდი-

ლობდი, პირზე შემაშრა. ამ დროს მისი კოცნა ვიგრძენი ლოყაზე, სხეული დამიმძიმდა, გამაჟრჟოლა, შემცბარი გავჩერდი და ვუყურებდი. არც ლაპარაკის თავი მქონდა, არც მოძრაობის, შიშით ველოდი რაღაცას და რაღაც მწადდა. ეს ყველაფერი ერთ წამს გაგრძელდა, მაგრამ ეს ერთი წამი აუტანელი იყო! ამ ერთ წამში მთლიანად დავინახე, ამოვიცანი მისი სახე: ჩალის ქუდის ქვეშ მისი გამოჩრილი დამრეცი დაბალი შუბლი, ჩემი ქმრის შუბლს რომ ვამსგავსებდი, ეს წითელი სწორი ცხვირი დაბერილი ნესტოებით, გრძელი შეღებილი უღვაში და წვერი, სუფთად გაპარსული ლოყები, გარუჯული კისერი. ვერ ვიტანდი, მეშინოდა მისი, ამ სრულიად უცხო ადამიანის. მაგრამ იმ წუთს ამ ჩემთვის საძულველი კაცის ვნება და მღელვარება ისეთი გადამდები აღმოჩნდა, ისე მომინდა, დავყოლოდი მის ნებას, დავეკოცნე უხეში ლამაზი ტუჩებით, მომხვეოდა წვრილად დაძარღვული, ბეჭდებით დახუნძლული თეთრი თითებით. მომინდა ჩავჭიდებოდი და ჩემს წინ მოულოდნელად გადაშლილ აკრძალული ტკობის უფსკრულში გადავჩეხილიყავი.

„მე ხომ ასე უბედური ვარ, - ვფიქრობდი, - დაე კიდევ უფრო მეტი უბედურება დამატყდეს თავს“.

ცალი ხალით მომეხვია და ჩემს სახესთან დაიხარა. „დაე, დაე კიდევ და კიდევ დაგროვდეს ცოდვა და სირცხვილი ჩემს თავზე“.

- Je vous aime, - ჩაიჩურჩულა ხმით, რომელიც ძალიან ჰგავდა ჩემი ქმრის ხმას. ჩემი ქმარი და ჩემი შვილი გამახსენდა, ასე დიდი ხნის წინ ჩემი საყვარელი არსებები, რომლებთანაც ყველაფერი დასრულდა. მაგრამ ამ დროს შესახვევიდან ლ.მ.-ს ხმა გაისმა. მეძახდა. გამოვფხიზლდი, მარკიზს ხელი გამოვტაცე და თითქმის სირბილით გავიარე დარჩენილი გზა. ეტლში ჩავსხედით. მხოლოდ ახლა შევხედე მარკიზს. ქუდი მოიხადა და რაღაც

მითხრა ღიმილით. მისთვის გაუგებარი დარჩა ის ენით აუწერელი ზიზღი, რომელიც იმ წუთას ვიგრძენი მისადმი.

ჩემი ცხოვრება ისეთი უბადრუკი მომეჩვენა, მომავალი - სრულიად უიმედო, წარსული კი შავ ფერებში წარმომიდგა. ლ.მ. მელაპარაკებოდა, მაგრამ მისი სიტყვები არ მესმოდა, მეგონა, სიბრალულის გამო მესაუბრებოდა და ამით ზიზღს ფარავდა, რომელსაც მე ვიწვევდი მასში. ყოველ მის სიტყვაში, ყოველ გამოხედვაში - დამამცირებელ შებრალებას, ზიზღს ვგრძნობდი. ის კოცნა სამარცხვინოდ მიწვავდა ლოყას და ქმარსა და შვილზე ფიქრი აუტანელი ხდებოდა. ჩემს ოთახში განმარტოებულს, იმედი მქონდა, რომ რამეს მოვიფიქრებდი, მაგრამ მართლობამ უფრო შემაშინა. ბოლომდე არ დამიღვვია ჩაი, რომელიც შემომიტანეს, და თვითონაც არ ვიცი, რატომ, უჩვეულო სიჩქარით დავიწყე საღამოს მატარებლისთვის მზადება - ჰაიდელბერგისკენ, ჩემს ქმართან.

როცა მსახურთან ერთად ცარიელ ვაგონში ჩავჯექი და მატარებელი დაიძრა, ფანჯარაში შემოჭრილმა ნიავმა სახე გამიგრილა, გონს მოვედი, უფრო ნათლად წარმოვიდგინე ჩემი წარსული, აწმყო, განვლილი დრო პეტერბურგში გამგზავრებიდან დღემდე და სინდისის ქენჯნა ვიგრძენი. პირველად დამიდგა თვალწინ სოფელი, იქ გატარებული პირველი დღეები, ჩვენი გეგმები და პირველად იყო, რომ კითხვა დამებადა: რით გავახარე ამ დროის განმავლობაში ჩემი ქმარი. თავი დამნაშავედ ვიგრძენი. „მაგრამ რატომ არ გამაჩერა, რატომ ფარისევლობდა, რატომ გაურბოდა ახსნა-განმარტებას, რატომ შეურაცხმყო, - ვეკითხებოდი საკუთარ თავს, - რატომ არ გამოიყენა თავისი სიყვარულის ძალა ჩემზე, თუ არ ვუყვარდი?“ მაგრამ როგორი დამნაშავეც უნდა ყოფილიყო, უცხო მამაკაცის კოცნა აი აქ, ჩემს

ლოცაზე იყო აღბეჭდილი და მე ვგრძნობდი მას. რაც უფრო ვუ-
ახლოვდებოდი ჰაიდელბერგს, მით უფრო ნათლად ვხედავდი
ჩემი ქმრის სახეს და მით მეტად მეშინოდა მასთან შეხვედრის.
„ყველაფერს, ყველაფერს ვეტყვი მას, ტირილით, სინანულის
ცრემლებით, - ვფიქრობდი მე, - და ის მაპატიებს“. მაგრამ თვი-
თონაც არ ვიცოდი, რა იყო ის „ყველაფერი“ და არც იმის მჯერო-
და, რომ მაპატიებდა.

მაგრამ როგორც კი ჩემი ქმრის ოთახში შევედი და მისი მშვი-
დი, მაგრამ გაოცებული სახე დავინახე, მაშინვე მივხვდი, რომ
სათქმელი არაფერი მქონდა, არც რაიმეს გამხელა მინდოდა და
არც პატიების თხოვნა. გამოუთქმელი სევდა და სინანული ჩემ-
თანვე უნდა დარჩენილიყო.

- ეს საიდან მოგაფიქრდა? - მითხრა მან, - მე ხვალ ვაპირებდი
შენთან ჩამოსვლას, - მაგრამ, როცა მომიახლოვდა და სახეზე
შემხედა, თითქოს შეეშინდა, - რა იყო, რა დაგემართა?

- არაფერი, - მივუგე, ძლივს ვიკავებდი ცრემლებს, - სულ ჩა-
მოვედი, თუნდაც ხვალ წავიდეთ შინ, რუსეთში.

ძალიან დიდხანს, მდუმარედ და ყურადღებით მიყურა.

- მაინც მიაბე, რა მოხდა, რა დაგემართა, - თქვა ბოლოს.

უნებლიეთ წამოვწითლდი და თვალები დავხარე, თვალებში
მრისხანება და შეურაცხყოფის განცდა გამოუკრთა. იმ აზრმა,
რომელიც შეიძლებოდა ჩემ მიმართ გასჩენოდა, შემაშინა.
თვალთმაქცურად, რომელსაც საკუთარი თავისგან არ ველოდი,
ვთქვი:

- არაფერი არ მომხდარა, უბრალოდ მომწყინდა მარტო ყოფ-
ნა, ბევრი ვიფიქრე ჩვენს ცხოვრებაზე, შენზე, რამდენი ხანია,
დამნაშავე ვარ შენ წინაშე, რატომ დამყვები იქ, სადაც შენ სუ-
ლაც არ გინდა? რამდენი ხანია, დამნაშავე ვარ შენს წინაშე, - გა-

ვიმეორე და ისევ ცრემლები მომერია. - წავიდეთ სოფელში, სამუდამოდ.

- ო, ჩემო მეგობარო, ამ მგრძნობიარე სცენისგან დამიხსენი, - თქვა ცივად, - სოფელში წასვლა რომ გადაგიწყვეტია, ძალიან კარგია, რადგან ფულიც შემოგვაკლდა, მაგრამ სამუდამოდ რომ აპირებ, ეგ ოცნებებია, შენ იქ ვერ გაძლებ. ჩაი რომ დალიო, ალბათ აჯობებს. - დაასკვნა და წამოდგა, რომ განკარგულება გაეცა.

მე ნათლად დამიდგა თვალწინ ყველაფერი ის, რაც შეიძლება ბოდა მას ჩემზე ეფიქრა და შეურაცხყოფილი დავრჩი იმ საშინელი აზრით, რომელსაც მას მივაწერდი, როცა მისი მერყევი, თითქოს დარცხვენილი მზერა დავიჭირე. არა! მას არ უნდა და არც შეუძლია, რომ გამიგოს! ვთქვი. რომ ბავშვის სანახავად გავიდოდი და გავერიდე. მინდოდა მარტო დავრჩენილიყავი და მეტირა, მეტირა, მეტირა...

დიდი ხნის გაუმთბარი, ცარიელი ნიკოლსკოეს სახლი ისევ გამოცოცხლდა, თუმცა არ გაცოცხლებულა ის, რაც იქ უწინ ცოცხლობდა. დედილო აღარ იყო და ჩვენ მარტონი დავრჩით ერთმანეთის პირისპირ. მაგრამ ახლა მარტობა არა მხოლოდ არ გვჭირდებოდა, პირიქით, გვიმძიმდა კიდევ. ზამთარმა უფრო ცუდად ჩაიარა ჩემთვის, რადგან სულ ავად ვიყავი, მხოლოდ მეორე ვაჟის შეძენის შემდეგ მოვკეთდი ცოტათი. ჩემი და ჩემი ქმრის ურთიერთობა კვლავ ისევე ცივ-კეთილმეგობრული დარჩა, როგორც ქალაქში ცხოვრებისას, მაგრამ სოფელში თითოეული ფიცარი, თითოეული კედელი, სავარძელი ჩემს ქმარს მახსენებდა. მახსენდებოდა, რა იყო ის ჩემთვის და რა დავკარგე. თითქოს უპატიებელი წყენა იყო ჩვენ შორის, თითქოს მსჯიდა რაღაცის გამო და თან ისე იქცეოდა, თითქოს თვითონაც ვერ ამჩნევდა ამას. პატიების თხოვნის მიზგზი არ მქონდა, საპატიებელი არაფერი იყო: მხოლოდ იმით მსჯიდა, რომ მთლიანად არ მეკუთვნოდა, გულს არ მიშლიდა ისე, როგორც წინათ, თუმცა ახლა ყველას ასე ექცეოდა, თითქოს აღარც ჰქონდა გული. ხან ისიც მომდიოდა აზრად, რომ თვალთმაქცობდა, რათა დავეტანჯე, თორემ მასში ჯერ კიდევ ცოცხლობდა უწინდელი გრძნობა და ამაოდ ვცდილობდი მის გამოწვევას. ის გულახდილ საუბარს გაუბობდა, თითქოს ჩემს ფარისევლობაში ეპარებოდა ეჭვი, ისე ეშინოდა გრძნობების გამომჟღავნების, როგორც რაღაც სასაცილოსი. მისი გამოხედვა და ტონი მეტყველებდნენ: ვიცი, ყველაფერი ვიცი, არაფერია სათქმელი, ვიცი, რის თქმაც გინდა და ისიც ვიცი, რომ ერთს იტყვი და მეორეს გააკეთებ. თავდაპირვე-

ლად მისი ასეთი დამოკიდებულება შეურაცხმყოფდა, მაგრამ თანდათან შევეჩვიე იმ აზრს, რომ ეს გულდახურულობა კი არ იყო, არამედ გულწრფელობის მოთხოვნილების არარსებობა. ახლა ენა არ მომიტრიალდებოდა იმის სათქმელად, რომ მიყვარდა, მინდოდა მასთან ერთად მელოცა ან მეხმო, რომ ჩემი დაკვირვების მოესმინა. ჩვენ შორის ზრდილობის კარგად ცნობილი წესები ჩამოყალიბდა. ცალ-ცალკე ვცხოვრობდით - ის თავის საქმეებში იყო ჩაფლული, რომლებშიც ჩემი მონაწილეობა არც იყო საჭირო და აღარც სურვილი მქონია. მე ჩემი უსაქმური გართობით ვცხოვრობდი და ეს მას არც შეურაცხყოფდა და არც აღელვებდა, როგორც უწინ. ბავშვები ჯერ კიდევ ძალიან პატარები იყვნენ და არ შეეძლოთ ჩვენი გაერთიანება.

მაგრამ გაზაფხულიც მოვიდა. კატია და სონია ზაფხულის გასატარებლად სოფელში ჩამოვიდნენ. ნიკოლსკოეს სახლის გადაკეთება დავიწყეთ და პოკროვსკოეში გადავედით. ისევ ის ძველი სახლი იყო, თავისი აივნით, გასაშლელი მაგიდებითა და ფორტეპიანოებით დიდ ნათელ დარბაზებში, ჩემი დიდი ოთახით, თეთრი ფარდებია რომ იყო ჩამოფარებული და ჩემი, თითქოს უკვე მივიწყებული, უმანკო ოცნებებით. ამ ოთახში ორი საწოლი იდგა - ერთი ჩემი ყოფილი საწოლი, რომელშიც ღამდამობით ჩემს ფუმფულა კოკოშას პირჯვარს გადავწერდი და მეორე, პატარა საწოლი, რომლიდანაც სახვევებში გახვეული ვანიას პაწია სახე იჭყიტებოდა. მათ რომ პირჯვარს გადავსახავდი, შუა ოთახში დავდგებოდი და უცებ ყველა კუთხიდან, ყველა კედლიდან თუ ფარდებიდან წამოიშლებოდნენ ხოლმე ძველი, მივიწყებული ახალგაზრდული ხილვები, მესმოდა სიყმაწვილისდროინდელი ნაცნობი სიმღერების ხმა. ნეტავ სად გაქრნენ ისინი, სად არის ეს საყვარელი, ტკბილი სიმღერები? ყველაფერი

ამისრულდა, რისი ოცნებაც კი გავბედე და ერთმანეთში არეული ის ბუნდოვანი ოცნებები სინამდვილედ იქცა. სინამდვილე კი გადაიქცა მძიმე და უსიხარულო ცხოვრებად. არადა, აქ ყველაფერი ძველებურად იყო, ისევ ის ბალი ჩანდა ფანჯრებიდან, იგივე მოედანი, იგივე ბილიკი, აი, იმ კიდესთან მდგარი სკამი. იგივე ბულბულის გალობა, ტბიდან მომავალი, იგივე აყვავებული იასამნები და საესე მთვარე ჩვენს სახლთან. არადა, ყველაფერი ისე საშინლად და შეუძლებლად შეიცვალა! ისეთი ცივია ყველაფერი ის, რაც შეიძლებოდა ასე ძვირფასი და ახლობელი ყოფილიყო!..

ისევე, როგორც ძველებურად. მე და კატია ორნი ვსხედვართ სასტუმრო ოთახში და ჩუმად ვლაპარაკობთ, მასზე. მაგრამ კატია უკვე დანაოჭებულია, სიყვითლე შეეპარა, თვალები აღარ უბრწყინავს სიხარულითა და იმედით, უკვე მწუხარებასა და სინანულს გამოხატავს. ძველებურად აღარ აღგვაფრთოვანებს ჩემი ქმარი, ვჭორავთ მას. ძველებურად აღარ გვაოცებს, რატომ და რისთვის ვართ ასე ბედნიერები. რატომ არ გვინდა უწინდებურად, რომ მთელ ქვეყანას გავანდოთ ჩვენი ფიქრები. შეთქმულებივით ვჩურჩულებთ და მეთასეოდ ვეკითხებით ერთმანეთს, რატომ შეიცვალა ყველაფერი ასე სამწუხაროდ? ჩემი ქმარი კი სულ არ შეცვლილა, ისევ ისეთია, მხოლოდ წარბებშუა გაუღრმავდა ნაოჭი, საფეთქლებთანაც ჭალარა მოემატა. მაგრამ მისი უწინდელი დაკვირვებული მზერა ახლა ჩემთვის სულ ღრუბელგადაფარებულია. არც მე შევცვლილვარ, მაგრამ ის სიყვარულის გრძნობა აღარ მაქვს, არც სიყვარულის სურვილი შემრჩენია, არც შრომის მოთხოვნილება და არც თვითკმაყოფილება. და ისეთი შორეული და შეუძლებელი მეჩვენება უწინდელი რელიგიური აღტაცებები და მისადმი სიყვარული, უწინდელი ცხოვ-

რების სისავსე. ახლა ველარ გავიგებდი იმას, რაც ადრე ასე ნათელი და სამართლიანი მეჩვენებოდა: სხვისთვის ცხოვრების ბედნიერება. რატომ სხვისთვის? როცა საკუთარი თავისთვისაც აღარ მინდა ცხოვრება? მუსიკას სულ მივანებე თავი იმ დროიდან, როცა პეტერბურგში გადავსახლდით, მაგრამ ახლა ძველმა ფორტეპიანომ და ძველმა ნოტებმა ისევ მიმიზიდა.

ერთ დღეს თავი ცუდად ვიგრძენი და შინ მარტო დავრჩი: კატია და სონია ჩემს ქმართან ერთად ნიკოლსკოეში ახალი მშენებლობის სანახავად წავიდნენ. ჩაის მაგიდა გაშლილი იყო, ქვემოთ ჩავედი და მათ მოლოდინში ფორტეპიანოს მივუჯექი. სონატა quasi una fantasia გადავშალე, და დაკვრა დავიწყე. გარშემო სიჩუმე იდგა, არავინ ჩანდა. ბალისკენ გამავალი ფანჯრები გამოღებული იყო. ნაცნობი, სევდიანად საზეიმო ხმები იფანტებოდა ოთახში. სონატის პირველი ნაწილი რომ დავამთავრე, სრულიად გაუცნობიერებლად, როგორც ადრე მჩვეოდა, იმ კუთხისკენ გავიხედე, სადაც ის იჯდა ხოლმე მაშინ, როცა მე მისთვის ვუკრავდი. ახლა ის იქ აღარ იყო. სკამი, რომლისთვისაც დიდი ხანია ხელი არავის უხლია, კუთხეში თავის ძველებურად გილბე იდგა. ფანჯრიდან კი იასამნის ბუჩქი მოჩანდა. ჩამავალი მზის სხივებში ჩაძირული. საღამოს სიგრილე ღია ფანჯრებში იღვრებოდა. ფორტეპიანოს იდაყვებით დავეყრდენი, ორივე ხელი სახეზე ავიფარე და ჩავფიქრდი. დიდხანს ვიჯექი ასე, ტკივილით ვიხსენებდი წარსულს, მოუბრუნებელს და უსუსურად ვფიქრობდი მომავალზე, მაგრამ წინ თითქოს აღარაფერი იყო, არაფერი მინდოდა, არაფერს ველოდი. „ნუთუ უკვე გავლიე ჩემი ცხოვრება!“ - გავიფიქრე და შიშით ავწიე თავი. ყველაფერი რომ დამევიწყებინა და არ მეფიქრა, ისევ დაკვრა დავიწყე, იმავე ანდანტე-ს ვუკრავდი. „ღმერთო ჩემო, - ვფიქრობდი, - მომიტევე,

თუ დამნაშავე ვარ, თუ არა და, დამიბრუნე ყველაფერი კარგი, რაც ჩემს სულში ყოფილა, ანდა მასწავლე, როგორ მოვიქცე? როგორ გავაგრძელო ცხოვრება?". ბალახზე ბორბლების ხმა გაისმა და მალე მას ნაცნობი, ფრთხილი ნაბიჯების ხმაც მოჰყვა, ჯერ შემოსასვლელში, მერე აივანზე და მალე მიჩუმდა. თუმცა ამ ნაცნობი ფეხის ხმას უწინდელი მღელვარება არ გამოუწვევია ჩემში, დაკვრა დავამთავრე და მისი ფეხის ხმა ჩემს ზურგს უკან შემომესმა, ხელზე ხელი დამადო.

- რა ყოჩალი ხარ, რომ ეს სონატა დაუკარი, - მითხრა მან.

ხმა არ ამომიღია.

- ჩაი არ დალიე?

თავი გავაქნიე უარის ნიშნად და მისკენ არ მიმიხედავს, რომ არ შეენიშნა ჩემს სახეზე შემორჩენილი მღელვარების ნიშნები.

- ისინი ახლავე მოვლენ. ცხენი აცქმუტდა და ისინი გზიდან ფეხით გადავიდნენ.

- დაველოდოთ, - ვუთხარი და აივანზე გავედი იმ იმედით, რომ ისიც გამომყვებოდა; მაგრამ მან ბავშვები მოიკითხა და მათკენ გაეშურა. მისმა სიახლოვემ, მისმა უბრალო, კეთილმა ხმამ გადამარწმუნა იმ აბრში, რომ რაღაც დავკარგე. რაღა უნდა მესურვა კიდევ? ის კეთილია, სათნო, კარგი მეუღლე. თვითონაც არ ვიცი, რა მაკლია. აივანზე გავედი და ფარდის იქით, სწორედ იმ სკამზე დავჯექი, რომელზეც ჩვენი პირველი სიყვარულის ახსნის დღეს ვიჯექი. მზე უკვე ჩადიოდა, ბინდდებოდა, გაბათხულის მუქი ღრუბელი სახლისა და ბაღის თავზე მოჩანდა. თითქმის ისეთივე იყო ყველაფერი, გარემო ჩემს ირგვლივ. მხოლოდ მე შევიცვალე...

ამაოდ ვიმშვიდებდი თავს: კიდევ ველოდი და კიდევ მწადდა რაღაც.

ის ჩამოვიდა და გვერდით დამიჯდა.

- მე მგონი, ჩვენებს დააწვიმთ, - თქვა მან.

- ჰო, - ჩავილაპარაკე და მერე ორივენი ვდუმდით დიდხანს. უქარო ღრუბელი კი სულ ურფო დაბლა ეშვებოდა. თანდათან ყველაფერი უფრო მიჩუმდა და სურნელოვანიც გახდა. უცებ წვიმის პირველი წვეთი დაეცა აივნის ტილოს ფარდას, მერე - მეორე, კიდევ ერთი ქვიან ბილიკზე ახმიანდა; თანდათან სულ უფრო მსხვილი და ბევრი წვეთიც ჩამოუშვა, ბაყაყები და ბულბულები მთლად მიჩუმდნენ, მხოლოდ წყლის ხმაური დარჩა ჰაერში, ოღონდ ახლა შორიდან მოისმოდა. აივანთან ახლოს კი რომელიღაც ჩიტი, ალბათ გამხმარ ფოთლებში დარჩენილი, ერთფეროვან ხმებს გამოსცემდა.

ის წამოდგა და წასასვლელად მოემზადა.

- საით? - შევაჩერე მე, - აქ ისე კარგია.

- ქოლგას და კალოშებს გავუგზავნი.

- არ არის საჭირო, მალე გადაიღებს.

დამეთანხმა და ერთად გავჩერდით აივნის მოაჯირთან. სველ, სრიალა მოაჯირს დავეყრდენი და წვიმაში გავყავი თავი. წვიმის წვეთები თავზე და კისერზე არათანაბრად მეცემოდა. ღრუბელი თანდათანობით გაიღია და გადაიარა. წვიმის თანაბარი ხმაური იშვიათმა წკაპაწკუპმა შეცვალა. ქვემოთ ისევ აყიყინდნენ ბაყაყები, ისევ აფართხალდნენ ბულბულები და სველი ბუჩქებიდან ერთმანეთს გადასძახეს. ჩვენ წინ ყველაფერი განათდა.

- რა კარგია, - ჩაილაპარაკა მან, მოაჯირზე შემოჯდა და სველ თმაზე გადამისვა ხელი.

ამ უბრალო აღერსმა ისე იმოქმედა, როგორც საყვედურმა, ტირილი მომინდა.

- კიდევ რა უნდა სურდეს ადამიანს? - თქვა მან, - ახლა კმაყოფილი ვარ, ისეთი კმაყოფილი, რომ სავსებით ბედნიერად მიმაჩნია თავი და სხვა არაფერი მინდა.

„ადრე ასე სულ არ ლაპარაკობდი შენს ბედნიერებაზე, ბედნიერება, რაც უნდა დიდი ყოფილიყო ის, ამბობდი, რომ კიდევ და კიდევ მეტი გინდოდა. ახლა მშვიდი და კმაყოფილი ხარ, მე კი სულზე თითქოს გამოუთქმელი სინანული და ამოსანთხევი ცრემლები მაქვს“, - ვფიქრობდი გულში.

- მეც კარგად ვარ, - ვთქვი. - მაგრამ სწორედ იმიტომ ვარ მოწყენილი, რომ ჩემ გარშემო ყველაფერი ასე კარგია. რაღაც მაკლია, რაღაც მინდა. აქ კი ისეთი სილამაზე და სიწყნარეა. ნუთუ შენ არ გიპყრობს სევდა, როცა ბუნებით ტკბები. თითქოს რაღაც შეუძლებელი გინდა, რაღაცას ნანობ!

მან ხელი აიღო და ცოტა ხანს გაჩუმდა:

- მართალი ხარ, ადრე მეც ასე მემართებოდა, განსაკუთრებით გაზაფხულზე - ისე თქვა, თითქოს რაღაცას იხსენებდა, - მეც ვათენებდი ღამეებს, სურვილებსა და იმედებში, კარგი იყო ის ღამეები!.. მაგრამ მაშინ ყველაფერი წინ მქონდა, ახლა კი ყველაფერი უკან დარჩა, ახლა ისიც მყოფნის, რაც მაქვს. და კარგად ვარ, - დაასკვნა მან ისე თავდაჯერებულად და ზერელედ, რომ მართალია, მისმა ნათქვამმა გული მატკინა, მაინც დავიჯერე, რომ მართალს ამბობდა.

- და აღარაფერი გინდა?

- შეუძლებელი არაფერი, - გამოიცნო მან ჩემი ფიქრები, - აი, შენ თმას ისველებ, - მითხრა და ბავშვივით გადამისვა თავზე ხელი, - ფოთლების, ბალახების გშურს, რადგან მათ წვიმა ასველებს. სიამოვნებით იქნებოდი ფოთოლი, ბალახი, წვიმა. მე კი

მათი ცქერით ვტკბები, ისე როგორც ყველაფრით ამ ქვეყნად, რაც კარგია, ახალგაზრდაა და ბედნიერი.

- და წარსულზე საერთოდ არ გწყდება გული? - განვაგრძობდი მე და ვიგრძენი, რომ თანდათან სულ უფრო მიმძიმდებოდა გული.

ჩაფიქრდა, ცოტა ხნით გაჩუმდა. ვგრძნობდი, რომ სურდა გულწრფელი პასუხი გაეცა.

- არა! - მითხრა მოკლედ.

- არ ამბობ მართაღს, არ ამბობ მართაღს! - წამოვიძახე და მისკენ შევტრიალდი, პირდაპირ თვალებში ჩავხედე, - მაშ არაფერზე გტკივა გული წარსულში?

- არა, - გაიმეორა წყნარად, - მე წარსულის მადლიერი ვარ, გულისტკივილი და სინანული კი არ მაქვს.

- ნუთუ არ გინდა წარსულის დაბრუნება? - კიდევ ვუთხარი.

შეტრიალდა და ბაღს გახედა.

- არ მინდა, ისევე როგორც არ მინდა ის, რომ ფრთები გამო-მესხას, - მითხრა, - არ შეიძლება!

- არც წარსულის გამოსწორება გინდა? არ საყვედურობ საკუთარ თავს ან მე?

- არასოდეს! ყველაფერი რაც მოხდა, უკეთესობისკენ იყო!

- მომისმინე! - ვთქვი და ხელზე ხელი წავავლე, მინდოდა, რომ ჩემთვის მოეხედა, - მომისმინე, რატომ არც ერთხელ არ გამაფრთხილე, რომ ისე მეცხოვრა, როგორც შენ გსურდა, რატომ მაძლევდი თავისუფლებას, რომლის გამოყენებაც არ ვიცოდი, რატომ არ მასწავლიდი? შენ რომ მოგენდომებინა, სულ სხვაგვარად წარმართავდი ჩემს ცხოვრებას და არაფერი, არაფერი არ მოხდებოდა, - ხმაში სულ უფრო მეტად მიკრთებოდა ცივი სინანული და საყვედური და არა კვლავინდებური სიყვარული.

- რა არ მოხდებოდა? - თქვა გაოცებულმა და მომიტრიალდა, - ისედაც არაფერია. ყველაფერი კარგია, ძალიან კარგი, - დასძინა ღიმილით.

„ნუთუ მას არ ესმის, ან კიდევ უარესი - არ უნდა, რომ გაიგოს?“ - გავიფიქრე და ცრემლი მომადგა თვალზე.

- არ მოხდებოდა ის, რომ სრულიად უდანაშაულო არ დავისჯებოდი შენი გულგრილობითა და ზიზღითაც კი, - წამოვიძახე უცებ, - არ იქნებოდა ის, რომ სრულიად უდანაშაულოს არ წამართმევდი ყველაფერს, რაც ასე მეძვირფასებოდა.

- რას ამბობ, ჩემო საყვარელო! - ისე თქვა, თითქოს ვერ ხვდებოდა, რას ვეუბნებოდი.

- არა, ბოლომდე მათქმევინე... შენ მე წამართვი შენი ნდობა, სიყვარული, პატივისცემაც კი. იმიტომ, რომ ვერ დავიჯერებ, თითქოს ისევ გიყვარვარ მას მერე, რაც ადრე მოხდა. არა, მე ერთბაშად უნდა ვთქვა ყველაფერი, რაც ასე დიდი ხანია მტანჯავს, - შევაწყვეტინე ისევ, - ნუთუ დავაშავე, რომ ცხოვრებას არ ვიცნობდი? შენ კი მართლ მიმატოვე მის საძიებლად. ნუთუ დამნაშავე ვარ იმაში, რომ ახლა, როცა გავიგე რა არის საჭირო, როცა უკვე ერთი წელი მინდა შენთან დაბრუნება, შენ ხელს მკრავ, თითქოს არ გესმის ჩემი. და ყველაფერი ისეა, რომ საყვედურსაც ვერ გეტყვი, მხოლოდ მე ვარ დამნაშავე და უბედური! ჰო, შენ გინდა ისევ გადამისროლო იმ ცხოვრებაში, რომელსაც შეეძლო უბედურება მოეტანა ჩვენთვის.

- კი მაგრამ, რით გაჩვენე ეს? - გულწრფელი შიშითა და გაკვირვებით თქვა მან.

- განა შენ არ ამბობდი ჯერ კიდევ გუშინ, და ახლაც ამბობ, რომ აქ ვერ გავძლებ და რომ ზამთარში ისევ პეტერბურგში უნდა წავიდეთ, რომელიც მე ასე მძულს? - ვაგრძელებდი მე, - მხარში

დგომის მაგივრად, გულწრფელ ლაპარაკს გაურბიხარ, ნებისმიერ უბრალო ნაბ სიტყვასაც კი, და მერე, როცა მთლად დავეცემი, საყვედურებით ამავსებ და გაიხარებ კიდევ ჩემი დაცემით.

- მოითმინე, მოითმინე, - თქვა მან მკაცრად და ცივად, - არ არის ეს კარგი, რასაც ახლა ამბობ. ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ჩემს წინააღმდეგ ხარ განწყობილი, რომ შენ არ...

- რომ მე არ მიყვარხარ? თქვი, თქვი! - დავამთავრე მისი ფრაზა და ცრემლები წამომცვივდა. სკამზე დავჯექი და სახეზე ცხვირსახოცი ავიფარე.

„აი, თურმე როგორ გამიგო“, - ვფიქრობდი და ვცდილობდი არ მეტირა. „დამთავრდა, დამთავრდა ჩვენი ადრინდელი სიყვარული“, - შემომძახოდა რაღაც ხმა ჩემივე გულიდან. ის არ მომიახლოვდა, არ დამამშვიდა. შეურაცხყოფილი იყო იმით, რაც მე ვთქვი. მისი ხმა მშვიდი და მშრალი იყო.

- არ ვიცი, რაში მადანაშაულებ, - დაიწყო მან, - იქნებ იმაში, რომ ისე აღარ მიყვარდი, როგორც ადრე.

- გიყვარდი! - ჩავილაპარაკე ცხვირსახოცში და კიდევ მეტი მწარე ცრემლებით გავავსე.

- ეს ან დროის ბრალია ან ჩვენი. ყველა ხანაში თავისებური სიყვარულია... - ის გაჩუმდა, - გინდა სიმართლე გითხრა? რაკი გულწრფელობა მოგინდომებია. იმ წელს, როცა გაგიცანი, როგორ ვათენედი ღამეებს შენზე ფიქრში, თვითონ ვქმნიდი ჩემს სიყვარულს და ეს სიყვარული თანდათან იზრდებოდა ჩემს გულში. სწორედ ასე პეტერბურგშიც და საზღვარგარეთაც საშინელი უძილო ღამეები გავატარე, საკუთარი ხელით ვანგრევდი და ვანადგურებდი ამ სიყვარულს, რომელიც ასე მტანჯავდა. ის არ დავანგრეე ბოლოს, არამედ ის, რაც მტანჯავდა, დავმშვიდდი და ისევ მიყვარხარ, მაგრამ სხვანაირი სიყვარულით.

- შენ ამას სიყვარულს ეძახი, არადა, ეს წამებაა, - ჩავილაპარაკე მე, - რატომ დამრთე ნება, მაღალ საზოგადოებაში გავრეულიყავი, როცა ის იმდენად მავნედ მიგაჩნდა, რომ მის გამო გადამიყვარე?

- მაღალი საზოგადოება არა, ჩემო მეგობარო, - თქვა მან.

- რატომ არ გამოიყენე შენი ძალაუფლება, - განვაგრძობდი მე, - რატომ არ შემბოჭე, რატომ არ მომკალი? ახლა უკეთ ვიქნებოდი, ვიდრე ყველაფერი იმის დაკარგვას, რასაც ჩემი ბედნიერება ერქვა, კარგად ვიქნებოდი და ეს სირცხვილის განცდა არ შემაწუხებდა.

ისევ ავტირდი და ხელები ავიფარე.

ამ დროს წვიმისგან გალუმპული და გამხიარულებული კატია და სონია ხმამაღალი ლაპარაკით და სიცილით შემოვიდნენ აივანზე, მაგრამ ჩვენი დანახვისთანავე გაჩუმდნენ და გავიდნენ.

როცა ისინი გავიდნენ, დიდხანს ვდუმდით. მე გამოვიტირე კარგად ყველაფერი და ცოტა გულზე მომეშვა. მას შევხედე, იჭადა, თავი ხელებზე დაეყრდნო. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, მძიმედ ამოიოხრა და ისევ ჩარგო თავი.

მივუახლოვდი და ხელები გავუთავისუფლე, ჩაფიქრებულმა შემომხედა.

- ჰო, - წამოიწყო, თითქოს დაწყებულ საუბარს აგრძელებდა, - ჩვენ ყველას, განსაკუთრებით კი ქალებს, აუცილებლად გჭირდებათ ბობოქარი ცხოვრების გატარება, რომ მერე ისევ ცხოვრებას დაუბრუნდეთ. სხვისი დაჯერება არ შეიძლება. შენ არ გქონდა ბოლომდე განცდილი ის წარმტაცი და საყვარელი სისულელე, რომელშიც იყავი ჩართული და მე შენი ცქერით ვტკებოდი. მე საშუალებას გაძლევდი, ამ ცხოვრებით გეცხოვრა და

ვგრძნობდი, რომ უფლება არ მქონდა შემევიწროებინე, თუმცა ჩემთვის კარგა ხნის გასული იყო ეგ დრო.

- მაშ რატომ ცხოვრობდი შენც ჩემთან ერთად ამ ცხოვრებით და მაძლევდი საშუალებას, ამ სისულელეში ჩავრთულიყავი, თუ გიყვარვარ?

- იმიტომ, რომ ძალიანაც რომ გნდომოდა, ვერ დამიჯერებდი. შენ თვითონ უნდა გაგეგო და გაიგე კიდეც.

- შენ მსჯელობდი, ბევრს მსჯელობდი. სიყვარული კი ნაკლები იყო შენში.

ორივენი გავჩუმდით მცირე ხანს

- ეს სისასტიკეა, რაც შენ ახლა თქვი, მაგრამ მართალია, - თქვა და უცებ წამოდგა, აივანზე მოჰყვა ბოლთის ცემას - ჰო, ეს მართალია. დამნაშავე ვიყავი, - დასძინა მან და ჩემ პირდაპირ გაჩერდა, - ან საერთოდ არ უნდა მიმეცა საკუთარი თავისთვის შენი სიყვარულის უფლება, ან უფრო მარტივად მყვარებოდი.

- დავივიწყოთ ყვევლაფერი, - ვთქვი უსუსურად.

- არა, რაც მოხდა, იმას ველარ დააბრუნებ, ვერასდროს დააბრუნებ, - ხმა შეუმსუბუქდა ამის თქმისას.

- ყველაფერი უკვე დაბრუნდა, - ვთქვი და მხარზე ხელი დავადე. მან ჩემი ხელი მხრიდან მოიცილა და ხელში მოიქცია.

- არა, მე სიმართლეს არ ვამბობდი, როცა ვთქვი, თითქოს წარსულს არ ვნანობ. არა, ვნანობ, მივტირი კიდეც ჩვენს ძველ სიყვარულს, რომელიც აღარ არის და არც არასოდეს იქნება. ვინ არის ამაში დამნაშავე? არ ვიცი. ჩვენი სიყვარული დარჩა, მაგრამ არა ის, რაც ოდესღაც იყო, დარჩა მხოლოდ მოგონება მის შესახებ, ნატანჯი, ძალაგამოლევული, და ახლა მხოლოდ მადლიერების გრძნობა დაგვრჩა, მაგრამ...

- ასე ნუ ლაპარაკობ! - გავაწყვეტინე, - დაე ყველაფერი ისევ ისე იყოს, როგორც ადრე. ნუთუ არ შეიძლება?.. ჰო?.. - ვკითხე და თვალეში ჩავხედე, მაგრამ მისი თვალეები მშვიდი და ნათელი იყო, ისინი ჩემს თვალეებში ღრმად აღარ იცქირებოდნენ.

იმ დროსაც, როცა ვლაპარაკობდი, უკვე ვგრძნობდი, რომ შეუძლებელი იყო ის, რასაც ვთხოვდი მას და რაც მსურდა. მშვიდად, სათნოდ გამიღიმა და როგორც მომეჩვენა, ბებრულადაც.

- ჯერ კიდევ როგორი ახალგაზრდა ხარ, მე კი როგორი მოხუცი, - თქვა მან. - ჩემში აღარ არის ის, რასაც შენ ეძებ. რა საჭიროა თავის მოტყუება? - დასძინა და ისევ ისე გაიღიმა.

უხმოდ დავუდექი გვერდით და ვიგრძენი, თანდათან როგორ დამეუფლა სიმშვიდე.

- ნუ შევეცდებით ცხოვრების გამეორებას, - განაგრძო მან, - თავს ნუ მოვიტყუებთ, ხოლო თუ აღარ არის ძველი შფოთვა და მღელვარება, მადლობა ღმერთს. არაფრის ძებნა და არაფერზე ღელვა აღარ გვჭირდება. უკვე ვიპოვეთ და საკმაოდ დიდი ბედნიერებაც გვერგო. ახლა უკან უნდა დავიხიოთ და აი, ვის უნდა გავუთავისუფლოთ გზა, - თქვა და ძიძაზე მიმითითა, რომელიც ვანიასთან ერთად მოსდგომოდა აივნის კარს, - ასეა, ძვირფასო მეგობარო, - დაასკვნა ბოლოს, ჩემი თავი თავისკენ მიიზიდა და შეამბორა. ახლა საყვარელი კი არა, ძველი მეგობარი მკოცნიდა.

ბალიდან სულ უფრო და უფრო მეტად იფრქვეოდა ღამის სურნელი, სულ უფრო საზეიმო ხდებოდა ჰანგები თუ სიწყნარე, ცაზეც გახშირდა ვარსკვლავები. მას შევხედე და უცებ გული დამიმშვიდდა. თითქოს ის მტკივნეული ზნეობრივი ნერვი მომაგლიჯეს, რომელიც ხელს მიშლიდა. უცებ ნათლად და აღელვების გარეშე მივხვდი, რომ წარსული გრძნობა წავიდა, გაქრა ისე,

როგორც თვით დრო, და აღარასოდეს დაბრუნდება. მისი დაბრუნება ახლა არათუ შეუძლებელი, საშიში და შემაწუხებელიც კია. ან კი იყო ის ასეთი კარგი, მე რომ ბედნიერებით სავსე მეგონა? და ისე დიდი ხნის წინ იყო ეს ყველაფერი.

- ჩაის დალევის დროა! - თქვა და სასტუმრო ოთახისკენ გავეწიეთ. კარში ისევ შემოგვხვდა ძიძა, ვანიათი ხელში. ბავშვი გამოვართვი, შიშველი მოწითალო ფეხუკები შევუფუთნე, გულში ჩავიკარი და სულ ოდნავ შევახე ტუჩები, ისე ვაკოცე. მან თითქოს სიზმარში გაატოკა ფაფუკი თითები, დაბინდული თვალები გაახილა, თითქოს რაღაცას ეძებდა თუ იხსენებდა. მერე უცებ ჩემზე შეაჩერა მზერა, თვალები წამით აუკიაფდა, ამობურცული რბილი ტუჩებით გამიღიმა. „ჩემო, ჩემო, ჩემო“, - გავიფიქრე და ბედნიერი აღტკინებით მთელი ძალით ჩავიკარი ბავშვი, ისე, რომ შემეშინდა კიდევ, რამე არ მეტკინა. მერე კი მისი ცივი ფეხუნების კოცნას შევუდექი, მუცლის, ხელების და ოდნავ შეღინდლული პატარა თავის. ქმარი მომიახლოვდა, მე სწრაფად დავაფარე ბავშვს სახებზე ხელი და ისევ სწრაფად ავიღე.

- ივან სერგეიჩ! - ჩაილაპარაკა ჩემმა ქმარმა და ბავშვს ნიკაპზე თითი შეახო. მაგრამ მე ისევ დავაფარე ბავშვს სახებზე ხელი. ჩემ გარდა არავის ჰქონდა უფლება დიდხანს ეცქირა მისთვის. ქმარს შევხედე, ჩემს თვალებში მოცქირალი თვალები უცინოდა, და ამდენი ხნის განმავლობაში პირველად შემეძლო მსუბუქად და მხიარულად ჩამეხედა მის თვალებში.

იმ დღიდან დამთავრდა ჩემი რომანი ქმართან; ძველი გრძნობა ჩემთვის ძვირფას, უკანმოუბრუნებელ მოგონებად იქცა, ხოლო ჩემი შვილებისა და მათი მამისადმი სიყვარულის ახალმა გრძნობამ დასაბამი მისცა სხვა, ოღონდ უკვე სრულიად

სხვაგვარ ბედნიერ ცხოვრებას, რომლითაც ჯერ არ მეცხოვრა ამ
წუთამდე...
1859 წელი

ბავშვობის ძალა

- მოკალით!.. სული გააფრთხობინეთ!.. ახლავე ესროლეთ მაგ არამზადას!.. მოკალით!.. ყელი გამოსჭერით მკვლელს!.. მოკალით, მოკალით! - ყვიროდნენ ბრბოდან ქალები და კაცები.

ხალხის უშველებელი ბრბო ქუჩაში შებოჭილ კაცს მოუძღოდა. კაცი, ტანმადალი, გამართული, მტკიცე ნაბიჯებით მოაბიჯებდა, მაღლა თავაწეული. ლამაზ, მამაკაცურ სახეზე ზიზღისა და მის გარშემო შემოჯარული ადამიანებისადმი ბრაზის გამომეტყველება ეწერა.

ის ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც მთავრობის წინააღმდეგ ხალხის ომში, მთავრობის მხარეს იბრძოდა. შეიპყრეს და ახლად დასასჯელად მიჰყავდათ.

„რას იზამ! ყოველთვის როდია ძალა ჩვენს მხარეს. რას იზამ? ახლა ძალაუფლება მათ ხელთაა. რაკი უნდა მოვკვდე, მოვკვდები კიდევ, ჩანს, ასეა საჭირო“, - ფიქრობდა ეს კაცი და მხრების აჩეჩვით ცივად შეჰღიმოდა იმ შეძახილებს, რომლებიც ბრბოდან მოისმოდა.

- ეგ წესრიგის დამცველია, ჯერ კიდევ დილით ჩვენ გვესროდა! - გაჰყვიროდნენ ბრბოში.

თუმცა ბრბო არ ჩერდებოდა და კიდევ უფრო წინ მიჰყავდათ. როცა იმ ქუჩას მიადგნენ, სადაც ხიდქვეშ სამთავრობო ჯარების მიერ გუშინ მოკლულთა გვამები ელაგა, ბრბო გამძვინვარდა.

- ნუღარ აყოვნებთ! ახლავე აქ დავხვრიტოთ ეს არამზადა, სადღა მიგყავთ? - ყვიროდა ხალხი.

ტყვე შუბლშეკრული იდგა და სულ უფრო მაღლა სწევდა თავს. ჩანდა, კიდევ უფრო მეტად ვერ იტანდა ამ ბრბოს, ვიდრე ბრბოს სძულდა იგი.

- უნდა გავანადგუროთ ყველა! ჯაშუშები! მეფეები! მღვდლები! და ეს არამზადები! მოკალით, ახლავე მოკალით, - ღმუოდნენ ქალები.

მაგრამ ბრბოს „მეთაურებმა“ გადაწყვიტეს, მოედნამდე მიეყვანათ და იქ გასწორებოდნენ.

მოედნამდე ცოტაღა რჩებოდა, როცა მდუმარების მცირე წუთებში ბრბოს უკანა რიგებში მოტირალი ბავშვის ხმა გაისმა.

- მამა! მამა! - ექვსიოდე წლის ბიჭუნა ხალხში გზას იკვლევდა, რომ ტყვემდე მიეღწია და თან სლუკუნებდა, - მამა! რას გიშვრებიან? მოიცა, მოიცა, მეც წამიყვანე, წამიყვანე!..

იმ მხარეს, საიდანაც ბავშვი მოემართებოდა, შეძახილები შეწყდა. ბრბო მის წინაშე ისე გაიხსნა, როგორც რაიმე ძალის წინ და ბავშვს მამისკენ გზა გაუთავისუფლა.

- ვაიმე, რა საყვარელია! - თქვა ერთმა ქალმა.
- შენ ვის ეძებ? - აჰყვა მეორე და ბიჭუნასკენ დაიხარა.
- მამას! მიმიშვით მამიკოსთან! - ღნაოდა ბავშვი.
- რამდენი წლის ხარ, ბიჭუნა?
- მამაჩემს რა უნდა გაუკეთოთ? - პასუხობდა ბიჭი.
- შინ წადი, ბიჭუნა, დედასთან წადი, - უთხრა ბავშვს ერთ-ერთმა მამაკაცმა.

ტყვეს უკვე გაეგონა ბიჭის ხმა და ისიც ესმოდა, რას ეუბნებოდნენ. სახე კიდევ უფრო მოექუფრა.

- მას დედა არ ჰყავს! - იმას გამოსძახა, ვინც ბავშვს დედასთან გზავნიდა.

ბიჭი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა მამას, ბოლოს მი-
აღწია კიდევ და თავი ხელში ააყვანინა.

ბრბოში მაინც ყვიროდნენ: „მოკალით! ჩამოახრჩვეთ! მოკა-
ლით არამზადა!“

- რატომ წამოხვედი სახლიდან? - ჩუმად უთხრა მამამ შვილს.

- რა უნდა გაგიკეთონ? - მიუგო ბიჭმა.

- მოდი, იცი რა ქენი? - წამოიწყო ისევ მამამ.

- რა?

- კატიუშა ხომ იცი?

- მეზობელი? როგორ არ ვიცი.

- ჰოდა, მასთან მიდი და იქ იყავი. მე კი... მე მოვალ.

- შენ გარეშე არ წავალ, - დაიჟინა ბიჭმა და ატირდა.

- რატომ არ წახვალ?

- ისინი გცემენ.

- არა, რას ამბობ, არაფერს მიზამენ, ისინი ისე, უბრალოდ...

ტყვემ ბავშვი ძირს დასვა და იმ კაცთან მივიდა, რომელიც
ბრბოში ბრძანებებს გასცემდა.

- მისმინეთ, - მიმართა კაცს, - მომკალით სადაც გინდათ და
როგორც გინდათ, ოღონდ არა მის თვალწინ, - ბიჭუნასკენ
მიუთითა, - ორი წუთით გამხსენით და ხელით დამიჭირეთ, მე კი
მას ვეტყვი, რომ ჩვენ ვსეირნობთ, რომ ჩემი ძმაკაცი ხართ, და
ისიც წავა. მერე კი... როგორც გინდათ, ისე გამისწორდით.

ხელმძღვანელი დაეთანხმა.

ტყვემ ისევ აიყვანა ბავშვი ხელში და უთხრა:

- ჩემო ჭკვიანო ბიჭო, წადი კატიასთან.

- მერე შენ?

- აი, ხომ ხედავ, ამ ჩემს ძმაკაცთან ერთად ვსეირნობ, ცოტას
კიდევ გავივლით, შენ კი წადი და მეც მოვალ. წადი, ყოჩაღად.

ბიჭუნა მამას მიაჩერდა, ჯერ ერთ მხარეს გაიქნია თავი, მერე მეორე მხარეს და ჩაფიქრდა.

- წადი, საყვარელო, მე მოვალ.

- მოხვალ?

და ბავშვმა დაუჯერა. ერთმა ქალმა ის ბრბოდან გაიყვანა.

როცა ბიჭუნა თვალს მიეფარა, ტყვემ თქვა:

- ახლა მზად ვარ, მომკალით.

და უცებ მოხდა რაღაც სრულიად გაუგებარი, მოულოდნელი. ერთმა და იმავე უცნაურმა განცდამ მოულოდნელად ერთი წუთის წინ დაუნდობელ, სასტიკ, მძულვარე ადამიანებში გაიღვიძა და ერთმა ქალმა თქვა:

- იცით რა, იქნებ გავუშვათ.

- ჰო, ჯანდაბას მაგის თავი, - დაეთანხმა ვიღაც, - გავუშვათ.

- გავუშვათ, გავუშვათ! - აგუგუნდა ბრბო.

და ამაყი, უღმობელი კაცი, რომელიც წუთის წინ ამ ხალხს ვერ იტანდა, უცებ აქვითინდა, თავი ხელებში ჩარგო და დამნაშავესავით გამოვარდა ბრბოდან, არც არავის გაუჩერებია.

ალიოშა ქოთანი

ალიოშა უმცროსი ძმა იყო. ქოთანი იმიტომ უწოდეს, რომ დედამ ერთხელ დიაკვანთან გაგზავნა და ქოთნით რძე გაატანა, ის კი სადღაც დაეცა და ქოთანი გატეხა. დედამ გატყიპა, ბავშვებმა კი „ქოთანი“ შეარქვეს. ასე შერჩა მეტსახელად ალიოშკა ქოთანი.

ალიოშკა გაძვალტყავებული იყო, ყურებპანტურა (ფრთხებით ჰქონდა გამოყრილი ყურები) და დიდცხვირა. ბავშვები ხშირად აჯავრებდნენ: „ალიოშკას ისეთივე ცხვირი აქვს, როგორც გორაკზე წამოსკუპებული ქოთაკია“. სოფელში სკოლა იყო, მაგრამ ალიოშას სწავლა არ უადვილდებოდა, კაცმა რომ თქვას, დროც არ ჰქონდა სწავლის.

უფროსი ძმა ქალაქში ვაჭართან ცხოვრობდა, ალიოშკა კი ადრეული ბავშვობიდან მამას ეხმარებოდა. ექვსი წლის იყო, როცა თავის დასთან ერთად ცხვარსა და ძროხას მწყემსავდა, ცოტა კიდევ რომ წამოიზარდა, უკვე ცხენებს დარაჯობდა, დღეც და ღამეც. თორმეტი წლიდან ხნავდა და ნახირს მწყემსავდა. ძლიერი არ იყო, მაგრამ სიცქვიტე არ აკლდა. ყოველთვის მხიარული იყო. ბავშვები დასცინოდნენ, ის კი ან ჩუმდებოდა, ან თვითონაც იცინოდა. თუ მამა უჯავრდებოდა, წყნარად უსმენდა. ხოლო როგორც კი წყვეტდნენ მის ლანძღვას, მაშინვე გაიღიმებდა და იმ საქმეს ჰკიდებდა ხელს, რომელიც იმჟამად ჰქონდა დავალებული.

ალიოშა ცხრამეტის იყო, როცა მისი ძმა ჯარში წაიყვანეს. მამამაც ალიოშა დააყენა ვაჭართან მისი ძმის ნაცვლად, მეეზოვედ. ალიოშას ძმის ძველი ჩექმები მისცეს, მამის ქუდი ჩამოაფ-

ხატეს, ქურთუკი შემოაცვეს და ქალაქის გზას გაუყენეს. ალიოშა თავისი ტანსაცმლის ცქერით ვერ ძღებოდა, მაგრამ ვაჭარს სულაც არ ეპრიანა მისი გარეგნობა.

- მე ვფიქრობდი, რომ სემიონის მაგივრად ნორმალურ კაცს დავაყენებდით, - ტუჩაბზუებულმა აათვალიერ-ჩაათვალიერა ვაჭარმა ალიოშა, - შენ კი ვილაც ცხვირმოუხოცავი ლაწირაკი მომიყვანე. რაში გამომადგება ის?

- მას ყველაფერი შეუძლია - ცხენის შეკაზმვაც, სადმე წასვლაც, ბეჯითი მუშაობაც; ერთი შეხედვით არის კათანდარა, თორემ გამძლე და ამტანია.

- მაშ, გამოჩნდება, ვნახავთ.

- რაც ყველაზე საგულისხმოა - თავშეკავებულია და პასუხს არ გაგცემს არაფერზე. მხოლოდ ამუშავე და ეგ უნდა.

- რაღა გიყო, დატოვე.

ალიოშამაც დაიწყო ვაჭართან ცხოვრება.

ვაჭარს დიდი ოჯახი არ ჰქონია: დიასახლისი, მოხუცი დედა, უფროსი ვაჟი - დაოჯახებული, უბრალოდ აღზრდილი, რომელიც მამასთან ერთად იყო საქმეში, და მეორე ვაჟი - ნასწავლი, გიმნაზია დაასრულა და უნივერსიტეტში იყო, თუმცა იქიდან გამოაგდეს და სახლში ცხოვრობდა; და კიდევ ქალიშვილი - გიმნაზიელი გოგონა.

თავიდან ალიოშკა არ მოეწონათ - მეტისმეტად კაცური იყო, ცუდად ჩაცმული, არც ხეირიანი ლაპარაკი იცოდა, ყველას „შენობით“ ელაპარაკებოდა, მაგრამ მალე მიეჩვივნენ. ძმაზე უკეთ მსახურობდა. მართლაც დაუმარელი და სიტყვაძუნწი აღმოჩნდა, ყველა საქმეზე გზავნიდნენ და ყველაფერს ხალისითა და სწრაფად აკეთებდა, შეუჩერებლად გადადიოდა ერთი საქმიდან მეორეზე. ამიტომ როგორც სახლში, ისე ვაჭართან ალიოშას

დააკისრეს ყველა საქმე. რაც მეტს აკეთებდა, მით მეტ საქმეს ჰკიდებდნენ. დიასახლისი, ბატონის დედა, ბატონის ქალიშვილი, ბატონის ვაჟიც, მოურავიც, მზარეულიც, ყველა სადღაც გზავნიდა ან რაღაცით ასაქმებდა. გამუდმებით ისმოდა: „გაიქეცი, ძმაო“, ან: „ალიოშა, ეს მოაგვარე. - შენ რა, ალიოშკა, დაგავიწყდა? - იცოდე, არ დაგავიწყდეს, ალიოშა“. ალიოშაც დარბოდა, აგვარებდა, არ ავიწყდებოდა და ყველაფერს ასწრებდა, და სულ იღიმებოდა.

ძმის ჩექმა მალე შემოეძარცვა ფეხებზე და ბატონმა გალანძლა იმის გამო, რომ პირდაღებული ჩექმებითა და შიშველი თითებით დადიოდა. ბრძანა, მისთვის ბაზარში ახალი ჩექმა ეყიდათ. ჩექმა კი ახალი იყო, და ალიოშას ძალიან უხაროდა ამის გამო, მაგრამ ფეხები ხომ კვლავ ძველებური ჰქონდა? საღამოობით ამდენი სირბილისგან სტკიოდა და მათზე ბრაზობდა ხოლმე. კიდევ იმის ეშინოდა, რომ როცა მამა მის მაგივრად ჯამაგირის ასაღებად ჩამოვიდოდა, ეწყინებოდა, თუ ვაჭარი ჩექმის გამო გამოუქვითავდა ფულს.

ზამთარში ალიოშა გათენებამდე დგებოდა, შეშას ჩეხდა, მერე ეზოს გვიდა, ძროხას, ცხენებს აჭმევდა, ასმევდა. მერე ღუმელს ანთებდა, ჩექმებს და ტანსაცმელს უწმენდდა ბატონებს, სამოვრებს დგამდა, ასუფთავებდა, მერე ან მოურავი ეძახდა საქონლის გამოსატანად, ან მზარეული უბრძანებდა ცომის მოზღვლას, ქვაბების გახეხვას. მერე ქალაქში გზავნიდნენ, ან ბარათს ატანდნენ, ან ბატონის ქალიშვილთან გიმნაზიაში, ან მოხუცისთვის ლამფის ზეთის მოსატანად. „სად გადაიკარგები ხოლმე, წყეულო“, - მიაძახებდა ხან ერთი, ხან მეორე. „თვითონ რაზე უნდა შეიწუხო თავი, ალიოშა გაიქცევა! ალიოშკა! ჰეი, ალიოშკა!“ და ალიოშაც გარბოდა.

გეზეულად საუბრობდა, სადილობას კი იშვიათად თუ ასწრებდა სხვებთან ერთად. მზარეული იმის გამო ეჩხუბებოდა, რომ ის ყველას დასდევდა, მაგრამ მაინც ეცოდებოდა და ცოტა ცხელ კერძს უტოვებდა სადილადაც და ვახშმადაც.

განსაკუთრებით ბევრი საქმე დღესასწაულებამდე ჰქონდა და დღესასწაულებზე. ალიოშაც ხარობდა ამ დღეებში, იმიტომ, რომ დღესასწაულებზე ჩაიბე ცოტას კი აძლევდნენ, სულ რაღაც სამოცი კაპიკი თუ შეგროვდებოდა, მაგრამ ეს მაინც მისი ფული იყო. შეეძლო ისე დაეხარჯა, როგორც მოესურვებოდა. თავის ჯამაგირს ხომ თვალითაც ვერ ხედავდა. მამა ჩამოდიოდა, ვაჭარს ფულს ართმევდა და მხოლოდ იმას საყვედურობდა ალიოშას, რომ ჩექმები მალე გაცვითა.

როცა ამ „ჩაის“ ფულით ორი მანეთი შეაგროვა, მზარეულის რჩევით, წითელი ნაქსოვი ქურთუკი იყიდა და რომ ჩაიცვა, სიამოვნებისგან ტუჩებს ველარ კუმავდა - სულ იღიმოდა და იღიმოდა.

ალიოშა ცოტას ლაპარაკობდა და როცა ლაპარაკობდა, მაშინაც ყოველთვის ნაწყვეტ-ნაწყვეტად და მოკლედ. რაიმეს გაკეთებას რომ უბრძანებდნენ ან ჰკითხავდნენ, შეეძლო თუ არა ამისა და ამის გაკეთება, ყოველთვის უყოყმანოდ პასუხობდა: „ეს ყოველივე შესაძლებელია“, - მაშინვე შეუდგებოდა კეთებას და აკეთებდა.

ლოცვა არანაირი არ იცოდა; როგორც დედამ ასწავლა, ის დაავიწყდა, მაგრამ მაინც ლოცულობდა დილა-საღამოს - ხელეებით ლოცულობდა, პირჯვრის წერით.

ასე იცხოვრა ალიოშამ წელიწად-ნახევარი და აი, მეორე წლის მეორე ნახევარში მის ცხოვრებაში ყველაზე არაჩვეულებრივი რაღაც მოხდა. ეს მოვლენა ის იყო, რომ მისდა გასაოც-

რად, შეიტყო, თურმე ადამიანებს შორის იმ ურთიერთობების გარდა, რომლებიც ერთმანეთის საჭიროების გამო ხდება, არის კიდევ სრულიად განსაკუთრებული ურთიერთობები: ის კი არაა, რომ საჭიროა ადამიანს ჩექმები გაუწმინდო, ან საყიდლები გაუტანო, ან ცხენი შეუბა, არამედ ის, რომ ადამიანი ისე, არაფრის გამო სჭირდება სხვა ადამიანს, რომ მას მიეფეროს, და რომ ის, ალიოშა, სწორედ ის ადამიანია. ეს მზარეული უსტინიასგან შეიტყო. უსტიუშა ობოლი იყო, ახალგაზრდა, ალიოშასავით გამრჯე. მას ალიოშა ეცოდებოდა და ალიოშამ პირველად იგრძნო, რომ ის, თვითონ ის და არა მისი სამსახური, თვითონ ის სჭირდებოდა მეორე ადამიანს. როცა დედას ებრალებოდა ხოლმე, ამას ვერ ამჩნევდა, ეჩვენებოდა, რომ ასეც უნდა ყოფილიყო, რომ ეს იგივე იყო, თვითონ შესცოდებოდა საკუთარი თავი. მაგრამ უცებ დანახა, რომ სრულიად უცხო უსტინიას ებრალებოდა, ქოთანში უტოვებდა კარაქიან ფაფას და როცა ჭამდა, გოგონა ხელზე ნიკაპდაყრდნობილი უყურებდა. თვითონაც გახედავდა, გოგონა კი გაიცინებდა და მასაც ეცინებოდა.

ეს ისეთი უცნაური და ახალი იყო მისთვის, რომ თავიდან შეაშინა კიდევ ალიოშა. იგრძნო, რომ ეს ხელს უშლიდა ისე სამსახურში, როგორც ადრე მსახურობდა. მაგრამ მაინც უხაროდა, როცა უსტინიას მიერ დაკერებულ საკუთარ შარვალს დაჰყურებდა, თავს იქნევდა და იღიმებოდა. ხშირად მუშაობის დროს ან სადღაც გაქცეული უსტინიას იხსენებდა და ამბობდა: „ოჰ, ეს უსტინია!“ უსტინია ეხმარებოდა, როგორც შეეძლო, და თვითონაც ეხმარებოდა გოგონას. უსტინიამ უამბო თავისი ბედის შესახებ, როგორ დაობლდა, როგორ აიყვანა მამიდამ, როგორ წაიყვანეს ქალაქში, ვაჭრის ვაჟი როგორ სულელურად ეხუმრებოდა ხოლმე და როგორ მოსვა ის თავის ადგილზე. უყვარდა ლაპარაკი,

ალიოშკას კი - მისი მოსმენა. ალიოშას გაეგონა, რომ ქალაქებში ხშირად ხდებოდა ასე: მუშა კაცები მზარეულებს ირთავდნენ ცოლებად. და ერთხელაც გოგონამ ჰკითხა, მალე დააქორწინებდნენ თუ არა ალიოშას. მან კი უთხრა, რომ არ იცის და კაცმა რომ თქვას, არც ეხალისება მისი სოფელში წაყვანა.

- შენ რა, ვინმე შეათვალაიერე უკვე? - ჰკითხა უსტინიამ.

- შენ შეგიერთავდი. წამოხვალ კი?

- დახეთ ერთი ქოთანს, როგორ გაბედა თქმა, - თქვა და ზურგზე ხელი შემოსცხო, - რატომაც არ წამოვალ?

ყველიერზე მოხუცი ქალაქში ფულისთვის ჩამოვიდა. ამასობაში ვაჭრის ცოლმა შეიტყო, რომ ალექსეი უსტინიას ცოლად შერთვას აპირებდა და არ მოეწონა ეს ამბავი. „დაორსულდება, ბავშვით კი რაღად ევარგება“. ქმარს უთხრა.

ბატონმა ალექსეის მამას ფული მისცა.

- აბა, კარგად ცხოვრობს ჩემი ბიჭი? - თქვა კაცმა, - ხომ ვამბობდი, ულაპარაკოა-თქო.

- ულაპარაკო კი არის, მაგრამ სისულელე ჩაუფიქრებია. მზარეულის ცოლად შერთვა მოინდომა. მე კი ცოლიანს არ გავაჩერებ, ჩვენთვის ეს არახელსაყრელია.

- ბრიყვი, ეგ ბრიყვი, ეგ რა მოუფიქრებია, - ჩაილაპარაკა მამამ, - არ იდარდო, ვუბრძანებ, რომ თავი მიანებოს მაგეებზე ფიქრს.

სამზარეულოში შესული მამა შვილის მოლოდინში მაგიდას მიუჯდა. ალიოშა საქმეებზე დარბოდა და ქშენით დაბრუნდა.

- მე მეგონა, ჭკვიანი იყავი. ეგ რა მოგიფიქრებია? - უთხრა მამამ.

- მე... არაფერი.

- როგორ არაფერი. ცოლის შერთვა მოგინდომებია. როცა დრო მოვა, მე შეგერთავ ცოლს, და შეგერთავ იმას, ვინც საჭიროა და არა ქალაქელ კახპას.

მამა ბევრს ლაპარაკობდა. ალიოშა იდგა და ხვნეშოდა. როცა მამამ დაასრულა საუბარი, ალიოშამ გაიღიმა.

- მაშ, უკვე შეიძლება წასვლა.

- ჰო-ჰო.

როცა მამა წავიდა და ალიოშა უსტინიასთან მარტო დარჩა, მას უთხრა (უსტინია კარს უკან მდგარა და მოესმინა, რას ელაპარაკებოდა მამა შვილს):

- ჩვენი საქმე... ისა... არ გამოვიდა. გესმოდა? გაბრაზდა, არა-ო.

უსტინიამ მდუმარედ, წინსაფარში თავჩარგულმა წამოიტირა. ალიოშამ ენა გააწკლაპუნა.

- როგორ გინდა არ დაუჯერო. ჩანს, უნდა მივატოვოთ ეს საქმე.

სალამოს, როცა ვაჭრის ცოლმა ალიოშას დარაბების დასახურად უხმო, უნდობლად ჰკითხა:

- აბა, გაუგონე მამას, შეეშვი სისულელეებს?

- როგორც ჩანს, შევეშვი, - თქვა ალიოშამ, გაიცინა და მაშინვე ატირდა.

მას მერე ალიოშას უსტინიასთან ქორწინებაზე აღარ ულაპარაკია და ძველებურად ცხოვრობდა.

მერე მოურავმა სახურავის გადასათოვლად გაგზავნა. სახურავზე აძვრა, მთლიანად გაწმინდა, მერე ღართან მიყინული თოვლის აცლას შეუდგა, ფეხი დაუცდა და თავის ნიჩბიანად გადმოვარდა. მისდა საუბედუროდ, თოვლში კი არ ჩავარდა, არამედ

რკინით დაფარულ გასასვლელზე დაენარცხა. უსტინიამ და ბატონის ქალიშვილმა მასთან მიირბინეს.

- იტკინე რამე, ალიოშა?

- ვიტკინე არა, არაფერია.

ადგომა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა და მხოლოდ იღიმებოდა. სადარბაზოში შეიყვანეს. ექიმი მოვიდა. გასინჯა და ჰკითხა, სად სტკიოდა.

- ყველგან მტკივა, მაგრამ არაფერია. ერთი ეგაა, რომ ბატონი განაწყენდება. მამაჩემსაც უნდა გავაგებინოთ.

ალიოშა ორი დღე იწვა, მესამე დღეს მღვდელს უხმეს.

- შენ რა, სიკვდილს აპირებ? - ჰკითხა უსტინიამ.

- მერე რა? აბა, სულ ხომ არ ვიცოცხლებთ? ოდესღაც საჭიროა, - როგორც ყოველთვის სწრაფად ჩაილაპარაკა ალიოშამ, - მადლობა, უსტიუშა, რომ გებრალეობდი. ძალიანაც კარგია, რომ დაქორწინება დაგვიშალეს, თორემ რა გამოვიდოდა. ახლა ყველაფერი კარგად მოხდა.

მღვდელთან ერთად მხოლოდ ხელებითა და გულით ლოცულობდა. გულში კი იმას ფიქრობდა, აქ რა კარგია, თუ უჯერებ და არ აწყენინებ, ჰოდა, ასევე კარგი იქნება იქაცო.

ცოტას ლაპარაკობდა. მხოლოდ წყალს ითხოვდა და სულ რაღაცა უკვირდა.

რაღაცამ გააოცა, ხელი გაიწოდა და მოკვდა.

მონანიე ცოდვილი

„მან უთხრა: იესო, გამიხსენე, როდესაც შენი სასუფეველით მოხვალ. იესომ უთხრა მას: ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“

(ლუკა XXIII, 32-36, 39-43).

ცხოვრობდა ქვეყნად კაცი 70 წელიწადს და მთელი ცხოვრება ცოდვებში განვლო. დაავადდა ეს კაცი და არ ინანიებდა. როცა სიკვდილი მიუახლოვდა, ბოლო ჟამს ატირდა და თქვა: „ღმერთო! როგორც ავაზაკს ჯვარზე გაკრულს, მეც მომიტევე!“ ძლივს მოასწრო ამის თქმა, რომ სული ამოხდა. და ცოდვილის სულს ღმერთი შეუყვარდა და მისი მოწყალებისა დაიჯერა და სამოთხის კარს მიადგა.

მიაკაკუნა ცოდვილმა კარზე და ზეციურ სასუფეველში შესვლა ითხოვა.

კარიდან ხმა შემოესმა:

- ვინ აკაკუნებს სამოთხის კარზე? და რა საქმეები ჩაუდენია ამ ადამიანს თავის ცხოვრებაში?

მას ბრალმდებლის ხმა გაეპასუხა, რომელმაც ამ კაცის ყველა ცოდვილი საქმე ჩამოთვალა და არც ერთი კეთილი საქმე არ დაუსახელებია.

კარიდან ხმამ მიუგო:

- ცოდვილებს არ შეუძლიათ ცათა სასუფეველში შესვლა. წადი აქედან.

მაშინ თქვა კაცმა:

- ღმერთო! შენი ხმა კი მესმის, მაგრამ სახეს ვერ ვხედავ და შენი სახელიც არ ვიცი.

ხმამ უპასუხა:

- მე პეტრე მოციქული ვარ.

მაშინ თქვა ცოდვილმა:

- შემობრალე, მოციქულო პეტრე, გაიხსენე ადამიანის სისუსტე და ღვთის წყალობა. განა შენ არ იყავი ქრისტეს მოციქული, განა შენ არ მოგისმენია თვით მისი პირიდან მისი სწავლებები და მისი ცხოვრების მაგალითი გინახავს საკუთარი თვალით? აბა, გაიხსენე, როცა ის წუხდა და სულით გლოვობდა და სამჯერ გთხოვა, არ ჩაგძინებოდა, არამედ გელოცა, შენ კი გეძინა, იმიტომ, რომ თვალები დაგმძიმებოდა და სამჯერვე მძინარეს მოგისწრო. ასევე ვარ მეც.

- კიდევ გაიხსენე, როგორ შეჰპირდი მას, რომ სიკვდილამდე არ განუდგებოდი და სამჯერ როგორ უარყავი, როცა ის კაიაფასთან მიიყვანეს. ასევე ვარ მე.

- და კიდევ გაიხსენე, როგორ აყივლდა მამალი და შენ იქიდან გამოვარდი და მწარედ ატირდი. ასევე ვარ მეც. შეუძლებელია, რომ არ შემიშვა.

სამოთხის კარს მიღმა ხმა მიჩუმდა.

მცირე ხანს დგომის შემდეგ ისევ მიაკაკუნა ცოდვილმა და სასუფეველში შესვლა ითხოვა.

კარს უკან სხვა ხმა გაისმა და თქვა:

- ვინ არის ეს კაცი? და როგორ ცხოვრობდა ის ქვეყანაზე?

მას უპასუხა ბრალმდებლის ხმამ, კვლავ გაიმეორა ცოდვილის ავი საქმეები, და არც ერთი კეთილი საქმე არ დაუსახელებია.

კარიდან ხმა გამოეპასუხა:

- წადი აქედან: ასეთი ცოდვილები ვერ იცხოვრებენ სამოთხეში ჩვენთან ერთად.

ცოდვილმა თქვა:

- ღმერთო, შენი ხმა მესმის, მაგრამ შენს სახეს ვერ ვხედავ და შენი სახელიც არ ვიცი.

უპასუხა მას ხმამ:

- მე მეფე და წინასწარმეტყველი დავითი ვარ.

სასო არ წარუკვეთია ცოდვილს; სამოთხის კარს არ მოსცილდება და აღაპარაკდა:

- შემიბრალო, მეფეო დავით, და გაიხსენე ადამიანური სისუსტე და ღვთის მოწყალება. ღმერთს უყვარდი და ადამიანების წინაშე აღგამაღლა. ყველაფერი გქონდა - მეფობაც, დიდებაც, სიმდიდრეც, ცოლებიც, ბავშვებიც, არადა, ღარიბი კაცის ცოლი დანიახე და ცოდვა შეგიდგა, და ურიას ცოლი წაიყვანე, თვითონ ის კი ხმლით განგმირე. შენ, მდიდარმა, ღარიბს უკანასკნელი ცხვარი წაართვი და თვით ის დაღუპე. მეც იმავეს ვაკეთებდი.

- კიდევ გაიხსენე, მერე როგორ მოინანიე და თქვი: „ვადიარებ ჩემს დანაშაულს და ჩემს ცოდვას ვინანიებ“. ასე ვარ მეც. შეუძლებელია, რომ არ შემიშვა.

მაშინ მიხუმდა ხმა კარს უკან.

მცირე ხანს დგომის შემდეგ ისევ მიაკაკუნა ცოდვილმა და სასუფეველში შესვლა ითხოვა. კარს უკან მესამე ხმა შემოესმა:

- ვინ არის ეს კაცი? და როგორ იცხოვრა მან ქვეყანაზე?

გაეპასუხა ბრალმდებლის ხმა და მესამედ ჩამოთვალა ადამიანის ავი საქმეები, არც ერთი კეთილი არ დაუსახელებია.

კარიდან ხმამ უთხრა:

- წადი აქედან: ცოდვილები ვერ შევლენ ცათა სასუფეველში.

ცოდვილმა უპასუხა:

- შენი ხმა მესმის, მაგრამ სახეს ვერ ვხედავ და შენი სახელიც არ ვიცი.

ხმამ მიუგო:

- მე იოანე ღვთისმეტყველი ვარ, ქრისტეს საყვარელი მოწაფე.

გაუხარდა ცოდვილს და უთხრა:

- ახლა კი შეუძლებელია ჩემი არშეშვება; პეტრე და დავითი იმიტომ შემომიშვებენ, რომ მათ იციან ადამიანური სისუსტეებისა და ღმერთის მოწყალების შესახებ. შენ კი იმიტომ შემომიშვებ, რომ შენში ბევრი სიყვარულია. ნუთუ შენ, იოანე ღვთისმეტყველო, არ წერდი შენს წიგნში, რომ ღმერთი სიყვარულია და რომ ვისაც არ უყვარს, მან ღმერთი არ იცის? განა შენ არ ეუბნებოდი სიბერის ჟამს ხალხს ერთ სიტყვას: „ძმებო, გიყვარდეთ ერთმანეთი!“ მაშ, ახლა როგორღა შემიძულებ და გამაძევებ მე? ან უარყავი ის, რაც თვითონ თქვი, ან შემიყვარე და ცის სასუფეველში შემომიშვი.

და გაიღო მაშინ სამოთხის კარი, იოანე მონანიე ცოდვილს გადაეხვია და ცათა სასუფეველში შეუშვა.